# ივერია

1881

№ I, იანვარი.

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა
1881

## შინაარსი:


I ბაღჩისარაიის შადრევანი, პუშკინისა. თარგ. მიხ. ზირთ. თუმანიშვილისა . . . . . . . . . . 3

II ვეკფილდის მღვდელი, რომანი ოლივერ გოლდსმიტისა, ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . . . 29

III ახალი წელი (ლექსი), აკაკისა . . . . . . 87

IV სხვა-და-სხვა გვარი ქორწილი, ეკ. გაბაშვილისა 89

V პოეტის გული (ლექსი), აკაკისა . . . . . . 110

VI *** (ლექსი იტალიურიდამ), იოსებ ბაქრაძისა . 112

VII ცხოვრება და კანონი, ილ. ჭავჭავაძისა . . . 113

VIII *** (ლექსი), ვ. ო-სა . . . . . . . . . . 125

IX *** (ლექსი), იორდანე ტუსალისა . . . . . . 126

X შარშანდელი რუსეთი, გ. თ—მ-ისა . . . . . 128

XI შინაურ მიმოხილვის მაგიერი. . . . . . . 140

XII ახალი წიგნები . . . . . . . . . . . 144

XIII უცხო ქვეყნები . . . . . . . . . . . 155

XIV ფილოქსერა (უდაზედ).

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

---

წელიწადი მეხუთე.

**№ I**

ა 988

სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

ტფილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ატამანის ქუჩაზე
**1881**



Дозволено цензурою, Тифлисъ 22 Ноября 1880 г.

# ბაღჩისარაის შადრევანი.

(პუშკინიდამ)

თარგმანი თ. მიხ. ბირთვ. თუმანიშვილისა.

---

იყო გირეი დაფიქრებული,
ჰსწევდა ყალიონს, დორზე მჯდომარე,
აღმოჰსდიოდა ბაგეთგან ბოლი
და ღრუბელივით ეხვია გარე.
პირის-პირ მსხდომნი დარბაისელნი
სევდისა მიზეზს ვერ მიმხვდარ-იყვნენ;
გაჩუმებულნი კარისა-მცველნი
წყრომის ლოდინით უკუჰსდგებოდნენ.
დასტურ, გარემო სასტიკი ხანი
მრისხანეს თვალით იბღვირებოდა;
ზოგჯერ სახეზედ მას ჭაეშანი,
ვით ღამის ბინდი, გარდეშლებოდა.
გარნა მივლობელმა უცებ მდუმარეთ
ანიშნა ხელით მოუთმენელით,—
და მყის ყოველნი, გულ-ხელ დადებით,
თავ-დაკიდულნი, გასცლიან გარეთ.

მარტოა ხანი, — და ამოსკვნანი
სიმყუდროვეში ყსმირდებიან,
და უცხოველეს გულის ღელვანი
მრისხანეს შუბლზე ესატებიან.
ესრეთ წყვდიადნი შავად ღრუბელნი
ზღვისა სარკეში გამოჭსჩნდებიან.

ნეტა ვითარსა ფიქრსა შეუცვავს
ამაყი სული ესრეთ სასტიკად?
ნუთუ რუსეთზე მივალს საომრად,
ან განიზრახავს ჯოლშის დამცრობას?
ან სისხლის კვალსა მიემართება?
ან განჭსდგომა სჭა უგუნური?
ან მძლავრი კაცი, ანუ მაცთური
ცეცხლითა ხელში წინ ესატება?

არა, — მსედრობა განვლილთა დღეთა
მოჭსწყინდა ხანსა, დიდებით მაშვრალს;
დაჭსცხრა ქვეთება ხელით მძლეველთა,
და იმი უკვე ფიქრითაგან შორს არს.

მაშ ნუთუ ჭარამს მას იდუმალი
მუხანათობა შეუმჩნევია,
და ჰატიმარი განცხომის ქალი
გიაურს ვისმეს შემსჭვალვებია.

არა, — დარაჯნი იესიზელ არიან,
თვალნიც კი ზღუდეთ ვერ ასწვდებიან.

მუნ დამწყვდეულნი გირეის ცოლნი,
მყუდროებითა გარემოცულნი,
თვით ფიქრშიაცა ვერ გაივლებენ
ხსნისა ღალატს, მცნების დარღვევას,
და უნუგეშოდ განატარებენ
აღყვავებულსა თვისსა ცხოვრებას.
მათნი სახენი მზის უნახავნი,
ჰარამხანაში ჰყვავიან ეშხით,
თითქოს მინებით დახურდილებულნი
არაბეთისა ყვავილებივით.
დღეები კვირეს, კვირები თვესა—
ერთი-ერთმანეთს მიეფინება,
და სიყვარულსა, სიჭაბუკესა
დრო უგრძნობელად მიეზიდება.
მოსაწყენია ერთსახეობა
და წყნარი ჟამთა მდინარეობა.
ძნელათ ეწვევა ჟამი ლხენისა
ჰარამხანასა გლახ-მოწყენილსა,
სადაც უმეტეს ცხოვრების დღენი
უქმად არიან განტარებულნი.
მაგრამ ტურფანი ცოლნი გირეის
მოსალხენელად როგორმე გულის,
ურთი-ერთ-შორის შეჰსცვლიან კაბებს,
იწყობენ თამაშს და სუმრობაებს;
ან მოჩქრიალეს წყაროს მიჰმართვენ
და წყალთა ახლო, გამჭვირვალეთა,
ჩინართა ქვეშე მაგრილებელთა
მწყობრად და მწყობრად დასეირნებენ.

მათ შორის დავალს ბოროტი ხოჯა,
არ შეიძლება უძისობა:
მისი გონება, ფიქრი და თვალი —
აუცილებლად დაჰსდევს ყოველსა;
ცდითა მისითა არს დარდგენილი
ყოველი წესი მათსა არესა.
მისთვის პირველი ჰსჯულისა წიგნი
არის ბრძანება მისის ხანისა:
არა უმტკიცეს დაიცვავს იგი
თვით წმიდას აღთქმას ყორანისასა.
არ ეკარება მას სიყვარული;
გაქვავებული არის მის გული:
ქალთა ღიმილი, ქალთ მანქანება,
ჩუმი ვედრება, ჩუმი მუქარა,
თუ ტანჯვა, ოხვრა, ურვა, მუდარა, —
უგრძნობსა მარად ეუცხოება. —
მან უწყის კარგად ზნე დედა-კაცის:
გამოუცდია კარგათ, ავათაც,
თუ ვითარ იგი მაცდური არის
ტყვეობაშიაც, თავისუფლათაც.
მისთვის ერთია მწურვალე ცრემლი
და თვით ღიმილი დამატკბობელი;
მათგან აროდეს არ მოტყუვდება:
იგი მათ უმვმ არ ერწმუნება.

გარნა ოდესაც თმა გარდაშლილნი
ახოვანს მხრებზე დაუდევნელად,
მოვლიან რაზმად ქალნი პყრობილნი

სიცხისა დროსა საზანებლად,
და ფვირთხი წყალთა გამომჩქეფარეთ
ალაფხვაბენ მათთა სიტურფეთ,—
მაშინ უგულოდ მდგომარე ახლოს,
უყურებს ხოჯა დაშიშვლებულთ ქალთა:
იგი ამ სახით, იგი ყოველს დროს
დადგენილია მათდა დარაჯათ.
რის დაღამდება, მუდროსა ჭარემს
იგი ჩუმ-ჩუმად დარონიავებს:
ქუჩა ხალიჩებს კრძალვით ესება
და კარებებთან მიიპარება;
და ოდეს უკვე დაეძინებათ
განცხრომილებით ხანისა ცოლებს,
მაშინვე მევალს შეუნიშვნელად
და ხან ერთს საწოლს და ხან მეორეს
მზვერავივითა გარს დაჭუსტრიალებს.
ვერცა ოხვრანი, ვერც ამოსკვნანი
მისსა სმენასა ვერ ასცდებიან,
და თვით მცირესიც მოძრაობანი
ხოჯისა მიერ შეინიშვნიან.
და ვაი იმას, ვინცა როტვითა
ახსენებს ძილში ვისმეს სახელსა,
ანუ აღმოჭსთქვავს მხურვალებითა
გულისა თქმასა მოუთმენელსა!

მაგრამ გირეი ზის მოწყენილი;
თვით ჩიბუხიცა განუქრა ხელში.
ტან-მოუძრავი, სულ გამელილი,

ბრძანებას ელის ხოჯა კარებში.—
დასასრულ აღსდგა მფლობელი მძიმედ:
მსწრაფლად განეღო მის წინ კარები;
იგი ჰარამში მივალს მდუმარედ,
სად მიელიან სატრფო ცოლები.

მის სალინებზე მორიგებულად,
იგინი ერთობ შადრევანს უსხდნენ,
და კისკისებდნენ და უმაწვილურად
წყლისა შხეფითა შეექცევოდნენ.
ზოგნი თეძზო განგებ ფიქალსა აყზს
გარდაუგდებდნენ ოქროს სამკაულს,
და დაფიქრებით თვალს ადევნებდნენ,
თითქოს ჰნატრიდნენ თავისუფლებას.
ხოლო მხევალნი გარაშე შარბათის
ბროლის თასებით უთავაზებდნენ,—
და მის ჰარამი ტკბილთა მუტრიბთა
შეამუსიკებს ნელ სიმღერითა.

## თათრული სიმღერა.

### ა.

ცა მოწყალეა: ნუგეში მტირალს
უბედობაში არ მოაკლდება!
ნეტავი იმას, ვინც იყო ქაბას:
დღენი მწარენი გაუტკბილდება.

ბ.

ნეტავი იმას, ბრძოლისა ველი
ვინცა შეღება სისხლითა თვისით:
მას ფრთაგაშლილი ედემის ქალი
მიეგებება ნარნარ ღიმილით.

გ.

მარამ, ზარემავ, მას ნეტარება,
ვინც მიეცემა განცხრომილებას,
და დაგფუფუნებს, გეალერსება,
ვითა ბულბული ყვავილთა მეფას!

ესრეთ მღერობენ ჭეჭლეულნი ქალნი
წინწილთა გააქვსთ სძოვანობანი.
გარნა სადა არს ჰარამის მთვარე,
ტურფა ზარემა, ვარსკვლავი ეშყის?
გლახ ფერმიხდილი, გულით მწუხარე,
არს უარ-მყოფელ ქებისა მათის;
ვით შემუსვრილი ჩამბაკი წვიმით,
თავ-მოდრეკილი ზის მწუხარებით;
წარსდა ყოველი სიამე მისთვის:
შეჰსცვლია გული მასზე გირეის.

მაშ, ქართველთ ქალო, ვისი შვენება
შენსა სიტურფეს დაედარება?
ვითარის ეშხით მაგ შუბლსა სწევავს

გარეშე თმები შემოგიწმასავს!
ვითა გშვენიან ეგ ორნი თვალნი,
დღეზე ნათელნი, ღამეზე ბნელნი!
რომლისა ენა გამოჰსთქვავს ძლიერ
ეგზომ გულისა აღელვებასა?
რომლისა ბაგე აღასთებს შენებრ
ღაწვზე ეგოდენ მხურვალებასა?
და ერთხელ შენზე ტრფიალი გული
ვითღა დატყვევდეს სხვისა შვენებით?
ვარნა სასტიკი, გულმილებული,
გასხდგა გიჟე შენისა ტრფობით.
ჰსტანჯავს რაიდაც მას უნუგეშოდ,
და განატარებს იგი უძილოდ
მარტოკობაში მოწყენილთ ღამეთ,
და ჰსწუხს და ოხრავს, მას დროსა აქეთ,
რაც პოლშის მთავრის ნაზი ასული
მისსა ჰარამში არს შემწყვდეული.

არ არის დიდხანი, გულ-დაობლებით
ჰსცხოვრებს მარია უცხოსა სოფელს;
არ არის დიდხანი თავისუფლებით
ჰყვაოდა იგი მამისა არეს.
მოხუცებულსა მიაჩნდა მარად
იგი სიცოცხლის გვირგვინივითა,
და უწოდებდა შვებად, ნუგეშად,
და დაჰსტკბებოდა მისის მზერითა.
მამის წადილი იყო პირველი,
რომ აღესრულა ასულის ნება;

იგი ნიადაგ იყო მზრუნველი,
რათამცა მისი ყმაწვილქალობა
იყოს ვით მთვარე მანათობელი;
რომ მისმა გულმა არა იცოდეს
თვით წამიერი მწუხარებაცა,
რომ იგი მარად, თვით ქმართანაცა,
სიამოვნებით მოიგონებდეს
სიყრმისა დროსა, შექცევის დღეთა,
აწ სიზმარივით განქარვებულთა.—
მარია იყო, ვითა ცისკარი,
გულ-მხიარული, სახე-ნათელი,
ტან-ახოვანი, ქცევით წყნარი
და ნაზის ჭვრეტით დამატკბობელი.
იგი ბუნების კეთილთა ნიჭთა
ხელოვნებითა განაშვენებდა;
იგი მხიარულ სანთურის ხმითა
ლხინსა შინაურს განაცხოველებდა.
მრავალნი დიდნი მდიდარნი კაცნი
მარიას კვალსა შეუდგებოდნენ,
და ჭმუნვარებით ახალგაზდანი
იდუმალ მისთვის იტანჯებოდნენ.
გარნა მას გულით ჯერეთ განუშლელს
არა ეხილა სხივი ტრფიალებისა,
და ვითა ვარდი გაზაფხულისა
აღიზრდებოდა მამისა არეს;
და ოდეს მასთან, მყუდროს საღამოს,
ტოლები მისნი მოგროვდებოდნენ,—

თავისუფლების დროსა სამოს
განატარებდა შექცევით ოდეს.

გარნა უეცრად, მოულოდნელად
შემოესივნენ თათრები ჭოლშას:
ას არა ესრეთ დაუზოგველად
ალი ცეცხლისა ედება სამკალს!
ომის სიმძაფრით სახემიხდილი,
დაბნელდა თემი ყვავილოვანი,
მისუმდა ცისკე, ლხინით ავსილი,
და განიფანტნენ მუნ შექცევანი.
ტყენი, დაბები შეიქმნენ ოხრად
მიყრუებულის უდაბნოს მსგავსად.
და თვით მარიას ოთახიც გარე
დაობლდა, ვითა ეს არე-მარე...,
და საუკუნოდ შინაურს საყდარს
მამის ცივს აჩრდილს განუსვენია,
და ამაღლებულს მასზე აკლდამას
გვაროვნობისა დროშა ადგია.
ასული ტყვედ არს, მამა სამარეს,
ძუნწი მემკვიდრე ციხეში უფლებს
და ტვირთიანის უღლითა არცხვენს
აოხრებულსა მტერთაგან მხარეს.
—სად არს მარია?... ნამდვილ უბედურს
ჰფარავს დარბაზში ბაღჩისარაის!
აწ ვინ არა ჰგრძნობს გულში სიბრალულს
დატყვევებულის მარიასათვის?
ვით ვარდი შტოდამ მოშორებული,

ეგრეთ უდროოდ უჭკნება გული.
მაგრამ გირეი ტყვეთ-ქმნილსა ქალსა
ჰზოგავს ყოველ ჟამს: მისსი კვნესანი,
მისი წუხილი, მწუხარებანი—
სანს არ აძლევენ მოსვენებასა,
და იგი მისთვის შეამსუბუქებს
ჰარამხანისა სასტიკსა რიგებს.
ვერ ჰბედავს სოჯა—ხათუნთა მცველი
ვერც დღით, ვერც ღამით მისდამი შესვლას;
ვერ ჰბედავს იგი, რომ სასყდველი
ვინდ მოპარებით მიაქციოს მას;
სამსახურისთვის სომ ვერაოდეს
ვერ შეეხება მისსა სარეცელს:
მას ჰყავს მიჩენილ ერთი მხევალი,
თვით მაშინაც, როდეს ტყვეობის ქალი
განკერძოებულ მყუდროს საღამოს
დასშულს აუზში შიშველი ბანობს.
თვით გირეიცა არის ხანდისხან
დარიდებული სიმშვიდით მასთან;
მისგან აქვს ნება, რომ იცხოვრებდეს
ჰარამხანისა ერთს შორსა კუთხეს:
და თითქოს იმა ჩუმსა სადგურსა
დაუმყარია ვისმე ციურსა.....
მის მღვთის-მშობლის წინ დღითა და ღამით
ჰნათობს ლამპარი დაუშრეტელად;
მის სასოება სარწმუნოებით
მკვიდრობს ნაღვლისა გამქარვებლად,
და მათ საშუალ წმინდა ნუგეშა

აღმოცისკროვნებს სიმყუდროვეში,
და ყოველივე გულსა განდგომილს
უმჯობესს სოფელს დაუახლოვებს....
მუნ ქალსა ობოლს თვალთ ცრემლნი ჰსდიან,
როს სათუნები შეჰქცევიან,—
და როს გარეშე ყოველი ჰსტკბება
სიამოვნებით, განცხრომილებით,—
სამყოფსა მისსა წყნარისა ლოცვით
ცას ღაღადება აღევლინება.
ესრეთ მთოვარე შუქ-მომფინარებს
დამბნელებელთა ღრუბელთა შორის;
ესრეთ საშუალ სიტკბოთა გულის
ციური გრძნობა გამომწვინვარებს!

აგერ დაღამდა: მოეცვა ბნელი
ველთა სამოს ტავრიდისათა.
ბუღბული ტკბილად არს მგალობელი
ჩინართა ქვეშ ხშირფოთოლოვანთა.
ვით დედოფალი უღრუბლო ღამის,
აღმოვალს ნათლად ცაზე მთოვარე.
მას გარეშემო შუქმომღიმარე
გუნდი ვარსკვლავთა შემოეხვევის
მსგავსად ჩრდილისა თვალ-მოუსწვრელნი,
თეთრის ყაბარჩით ტანმოსვეულნი
დედა-კაცები ბაღჩისარაის
სახლიდამ სახლში, უბან და უბან
ურთიერთთანა მიისწრაფიან
გასატარებლად ტკბილისა ღამის.—

ჰსდუმდა დარბაზი; ჰარამსა შინა
და გარეც ძილი მიმოუფრინა,—
და ვერა რაი ვერა შეარყევს
ღამის სიჩუმეს და სიმყუდროვეს.
განკრძალებულმა დარბაზის მცველმა—
შემოვლო უკვე გარეშე სოჯამ;
მას ჰსმინავს ასლა, მარა რა ჰსმინავს?
იჭვი და შიში ძილსა უკრთობს;
ფიქრები ხშირის ორგულობისა
თვით ძილშიაცა არ ასვენებენ.
ხან ვიღასიც ხმა და ხან ჩურჩული
და ხან კივილი თითქოს ესმოდეს,—
ურწმუნოს სმენით მოტყუებული,
ერთხელ და ერთხელ დაშინებული
განკრთება ძილით და შეათრთოლებს....
ყურს უგდებს იგი დაყოვნებითა,
მარამ ამაოდ: დუმილებითა
არს ყოველივე გარემოცული
და ღამის ფრთებით დაჩრდილებული!
ხმით საამურით ჩანჩქერნი ოდენ
მარმარილოში მობუდბუდებენ,
და გასისმიანი ნელ-სევდიანი
წალკოტსა შინა ბულბულთ სტვენანი.
სოჯამ მათ კიდევ დიდხანს ესმინა,
მარამ ჩასთვლიმა და ჩაეძინა.

მყუდრო არიან, ტურფა არიან
ღამენი მდიდარ აღმოსავლეთის!

ვით წყარო ტკბილი, ნელიად ვლიან
დრონი სიამის ურწმუნოთათვის!
ვითარი შვება და სიტკბოება
მოეფინება სახლებს და ბაღებს,
და თუ ვითარი განცხრომილება
დაისადგურებს მათის არემარეს,—
სადაცა ბადრის მთოვარის შუქზე
დაჰსდევს გულს რაღაც აღმტაცველობა,
და ყველას ღამის მდუმარებაზე
ტკბილი სურვილი გულს გაუჩნდება!

ჰძინავთ აწ ერთობ ხანისა ცოლებს,
მათში იდუმალ ჰღვიძავს მარტო ერთს.
წამოდგა იგი, კარს ისედება,
და კარებებთან მიიპარება:
თვეს-ანქარებით განვიდა გარე....
იხილა ხოჯა გზაზე მწოლარე.
ახ რომ მოავლოს მან ქალსა თვალი!
მარამ უგონოდ ხვრინავს მაშვრალი,
ვითა გრძნეული წყვდიადის ბნელით;
ქალმა უგრძნობლად განვლო მის გვერდით.

შემოიარა მან მოვაჯარი,
და მთვარის შუქზე იპოვა კარი:
შეაღო იგი, შევიდა ჩუმად
და განცვიფრებულ იქმნა უძრავად.
მან იგრძნო შიში სუსტისა გულის,
თითქოს მოესმა ხმა სინიდისის.

ამ კანდლის შუქმა მიმქრალებულმა,
ამ ჯვარმა—წინდმა ციურ-სუფევის,
და უწმინდესმა დედისა წმიდის
სახემ მწუხარედ განათებულმა,—
ქალდო ზარემავ, ფიქრთა შინა შენთ
ხმა აღადგინეს დღეთა უწინდელთ
და მყის რაიღაც დაგესაუბრა,
ვით მშობლიურის ენისა ბგერა...
დორზე უარიბად თავმიყრდნობილი,
მის წინ მარია განისვენებდა;
სახე მწუხარე და ფერმიხდილი
მსურვალეს ძილით უცხოველდებოდა,
და ღაწვთა ზედა მას ცრემლთა შორის
ეხატებოდა ნელი ღიმილი:
ესრეთ ყვავილი ნამშემოსილი
მთოვარის შუქზედ გამობრწყინდების!
ცით მოფრენილი, ედემს აღზდილი,
ვით ანგელოსი განისვენებდა,
და სიბრალულით, ფერთაწამოშლილი,
თვის ტყვეობაზე ცრემლსა აფრქვევდა.
აჰ ქართველო ქალო, ნეტა რა არის
ეს აღმიფოთება გულისა შენის?
იგი განწირვით მუხლსა მოიდრეკს
და ეხვეწება ქალსა მძინარეს:
«ას შემიწყალე მე უბედური,
და მომისმინე, მომაპყარ ყური!...»
ამა სიტყვებით, ამა ვედრებით
განკრთა მარია,—და ხელაპყრობით

მთვარისა ასულის ვით მოჩვენება,
უცნობი ქალი წინ ეხატება.

მარია დიდხანს უჭვრეტს მდუმარედ,
მაგრამ წამოსცდა და ჰკითხავს ესრედ:

მარია.

ვინ ხარ, უცნობო, მითხარი, ვინ ხარ?
ამ დროს მარტო აქ რისთვის მოსულხარ?

ზარემა.

შენთვის, მარიამ, მომიმართავს მე:
ნუგეში მეცი, მიხსენ როგორმე;
გამორისცხებია უწყალო ბედი:
მშობლისა მხოლოდ ერთი იმედი.
მრავალი კარგი მინახავს ჟამი,
თუ აღტაცება, თუ სიხარული,
მაგრამ გაჰქარდა ჩრდილიცა მათი...
თვალთა ნათელი მაქვს დაბინდული,
ვედრები, მისმინე:

არ აქაური,
ვარ შორის თემით გარდმოხვეწილი...
მაგრამ მე მტკიცედ ცა მშობლიური,
სიყრმისა ჟამი, დრო მველებური,—
მაქვს აქამომდე გულს დანერგილი.

ცად მისწეულნი მახსოვან მთები,
მუნ ცხელი წყლები, ძნელი ტევრები,
სხვა დაწესება, დადებულება,
სხვა ხასიათის შეწყობილება.
მაგრამ არ ვიცი, რომელსა ბედსა
მოუტანივარ უცხოსა თემსა.
მახსოვს მხოლოდ ზღვა, ცურვით ხომალდი
და აფრათ ქროლა.

შუბლის მოღიმარეს
არ შეეხებია ჭმუნვა აქამდე,—
და დაფარული მყუდროსა არეს,
საშუალ ჩემდა უცხოთა ქალთა,
ვჰყვაოდი ნათლად გაზაფხულივით,
და მოველოდი მორჩილის გულით
სიყვარულისა პირველთა წამთა.
დასასრულ სულის ჩემის ნდომანი
და საიდუმლო აღმისრულნენ თქმანი.
გირეისამა გულდასატკბობად
უტევა ბრძოლის სასისხლო ველი,
შეჰსწყვიტა ომი შესაზარელი,
დარბაზში თვისი იხილა კვალად.
წარვდექით მის წინ უენოს შიშით.
მრისხანე ხანმა პირველის ნახვით
ჯერ გარდამავლო თვალი ნელიად,
მერმე მიმიხმო და იმა დროით
შეუწყვეტელად ბედნიერებით,
ვსცხოვრებდით ერთად, ვჰსტკბებოდით ერთად;

და ვერაოდეს ვერც მოუყივნება,
ვერც ბოროტ იჭვი, ვერც აღშფოთება
ვერ შეურყევდნენ ნეტარებასა,
აშიკობისა სიტკბოებასა.—
მარამ, მარიავ, იყოს წყეული
შენი აქ მოსვლა, აქ დამკვიდრება!...
მას აქეთ ვიქმენ მისი ნატრული,
მას არა ესმის ჩემი ყვედრება;
მას აქეთ რაღაც სიმყუდროეში
ჰსტანჯავს იდუმალ სასტიკ გონებას;
იგი თავისებრ ვერ ჰპოებს ჩემში
ვერცა გრძნობასა, ვერცა საუბარს:
დავიწყებია მას ადრინდელი
ჟამი ჩემთანა განტარებული.
ვიცი, მარიავ, რომ შენ მიზეზი
არა ხარ ამა გარდამავლობის...
მარამ მისმინე: ჩემებრ ლამაზი
მთელსა ჰარემში არავინ არის;
მხოლოდ შენ ერთი მიდრი შვენებით
და იქნებ კიდეც, რომე მჯობდე მით.
გარნა მე მხოლოდ, მე მხოლოდ ერთის
ვარ გაჩენილი სიყვარულისთვის;
გარნა არ ძალგიძს ჩემებრ მგზნებარედ
იყო მოეშყედ და მომიჯნურედ.
მაშ რა არის ეგე ცივი შვენება
და სუსტის გულის დამორჩილება?
უტევე ხანი: დიდი ხანია
მე იმისი ვარ, იგი ჩემია.

მას მტკიცის ფიცით, მხურვალის კოცნით
დიდი ხანია, ვითა კავშირით,
ყოველი ჰაზრი, ყოველი ნდომა
შეუკრავს ჩემთა წადილთათანა.
აწ უნუგეშოდ განტევებული,
მხედავ, რომ მე შენ არ გემდურები,—
მხოლოდ მტირალი, სულაშფოთებილი,
მუხლით გეფინები და გევედრები:
მომეც მე შვება და სიხარული,
დამიბრუნე მე გირეის გული,
ნუ, ნუ გამწირავ! ნუ მეტყვი უარს:
მე იმისი ვარ, იგი ჩემი არს.—
იგი ბრმად ქმნილა შენგან და შენით:
ანუ განკიცხვით, ან ჭმუნვარებით,
ანუ მუდარით, ან რითაც იქმნას—
აალებინე შენგან სული მას.—
თუმცა მაჰმადის ყორანისათვის
დავივიწყე მე სათუნთა შორის
სარწმუნოება დღეთა უწინდელთ,
მარამა იგი მტკიცისა გულით
ჰსწამდა დედა ჩემს შენებრ მხურვალედ.
მაშ ჰფიცე ამა სარწმუნოებით,
რომ ჰსთხოვ გირეის, რათა შენ დაგთმოს,
და ადრინდელებრ მე შემიყვაროს...
და თუ უარჰყავ ეს სათხოვარი,
იცოდე, რომ მაქვს ხელთ სატევარი:

ნუ დაივიწყებ, გახსოვდეს ისა,
რომ მე ვარ შვილი კავკასიისა.

ჭსოიქა და უჩინო ექმნა მარიასა.
ვერ ჭბედავს იგი უყუმიეთოლდას.
ქალის უბრალოს არ გაეგება
ეს საშინელი მოიხრობა გულის,
გარნა ხმითა მით მას ენიშნება
ჩატეხილი რისხვის განმზადებულის.
ვითარი ცრემლი. ანუ ვედრება
იხსნის მარიას შეურცხვენისაგან?
ნეტა უბედურს რა მოელებს
მომავალს დროში მავნებლისაგან?
ნუთუ დასაშთი სიყრმისა ჟამთა
უნდა შეურცხვენილდ განვლოს სასათა?
ოჰ ღმერთო! იგი რომ საუკუნოდ
დაჭკნევოს სახმა უყურადღებოდ,
ან სიკვდილითა მოსწრაფებულით
ტკბილი ცხოვრება შეუმსუბუქოს,—
მაშინ მარია რა სიხარულით
უტევებს ამა ყნდოს საწუთროს!
უმაწვილქალობის წამით მეორედასით
დიდი ხანია განვლეს ამაოდ:
მათ კეშმარის. არადილი მხოლოდ
გულს მოასწავეს თვისსა ნიშნათა!
რა ჭქმნას საზრალომ თვისის ბედითა
ამა ქვეყნის საპყრობილეში?
დროა, განვიდეს მისის ბნელითა

და ცისკროვანი ჭვოვოს ნუგეში...
მას ღიმილითა მშობლიურითა
ჩვეცა მიელის თვისის სავანეში...

განვიდნენ დღენი,—და მყუვსეულად
განდაიცვალა მთავრის ასული,—
და თითქოს ცისა გასაზრწყისავად
აღფრინდა ედემს უმანკო სული.
მარამ უბედურს მას ასე ადრე
რამ გაუთხარა ბნელი სამარე?
ნუთუ ტყვეობის შეუწვარებამა,
ან სხვა ვითარმე მწუხარებამა?
აღარ არის უკვე მარია ნაზი!...
დაცარიელდა ბნელი დარბაზი;
გირეი-ხანმა იგი სხვა ფიქრით,
სხვა განძრახვითა უტევა კვალად,
და წარემართა დიდის მხედრობით
თემთა უცხოთა დასარბევლად.
იგი კვალადვე ბრძოლისა ბუქში
დაჭივრენს მწუხარე, სისხლის მწყურვალი;
გარნა სხვა გრძნობა, სხვა რიგი ალი
მას უნუგეშოდ უგზნია გულში.
საშუალ ომის იგი ხშირხშირად
აღმოსდის მახვილს, მარამ უმრავად
ხელში შერჩება მოღერებული,
და თვით ანაზდად გაცბუნებული
თვალთ აბრიალებს, გარს იბღვირება,
აკანკალებს, ფერი ეცვლება,

დაიბუტბუტებს რაღასაც ჩუმად,
მერე თვალთ ცრემლი წასკდება ღვარად.

ჰარამი მისი მიტოვებული
იქმნა აწ მისგან ხელაღებული,—
და მის უდროოდ, ვით ყვავილები
ვერღა მჭვრეტელნი მზისა სხივების,
ეგრეთ ჭკნებიან გლას-ხათუნები
მზრუნველობას ქვეშ უგულო ხოჯის.
მათ შორის უკვე დიდისანია,
რაც ქართველთ ქალი აღარსადაა.
ჰარამის ზანგთა იგი ერთის ღამეს
წყლისა უფსკრულში გარდაისროლეს,
მასცა ეწია მაშინ სიკვდილი,
რის მიიცვალა მთავრის ასული.
თუმც დიდი იყო დანაშაული,
მაგრამ საზარლად იყო დასჯილი!

როდეს რუსსიის ტყვეთა და სოფელთ
და კავკასიის მხარეთ მახლობელთ
გარდაუკიდა ბრძოლისა ცეცხლი,—
მცირედ გულითა დამშვიდებული
შეუმოიქცა დასასრულ ხანი,
და სასოვარად მარიას სატრფოს
აღუგო თვისის დარბაზის ახლოს
მარმარილოსი მას შადრევანი.
მასზე მშვილდივით ნიშნად თათრობის
ადგია მთვარე, და არა ჯვარი,—

და ჯერეთ კიდევ გარე ირიბად
რაღაც ჰსწერია აღმოუფხვრელად.
ნაწერის უცნობით ასოთა უკან
მარმარილოში ჩქრიალებს წყალი,
და ჰსჩქეფს ცივითა ცრემლით მუნითგან
სმით სევდიანით შეუწყვეტელი.
ესრეთ ჰსტირის დედა, როს აგონდების
სიკვდილი მწირი თვისისა ობლის.
იმ ქვეყნის ქალნი ერთმანეთს ხშირად
მოაგონებენ მწუხარეს ამბავს,
და დაობლებულს ამა სახსოვარს
უწოდებდიან ცრემლთა შადრევნად.

ოდეს შემძულდა დიდება სოფლის,
და განუტევე მე ჩრდილოეთი,
და ბუნდოვანი ვნახე დასაშთი
მივიწყებულის ბახჩისარაის,
დროსა მწუხარის მოგზაურობის,
ვიდოდი მე იქ, სადაც თათარი
სისხლისა დაღვრით შეექცეოდა,
და მცონარებას მიეცემოდა,
რა დაჰსცხრებოდა ბრძოლა საზარი.
ვალად ჰსუფევენ სიტკბოებანი
ბაღთა ვერანთა და სამყოფელთა,
სდიანობს წყალი, ღვივიან ვარდნი,
შეიწმასვნიან რტონი ყურძენთა
და ოქრო ელავს კედელთა ზედა.

ვიხილე ძველი რკინის ფანჯრები,
რომელთაც უკან, ყვავილოვანს ბაღს,
ათამაშებდნენ რა კრიალოსანს,
ოხვრიდნენ ჩუმად ხანის ცოდვები.
ვიხილე ბნელი მუნ გორხანები,
რომელთაც შორის გამწკრივებულნი,
მარმარილოთი დაგვირგვინულნი,
დგანან მდუმარედ ქვისა სვეტები,
და დასცქერიან ქვეყნის მოვლობელთა,
აწ ცივ მიწასთან გაერთებულთა...
სად მიეფარნენ, რა იქმნენ ხანნი?
რა იქმნენ მათნი ჯარამხანანი?
სევდას და დუმილს დაუმყარიეს
მას ადგილს უკვე აოხრებულსა,
სადაც გარემო დროსა უწინდელს
ქოვინა ლხინსა და სიხარულსა.
წყალთა შრიალი, ვარდთ სულნელება
დამავიწყებდნენ საწუთროებას;
მიეცემოდა გული, გონება
გამოუთქმელსა ამღვრეულებას, —
და რაღაც მნათი თვალთა წინარე
მეელვებოდა სხივმომფინარე!...

ჰე მეგობარნო, ნეტა რა ვნახე?
მიითხარით: ვისი ნარნარი სახე
აუცილებლად გარე დამდევდა
და გულს კაეშანს შემომახვევდა?
ნუ თუ მარიას უბიწო სული

მკვლინებოდა ნათელშესხმული?
ანუ ზარემა მუნ აჩრდილივით,
განლიგებული შურისძიებით,
დარონიებდა ჰარამხანასა,
აოხრებულსა, წყვდიადიანსა?

მახსოვს მე მზგავსი შვენიერება,
რომელიც ხშირად თვალთ მეხატება....

მუზთა მოყვარე, თაყვან-მცემელი,
ქვეყნის დიდების დამვიწყებელი,
მე კიდევ მალე გნახავთ, ნაპირნო
მხიარულისა სალგირისანო!
მოვალ მე კიდევ ნაცნობსა კიდეს,
სავსე იდუმალ მოგონებითა,
და კვალად ზღვისა ხმა განაქარვებს
საიდუმლოთა გულის წუხილთა.
ახ რა მხარეა!... მუნ კამარა ცის
მარად ბრწყინვალებს უხუნებელი,
მზეს არ ესება შავი ღრუბელი,
და საამოა სხივი მთოვარის;
მტილნი ჰყვავიან სამოთხის მზგავსად,
სენი ნელიად მოჰქრიან სიოს,
და ჭალაკებში შეუწყვეტელად
ბულბულნი ჰკვეკენ ტუროვას საღამოს.
გარნა ვითარი საკვირველება
თვალთა სიამით წარმოუდგება,

მაშინ, როს მთაში ჩიღვისა განაპირს
დილითა მგზავრი ცხენს მიაჭენებს,
და მის წინ ქუიფრად წყალი გრიალებს,
ქსლება კლდეთა აიჟდალის!...

# ვექფილდის მღვდელი.

რომანი

ოლივერ გოლდსმიტისა.

## თავი I.

აღწერა ვეკფილდის მღვდლის ოჯახისა; ამ ოჯახში ყველანი ერთმანერთსა ჰგვანან ხასიათითაც და სხვა თვისებითაც.

მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავ, რომ, რომელი პატიოსანი კაციც კი ცოლს ირთავს და დიდს ოჯახს იჩენს, უფრო სასარგებლოა თავის მამულისათვის, ვიდრე მარტო სული კაცი, რომელიც ოჯახსობას არ ეკიდება და მხოლოდ კაცობრიობის გამრავლებაზედ ჰქადაგებს. ამის გამო, ჯერ ერთი წელიწადიც არ გასულიყო ჩემის სასულიერო წოდებაში შესვლის შემდეგ და მე კი, სუმრობა გამშვებით, დავიწყე ცოლის შერთვაზედ ფიქრი. ცოლის ამორჩევის დროს მე არ ვეძებდი მშვენიერის შესხედულობის ქალს; ვეძებდი მხოლოდ იმისთანა თვისებათა მქონეს, რომელთაც შესძლებოდათ დროთა ბრუნვის ატანა; ჩემი საცოლოც სწორეთ ამისთანავე თვისების კაბას ეძებდა გვირგვინ-ქვეშ ჩასაცმელად.

ტყუილი არ უნდა სთქვას კაცმა, ჩემი ცოლი კეთილის გულის ქალი იყო და ძალიან გამრჯელი; სოფლელი ქალი მნე-

ლად გამოვიდოდა, რომ მასზედ უკეთ აღზრდილიყოს: წიგნს თითქმის ჩაუთვლელად წაიკითხავდა და წნილის, მურაბების, საჭმელების გაკეთებაში ვერავინ ვერ აჯობებდა. სახლში ძა-ლიან ყაირათისა სწავლა და ბევრ რიგს ხერხსა ხმარობდა ოჯა-ხის მოსავლელად, მაგრამ მაინც ჩვენს ოჯახს გაკეთება არა ეტყობოდა რა.

ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა, და რაც უფრო სახ-ში შევდიოდით, ეს სიყვარული უფრო და უფრო გვიცხო-ველდებოდა. მართლა და რა იქნებოდა იმისთანა, რომ ჩვენში შფოთი ჩამოეგდო რამე. ჩვენ გვქონდა ჩინებულად მოწყობი-ლი სახლი, კარგს ალაგას და მეზობლობაც კარგი გვყვანდა. მთელი წელიწადი სულის საქმეს მივდევდით და მით ვსიამოვნობ-დით, ან არა და სოფლურად შევექცეოდით: ხშირად დავდიოდით მდიდარს მეზობლებთან; ღარიბებს შემწეობას ვაძლევდით. ჩვენ არ გვეშინოდა ცხოვრების ცვლილებისა, არ ზომას-გადაცილე-ბულის შრომისა; ყოველივე ჩვენი თავ-გარდასავალი ბუხარს ახლო მოხდებოდა ხოლმე და ჩვენი მოგზაურობა სულ ეს იყო, რომ ლაჟვარდ საწოლ ოთახიდამ მოყვითანო ოთახში გადავდიოდით.

რადგან შარა-გზაზედ ახლო ვიდექით, ხშირად გვეწვე-ოდნენ მგზავრები, უცხო ქვეყნელები და სვამდნენ კინკრი-ქოს (კრუჟკოვნიკის) წვენს, რომლის გაკეთებაში ვერავინ შეგ-ვეჯიბრებოდა; ღმერთი სხა მოწამე, არ მახსოვს, რომ რო-მელსამე მათგანს დაეწუნოს ეს კინკრიყოს წვენი; ხშირად იმის-თანაც გვეწვეოდნენ ხოლმე, რომელნიც მეთოთხმეტე ნა-თესავად მოგვიხდებოდნენ, მაგრამ ყველამ კი კარგად იცოდა საიდამ იყო ჩვენი ნათესავი; გვარტომობის მტოში ჩახედვა არ დასჭირდებოდა. გატეხილი უნდა სთქვას კაცმა, ბევრი მათ-

განის ნათესაობა საკვესური არ იყო: ზოგი ბრმა იყო, ზოგი კოჭლი, ზოგი საწყალი, მაგრამ ჩემი ცოლი ყოველთვის გვერდით ჩამოგვისხამდა ხოლმე, ჩვენი სისხლი და ხორცი არიანო.

ასე, ამ გვარად, თუმცა მდიდარი მეგობრები არ გვეხვივნენ გარსა, მაინც მხიარულობა არ გვაკლდებოდა; ცხადია, რომ რაც სტუმარი ღარიბია, იმდენი უფრო კმაყოფილია დაპატიჟებით და როგორც ბევრი აღტაცებაში მოდის შროშანა-ყვავილის მშვენიერ ფერის ან პეპელას ფრთების დანახვაზედ, მეც ყოველთვის ვსიამოვნობ, როდესაც ვხედავ ადამიანის სახეზედ გამოხატულს ბედნიერებას.

როდესაც ერთ-ერთი ამ ნათესავთაგანი ისეთს ცუდს ხასიათს იჩენდა, რომ ღირსი არ იყო ჩვენის მეგობრობისა და გვინდოდა როგორმე თავიდამ მოგვეშორებინა, გამოთხოვების დროს ან სერთუკს ვათხოვებდი, ან წაღებს, ან ერთს ჯაგლაგს ცხენს და ჩვენდა სასიამოვნოდ ეს ნათესავი აღარ იფიქრებდა ხოლმე დაბრუნებას.

ამ სახით ჩვენს ოჯახს უსიამოვნო სტუმრებს თავიდამ ვაცილებდით. მაგრამ ყოველთვის ვეკფილდის მღვდლის კარები ღია იყო ყეცხო კაცისა და გაჭირვებულისათვის.

ვცხოვრობდით ესრე ბედნიერად რამდენსამე წელიწადს; რასაკვირველია, ხანდისხან მცირე უსიამოვნობაც შეგვემთხვეოდა ხოლმე, რომელსაც განგება მისთვის მოგვივლენს, რომ უფრო უკეთ ვიგრძნოთ მისი წყალობა: ხშირად სკოლის შეგირდები თავს ესხმოდნენ ჩემს ხილის ბაღს და ანადგურებდნენ; ხან ბავშვები და კატები ჭპარავდნენ მაქრის-ბურებს ჩემს ცოლს; ხან ისიც მოხდებოდა, რომ ჩვენს მებატონეს ჩემის ქადაგების დროს, სწორედ გულის აღმაშფოთველ ადგილას ჩაეძინებოდა, ან მისი ცოლი ოდნავ დაიქნევდა თავსა ჩემის ცო-

ლის მდაბლად თავის დაკვრაზედ. ეს წვრილმანი წყენა დიდხანს არ გვაწუხებდა და ორის-სამის დღის შემდეგ ჩვენ თვითონ გვიკვირდა, ასეთმა უბრალო საქმემ როგორ აგვაღელვაო.

შვილნი ჩემნი, ნაყოფნი მშვიდის კმაყოფილებისა, არ იყვნენ ნაზად, ნებივრად გაზრდილნი, იყვნენ კარგი ტანადნი და ჯან მრთელნი; ვაჟები ღონიერნი და მარჯვენი, ქალები—მშვენიერნი და აყვავებულნი.

როდესაც მთელი ჩემი ოჯახი გარშემო მესვია და იმედი მეძლეოდა, რომ მოხუცებულების ჟამს ესენი იქნებიან ჩემი პატრონნი, მაშინვე გრაფის აბესსბერგის ამბავი მაგონდებოდა: ჰანრი მეორე რომ გერმანიაში მოგზაურობდა და დიდნი კაცნი ცდილობდნენ გამოეჩინათ მის წინ ყოველივე თავიანთი საუნჯე, გრაფ აბესსბერგმა მოჰგვარა თვის ხელმწიფეს თავის ოც-და-თორმეტი შვილი და უძღვნა, ვითარცა საუკეთესო ძღვენი თავის სამშობლოსადმი. თუმცა მე ექვსი შვილის მეტი არა მყავდა, მაგრამ მაინც მათ ვსთვლიდი ძვირ-ფასს ძღვნად, რომლისათვისაც ღირსი ვიყავ ჩემის სამშობლოსაგან ცოტაოდენის მადლობისა.

ჩემს უმცროსს შვილს გეორგ ერქვა, თავის ბიძის სახელი, რომელმაც დაგვიგდო ჩვენ ათი ათასი გირვანქა სტერლინგი (გირვანქა სტერლინგი ექვს-შვიდ მანეთამდეა). მეორე შვილი ქალი იყო. მე მინდოდა მისთვის დამერქმია გრიზელდა, თავის მამიდის სახელი, მაგრამ ჩემს ცოლს ორსულობის დროს ბევრი რომანები ეკითხნა და მოიწადინა, რომ ასულად დაბადებულისათვის უეჭველად ოლივია დაგვერქმია. ერთის წლის შემდეგ მოგვეცა კიდევ ქალი და ესლა კი სწორედ განვიზრახე გრიზელდას დარქმევა, მაგრამ ნათლიად ერთი მდიდარი ნა-

თესავი-ქალი აგვეკვიატა და ჩემს მეორე ქალს სოფიო დაარქვა.

ამ გვარად ჩვენს ოჯახში ორი რომანული სახელი შემოგვეპარა, მაგრამ აქვე საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ეს სრულებით ჩემი ბრალი არ არის. მეოთხედ, ვაჟი მოგვეცა და დავარქვით მოსე; მასუკან თორმეტის წლის განმავლობაში, ორი ვაჟი კიდევ მოგვეცა, რიჩარდი და უილიამი.

მართალი უნდა გსთქვა, ალტაცებაში მოვდიოდი, როდესაც შვილები გარშემო მეხვივნენ; დედის მათის კმაყოფილება და ალტაცება კი ენით გამოუთქმელია. თუ მეზობელი ვინმე ეტყოდა ჩემს ცოლს: «თქვენისთანა მშვენიერი შვილები არავისა ჰყავს ამ მხარეს», ჩემი ცოლი უპასუხებდა: «ჩემი შვილები ისეთნი არიან, როგორც ღმერთს გაუჩენია; სასიამოვნონი არიან, თუ კეთილი გულიც გამოიჩინეს; ვინც კეთილი არ არის, არც სასიამოვნოა» და მაშინათვე უბძანებდა ხოლმე თავის ქალებს: «თავები სწორედ დაიჭირეთო.» მართლაც დაუვვეხებლად ვიტყვი, ჩვენი ქალები სწორედ რომ სასიამოვნონი იყვნენ,

ჩემის აზრით გარეგანს შეხედულობას ისე ცოტა მნიშვნელობა აქვს, რომ ჩემის ქალების სილამაზეზედ სმასაც არ ამოვიღებდი, მაგრამ ჩვენს მხარეში ყველგან მათს სილამაზეზედ ლაპარაკობდენ. ოლივია მაშინ თვრამეტს წლამდე იყო მიღწეული და ისეთის ბრწყინვალე მშვენიერებით განირჩეოდა, რა მშვენიერებითაც მხატვრები ჩვეულებრივ გებასა ჰხატვენ: ჰქონდა გაშლილი, ცოცხალი სახე და ბრძანებლობის შეხედულობა. სოფიოს სახე, პირველის შეხედულობით, ისეთი გულის გამგმირი არ იყო, მაგრამ მისი შთაბეჭდილება იყო უფრო მტკიცე და ამოუშლელი; ამ სახეში გამოიხატებოდა

სიმშვიდე, სინაზე და მიმზიდველობა; ოლივია ერთის შეხედვით დაგიმონავებდა; სოფიო კი——რამდენჯერმე იერიშით მოსვლით.

ქალის ზნეს მტკიცე კავშირი აქვს მის შეხედულობასთან; ჩემს ქალებს მაინც ასე შევამჩნიე: ოლივიას უნდოდა ბევრი თაყვანისმცემელი ჰყოლოდა, სოფიოსთვის კი კმაროდა ერთის მიზიდვა. ოლივია ძრიელს ცდას იჩენდა, რომ მოსწონებოდა სხვებს; იმის და კი მალავდა თვის უკეთესობას სხვებზედ, რომ არ ეწყენინებინა. როცა მხიარულად ვიყავ, ერთი თავის ცოცხალის ხასიათით მართობდა; მეორე კი მართობდა თავისის გონებით, როცა ფიქრში წავიდოდი. ესეთი განსხვავება ხასიათისა მათ შორის უკიდურესს ზომამდე არას დროს არ მისულა და ხშირად ისინი იცვლიდენ ხასიათს მთელის დღით. შავი ტანისამოსი ჩემს კოხტა ოლივიას მშვიდად გარდააქცევდა და ახალი ტანისამოსი, უბრალო რამ ლენტი, იმის დას აღუწერელს სიხარულს მოჰგვრიდა.

ჩემი უფროსი შვილი, გეორგ, სწავლული უნდა გამოსულიყო და იმ ჟამად იმყოფებოდა ოქსფორდის უნივერსიტეტში; მეორე კი ვაჭრად ემზადებოდა და შინაური სწავლა მიიღო.

რა საჭიროა, რომ დაწვრილებით არ აგიწეროთ ჩემი შვილების ხასიათი; ჯერ ქვეყანაში არც კი იყვნენ გამოსულნი; ამას კი ვიტყვი, რომ ზნით ყველანი ერთმანერთსა ჰგავდენ: ყველანი იყვნენ სულ-დიდნი, გულ-მართალნი და უბოროტონი.

## თავი II.

შინაური უბედურება. სიმდიდრის დაკარგვა უმეტესად აღძრავს კეთილშობილურს სიამაყეს პატიოსანის კაცის გულში.

ჩემის ოჯახის ქვეყნიერი საქმეები თითქმის სულ ჩემს ცოლსა ჰქონდა ჩაბარებული; ზეციერნი კი მხოლოდ მე მებარნენ. ყოველ-წლივ მე მეძლეოდა ოც-და-თუთხმეტი გირვანქა სტერლინგი ეკკლესიისაგან და ამ ფულს მთლად ერთიანად ჩვენის ეპარხიის მოსამსახურეთა ქვრივებს და ობლებს ვურიგებდი; მე ჩემი საკუთარი მამულიც მეყოფოდა და ჯამაგირი ცოტა მქონდა, თუ ბევრი, არ დავდევდი; მაგრამ როცა კი გავიფიქრებდი, რომ ჩემს თანამდებობას უსასყიდლოდ ვასრულებ, რაღაც საიდუმლო კმაყოფილებასა ვგრძნობდი. მე თანაშემწე აღარ ვიყოლიე და მოვინდომე პირად გაცნობა მთელის ჩემი მრევლისა; ცოლიანებს ვუქადაგებდი, ნამუსიანად ყოფილიყვნენ და უცოლოებს—ცოლის შერთვას.

ცდამ ტყუილად არ ჩამიარა და რამდენსამე წლის უკან ჩვენს მხარეზედ ლაპარაკობდნენ, რომ ვეკფილდში სამმა რამემ ძალზედ იკლოო: მღვდლის ამპარტავნებამ, ყმაწვილ-ქალ-კაცთ არშიყობამ და ტრასტირში ქეიფობამაო.

მე საშინლად მიყვარდა ქორწინებაზედ ლაპარაკი და ბევრს ქადაგებაში ცხარედ ვამტკიცებდი ქორწინების უპირატესობას. გარდა ამისა ყოველის ღონისძიებით ვცდილობდი გამევრცელებინა და დამეფარა ერთი მუხლი ჩემის სწავლისა: მე ვამტკიცებდი და ვისტონიც ამტკიცებს, რომ ინგლისის ეკკლესიის მღვდელს პირველის ცოლის სიკვდილის შემდეგ არ უნდა მი-

ქცეს ნებას მეორეს ცოლის შერთვისა; ერთის სიტყვით, მე ვიყავ სასტიკი მონოგამისტი (ერთ-ცოლობის მომხრე).

პირველადვე, მე წმინდად შევისწავლე ეს მძიმე საგანი, რომელზედაც მრავალი მეცნიერული სჯა არის დაწერილი; თვითონ მეც რამდენიმე წიგნი დავბეჭდე ერთ-ცოლობის თაობაზედ, მაგრამ, რადგან ეს წიგნები გასყიდვას არ ღირსებიან, იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი თხზულებანი მხოლოდ რამდენსამე ალმორჩეულს პირს წაუკითხავს.

ზოგიერთი ჩემი მეგობრები ამ ჩემს სწავლას ჩემს სუსტს მხარეს ეძახოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი თავის დღეში არ დაიფიქრებულან ამ მძიმე საგანზედ; მე კი, რაც მეტსა ვფიქრობდი მაზედ, იმდენად უფრო ღირს-საცნობად მეჩვენებოდა.

თვით ვისტონსაც გადავაჭარბე ჩემის სწავლის გავრცელებაში და როგორც იმან დააწერინა თავის ცოლის საფლავის ქვაზედ, რომ ის იყო ერთად-ერთი ცოლი უილიამ ვისტონისა, მეც დავუწერე ეპიტაფია (საფლავის ქვაზედ ზედ-წარწერა) ჩემს ცოლს, თუმცა კი ჯერ ცოცხალი იყო. ამ ზედ-წარწერაში მე ვაქებდი მის გონიერებას, ყაირათს და მორჩილებას სიკვდილის დღემდე; მე გადავწერე ეს ეპიტაფია, ჩავასმევინე ძვირფასს რამკაში და ბუხრის თავზედ ჩამოვკიდე. ეს ეპიტაფია უხსნიდა ჩემს ცოლს მის ვალდებულებას ჩემდამი, ჩემს ერთგულებას, აგონებდა, რომ კარგი სახელი დაიგდოს და მუდამ თვალ-წინ უსატავდა მომავალს მის აღსასრულს.

მე ისე რიგად და ისე ხშირად ვაქებდი ქორწინებას, რომ იქნება ამ მიზეზით ჩემს უფროსს შვილს, უნივერსიტეტიდამ გამოვიდა თუ არა, შეუყვარდა ქალი ერთის ძლიერ მდიდარის მღვდლისა, რომელიც ჩვენს ახლო სცხოვრობდა. ამ ქალს ერ-

ქვა არაბელლა უილმოტ. იმის მამას შეეძლო დიდი მზითევი მიეცა თავის ქალისთვის, მაგრამ მზითევი არაფრად ჩაიგდებოდა იმის სხვა ღირსებასთან. გარდა ჩემის ქალებისა, ყველანი ამბობდნენ, რომ არაბელლა უნაკლულო მშვენიერება არისო. ძლიერად მოქმედებდა ადამიანზედ მისი სიყმაწვილე, სისაღე და უმანკოება, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებდა მისი მომხიბლავი სინაზე და კეთილი გული, ასე რომ თვით მოხუცებულნიც კი გულ-გრილად ვერ უყურებდნენ იმ ქალს.

ბატონს უილმოტს, ქალის მამას, სჯეროდა, რომ მე შემეძლო კარგი შეძლება მიმეცა ჩემის შვილისათვის და ამის გამო უარს არ ამბობდა მათს შეუღლებაზედ; ორივ ოჯახი ვიყავით ერთმანერთში გულ-წრფელად და ტკბილად, როგორც შეეფერება მოყვრებს ქორწინების წინ. მე თითონ გამოცდილი მქონდა, რომ ქორწილის წინ ახალ-გაზდანი ერთმანერთს ყოველისფერს უთმობენ, და ეს დრო უბედნიერესი დროა კაცის სიცოცხლეში; ამიტომაც გავაგრძელე ეს დრო და სიამოვნებით ვხედავდი, რომ ყოველ-დღე ერთმანერთის ნახვა და სხვა და სხვა შექცევით დროს გატარება უფრო უცხოველებდა სიყვარულს ახალ-გაზდა ქალ-ყმას.

დილ-დილით ჩვეულებრივ მუსიკა გვაღვიძებდა და კარგს დარში მივდიოდით სანადიროდ. საუზმესა და სადილს შუა ქალები ირთვებოდნენ და კითხულობდნენ; ცოტას რომ წაიკითხავდნენ, სარკეში ჩაიხედავდნენ ხოლმე და თვით უსასტიკესი ფილოსოფოსი დაგვეთანხმება, რომ ხშირად სარკე წიგნის უმშვენიერესს გვერდს წარმოგვიდგენს.

სადილობის დროს თავს ყოველთვის ჩემი ცოლი იჭერდა; თავის დედის მსგავსად ის საჭმელს სხვას არ ანებებდა დასარიგებლად და დარიგების დროს ყოველ თავ—საჭმლის ამბავს

მოგვითხრობდა. სადილს შემდეგ მე არ მინდოდა ქალების საზოგადოებას მოვშორებოდი; ამისთვის სტოლს ავალებინებდი ხოლმე; პურის საჭმელი ოთახი სასტუმროთ გადაიქცეოდა და ქალები მუსიკის მასწავლებლის შემწეობით სანდისხან სასიამოვნო კონცერტს გვიმართავდენ.

მთელს დღეს სიამოვნებით ვატარებდით სეირნობით, ჩაის სმით, ტანცაობით და ფანტის თამაშობით. ქაღალდს არავინ არა თამაშობდა; რადგან მე მძაგდა ყოველივე გატაცებული თამაშობა, ნარდს გარდა; ნარდს კი ხანდისხან ვთამაშობდი ერთს ჩემს ძველს მეგობართან; სულზედ შაური მოდიოდა. გული მიშფოთავს, როცა ერთი საკვირველი ცუდი შემთხვევა მაგონდება ჩვენის უკანასკნელის თამაშობისა; მე ჩარი მეჭირვებოდა და ხუთჯერ კი ზედი-ზედ დუ-იაქ მომივიდა!

ასე გაირბინა რამდენიმე თვემ; დროც იყო დაგვენიშნა ქორწილის დღე ახალ-გაზდა ქალ-ყრმისათვის, რომელნიც მოუთმენელად მოელოდენ ამ დღეს. მგონი, საჭირო არ იყოს აღვიწეროთ მოსაქმეობა და სიამაყე ჩემის ცოლისა ქორწილისთვის მომზადების დროს და ქვეშ-ქვეშად ცქერა ჩემის ქალებისა. ჩემი აზრები კი, სწორე გითხრათ სხვა საგნით იყვნენ გართულნი: მე ვწერდი ჩემს თხზულებას ერთ-ცოლობაზედ, რომლის დაბეჭდვასაც მალე ვაპირებდი. ეს შრომა უნაკლულოდ მეგონა და ისე აღტაცებაში ვიყავ მისგან მოსული, რომ ვეღარ მოვითმინე და ვაჩვენე ჩემს მეგობარს უილმოტს; დარწმუნებული ვიყავ, მომიწონებდა; მაგრამ, ბოლოს შევიტყე, რომ ის სულ სხვა აზრისა იყო და მიზეზიც ჰქონდა: სამი ცოლი მოჰკვდომოდა და ახლა მეოთხის შერთვას აპირებდა.

რასაკვირველია, ამ ამბის შემდეგ ცხარე ბაასი გაიმართა ჩვენს შორის და იქნება ჩვენის შვილების ქორწინებაც მოშ-

ლილიყო; მაგრამ, ჩვენ დავაწყვეთ, რომ ქორწილის წინა-დღით შევყრილვიყავით და უფრო ვრცლად გაგვეშინჯა ეს საგანი. ყოველი ჩვენგანი მტკიცედ იდგა თავის აზრს და ბაასიც გაცხარებული გაიმართა; არცერთმა არ დავიწიეთ უკან. უილმოტი ამტკიცებდა, რომ მე რჯულის გადამდგომი ვარ, მე კი ვუმტკიცებდი, რომ ის მართლ-მადიდებელი არ იყო. ის პასუხს მიგებდა, მე საბუთებს ვურღვევდი. ამ გაცხარებულის ბაასის დროს ერთმა ჩემმა ნათესავმა კარში გამიხმო და მწუხარების სახით მირჩია, რომ ყოველისფერში დავთანხმებულვიყავ ჩემს მოპირდაპირეს, ქორწილის გათავებამდის მაინც.

— რას მეუბნები, დავიყვირე მე, დავანებო თავი ჭეშმარიტებას და ჩემს მოპირდაპირეს მივცე ნება ხელასხლად ცოლის შერთვისა, როდესაც თითქმის დავუმტკიცე სრული უგვანობა იმის აზრისა! ისა სჯობს მირჩიოთ, სრული ჩემი ქონება წყალში გადავყარო, ვიდრე ჩემის აზრისთვის თავი დამანებებინოთ!...

— სამწუხაროდ, უნდა გამოგიცხადოთ, გამაწყვეტინა სიტყვა ჩემმა მეგობარმა, რომ თქვენი ქონება უმაგისოთაც დაღუპულია. რომელ ბანკირსაც კი თქვენი ფული ჰქონდა მიბარებული, გაიქცა და აუცილებელს კოტრობას მით გადაურჩა; დანარჩენის მისის ქონებიდამ მოვალეებს იქნება მეოცედიც არ შეხვდეთ მათის ფულისა. მე არ მინდოდა შემეწუხებინეთ არც თქვენ და არც თქვენი სახლობა ამ უსიამოვნო ამბით, ვიდრე თქვენი შვილი ჯვარს არ დაიწერდა და თავის ცოლის მზითევს არ მიიღებდა.

— არა, ვუპასუხე მე, თუ ეგ ამბავი მართალია და მე მართლა გავღატაკებულვარ, სიღარიბე მე ვერ გამაუპატიოსნებს; ეხლავ ყველას შევატყობინებ ჩემის ბედის შეცვლას და რაც

კი ბაასს შეესება, მე აღარ ვეთანხმები იმაზედაც, რაზედაც თითქმის დავეთანხმე წეღან და არას დროს არ ჩავთვლი კანონიერად ახალს ქორწინებას ბატონის უილმოტისას.

საჭირო არ არის, აღვწერო ორივ სახლობის შთაბეჭდილება ჩემის უბედურების გაგების შემდეგ, მაგრამ ეს შთაბეჭდილება რა იყო საქორწილო ქალ-ყრმათ მწუხარებასთან შედარებით!

უილმოტს უწინაც ბევრად არაფრად მიაჩნდა ეს კავშირი და ეხლა ერთს წუთსაც არ შეჩერებულა; ორივ ახალ-გაზდის იმედი მოსპო მაშინვე. მხოლოდ ერთი სიკეთეღა ჰქონდა მას: ეს იყო სიფთხილე; ხშირად მარტო ეს სიკეთეღა რჩება სამოც-და-თორმეტის წლის კაცს.

## თავი III.

გარდასახლება. ბედნიერი იქნება ცხოვრება, თუ არა, თითონ კაცზედ არის დამოკიდებული.

ერთიღა იმედი გვქონდა დარჩენილი: იქნება ჩვენის ქონების დაკარგვის ამბავი გაზვიადებული იყო, ან ბოროტის ენისაგან მოგონილი; მაგრამ მალე ჩემის ქალაქის აგენტის წერილმა დაწვრილებით შემატყობინა ამ საქმის ვითარება და ყოველივე იმედი ჩაგვიშალა. სიმდიდრის დაკარგვა საკუთრივ ჩემთვის დიდად საგრძნობელი არ იყო, მაგრამ მე ვწუხდი ჩემს ცოლ-შვილზედ, რომელიც კეთილ-ცხოვრებას შეჩვეული იყო და ეხლა კი უნდა აეტანა ყოველ-გვარი ნაკლულევანება და სიღარიბისაგან თავის დამდაბლება. ორი კვირის განმავლობაში მე არასფერს ნუგეშს არ ვაძლევდი ჩემს ცოლ-შვილს, რადგან

დარწმუნებული ვიყავ, რომ უდროო-დროს ნუგეში მხოლოდ განუახლებდა მათ ჩვენის უბედურების შთაბეჭდილებას.

მე მხოლოდ იმაზედ ვფიქრობდი, როგორ შემენახა ჩემი სახლობა შემდეგში. ამ დროს მომაძლიეს მე პატარა ადგილი ერთს განშორებულს სოფელში და წელიწადში თუთხმეტი გირვანქა სტერლინგი დამინიშნეს. იქ ეს მაინც შემეძლო, რომ ჩემი წესი და ჩემი აზრები არ დამეტოვებინა; ამის გამო სიამოვნებით მოვკიდე ხელი ამ ადგილს და, შემოსავლის გასადიდებლად, ავიღე აგრეთვე იჯარით ერთი პატარა ფერმა.

ეს რომ გადავწყვიტე, შევაგროვე ჩემი დაღუპულის ქონების ნაშთი და ვალების გასტუმრების შემდეგ გამოჩნდა, რომ თოთხმეტ ათასის გირვანქა სტერლინგიდამ მხოლოდ ოთხასიღა დამრჩენოდა.

ამ ცვლილების კვალობაზედ მოვიწადინე ჩემის სახლობის ამპარტავნება ყოვლის ღონისძიებით შემემცირა; მე ვიცოდი, რომ ქვეყანაზედ ღარიბს ამპარტავანზედ უგვანი არა იყო რა.

— იცით, შვილებო, ვუთხარი მე, არავითარს გონიერებას არ შეეძლო დავეფარეთ იმ უბედურებისაგან, რომელიც ჩვენ გვეწვია, მაგრამ გონიერებას შეუძლიან დაგვიფაროს ესლა და ამ უბედურებას ცუდი ნაყოფი არ გამოაღებინოს. ჩვენ დავღარიბდით, საყვარელო შვილებო, და გონიერება გვეუბნება, რომ ვიცხოვროთ ღარიბთა კვალობაზედ. მაშ დავანებოთ თავი უწინდელს კეთილ-ცხოვრებასა და განცხრომას, მოვიგონოთ, რომ ბევრი ფუფუნებით მცხოვრები ძალიან უბედურია და ჩვენს საწყალს ბედში ვეძიოთ სულის სიმშვიდე, რომლის წყალობით ყველას შეუძლიან ბედნიერებას მიაღწიოს. ღარიბნი უჩვენოთაც მხიარულადა სცხოვრობენ, რატომ ჩვენ კი არ უნდა შევეჩვიოთ სხვის შეუწევნელად ცხოვრებასა. დღევანდელის

დღიდამ დავანებოთ თავი ყოველსავე ნებივრობას; ჩვენ კიდევ ბევრი საშუალება გვაქვს, რომ ბედნიერად ვიცხოვროთ; შეძლება მართალია აღარა გვაქვს, მაგრამ გულით ვიყოთ კმაყოფილნი.

ჩემმა უფროსმა შვილმა კურსი გაათავა და მე განვიზრახე მისი ლონდონში გაგზავნა, სადაც იმას თავის ნიჭით შეეძლო თავის-თავიც ეცხოვრებინა და იქნება ჩვენცა. სიღარიბეს ყოველთვის ნათესავებისა და მეგობრებისაგან განშორება მოსდევს და ამისთვის არის ძნელად ასატანი; მოვიდა დღე ჩვენის ერთმანერთთან გამოთხოვებისა; ჩემი შვილი გამოეთხოვა თავის დედას, დებსა და ძმებს, რომელთაც ხვევნა-კოცნა და ცრემლები ერთათ აურიეს და მოვიდა ჩემთან დასალოცავად. მე მხურვალეს გულით დავლოცე იგი და თან ხუთი გინეია (ერთი გინეია—შვიდი მანეთია) მივეცი; იმაზედ მეტის მიცემა მე იმ ჟამად არ შემეძლო.

— მიდიხარ ლონდონს ქვევითი, საყვარელო შვილო ჩემო, როგორც ერთი შენი წინა-პარი, გამოჩენილი გუკერი დადიოდა; მიიღე ჩემგან იგივე ცხენი—აი ეს ჯოხი, რომელიც იმას კეთილმა ეპისკოპოსმა ჯუველმა აჩუქა და ეს წიგნი, რომელიც ნუგეშინის მცემელად გექნება გზაში. მაგაში იპოვი ამ სტრიქონებს, რომელთაც არა საუნჯე არ შეედრებათ: «ვიყავ ყმაწვილი, აწ მივაღწიე ჟამსა სიბერისასა და არა მინახავს მე მართალი განდევნილი და არცა თესლი მისი მთხოვნელ პურისა.» ინუგეშე ამით გზაში. ვიდოდე მშვიდობით, ძვირფასო შვილო, და რაც უნდა დაგემართოს, მაინც წელიწადში ერთხელ მაინც უნახავს ნუ გაგვიშვებ; იყავ მამაცად და ნუ დაეცემი სულით!

მე დარწმუნებული ვიყავ, რომ ჩემი შვილი პატიოსანის და კეთილშობილის ხასიათისა იყო და ამიტომ არა ვშიშობ-

დი, თუმცა თითქმის შიშველი გავისტუმრე ცხოვრების ასპარეზზედ. არ ვიცოდი გაიმარჯვებდა, თუ დამარცხდებოდა, მაგრამ გულ-დაჯერებული კი ვიყავ, რომ რაც უნდა მოსდარიყო, მაინც პატიოსანს კაცად დარჩებოდა.

ჩემის შვილის წასვლის შემდეგ ჩვენც მალე გავემგზავრენით; რაც უნდა გულ-მაგარი ვყოფილვიყავით, მაინც შეუძლებელი იყო უცრემლოთ დაგვეტოვებინა ის ადგილები, სადაც იმდენი მშვიდობიანი და ბედნიერი დღე გავატარეთ. ამას გარდა ჩვენ გვეშინოდა მოგზაურობისა სამოც-და-ათის მილის სიშორეზედ (ინგლისური მილი ვერსტ-ნახევარზედ ცოტა მეტია); არას დროს ათს მილზედ შორს ფეხი უწინ არ გადაგვედგა; უფრო მეტად დაგვაღონა კიდევ ტირილმა ჩემ სულიერ მოწაფეთა, რომელთაც რამდენიმე მილი გაგვაცილეს.

პირველს დღეს ორმოც მილამდე გავიარეთ და ერთს პატარა სოფელში მივედით; იქ ჩამოვხტით ერთს ტრახტირში დასაძინებლად. ოთახები მოგვიმზადეს თუ არა, მე ჩემის ჩვეულებისამებრ, მოვიპატიჟე ვახშმად ტრახტირის პატრონი; ის რასაკვირველია დაყაბულდა და მით უფრო მეტის ხალისით, რომ რასაც მეტს ღვინოს დალევდა, იმდენი იმატებდა ხვალინდელი ანგარიში. იმან კარგად იცოდა მთელი ის მხარე, სადაც ჩვენ მივდიოდით დასასახლებლად და იცოდა აგრეთვე ვინაობა ბატონის ტორნჰილისა, რომელიც იყო უმთავრესი მებატონე ჩემს სამრევლოში და ჩემგან იჯარით აღებულის ფერმის პატრონი. იმან მითხრა, რომ ეს ახალ-გაზდა მდიდარი კაცი მხოლოდ თავის სიამოვნებაზედ ფიქრობს და ქალებს მუსუსსავით ედებაო. არცერთი პატიოსანის ქცევის ქალი ვერ გაუმაგრდება მის თვალთმაქცობას და გამუდმებულს არშიყობას; ასე რომ ათის მილის სიახლოვეზედ იმის მოი-

ჯარადრების ქალებში ერთს ლამაზს ქალს ვერ იპოვით, რომ არ აეღოს გემო ამ მოარშიყეს ცბიერობისაო.

ამ ამბავმა არაფრად მასიამოვნა, მაგრამ ჩემს ქალებზედ კი სულ სხვაფრივ იმოქმედა: მათ სახეზედ ჩქარის გამარჯვების იმედი გამოიხატა. ჩემს ცოლსაც რწმენოდა მშვენიერება და კარგი ყოფა-ქცევა ჩვენის ქალებისა და მათზედ ნაკლებ არ იყო კმაყოფილი. ამას რომ ვფიქრობდით, შემოვიდა მეტრასტირეს ცოლი და გამოუცხადა, ორი დღის წინად ვიღაც მდგმური რომ დადგა არაფერს იძლევაო.

— როგორ თუ არაფერს იძლევა! წამოიძახა მეტრასტირემ, ეს სადაურია; გუშინ არ იყო სამი გინეა მისცა მამასახლისს ბებერის საპყრის სალდათის გამოსახსნელად, რომელსაც ძაღლის მოპარვისათვის ცემა ჰქონდა გადაწყვეტილი.

მეტრასტირეს ცოლმა მაინც დაარწმუნა თავისი ქმარი, რომ რაცა ვთქვი, სულ მართალი იყოო; მეტრასტირემ დააპირა წასვლა და კვეხულობდა, ასე თუ ისე, ჩემს ფულს მაინც არ შევარჩენ, ის ვიღაც მდგმურიაო; მე გავაჩერე იგი და ვთხოვე, გაეცნო ჩემთვის იმისთანა გულ-შემატკივარი კაცი. მეტრასტირე დაყაბულდა და შემოიყვანა ჩვენს ოთახში ერთი ოც-და-ათის—ოც-და-თორმეტის წლის კაცი სერთუკით, რომელიც ოდესმე ზუზმენტებით მორთული უნდა ყოფილიყო. ეს იყო ლამაზის სახის კაცი, კარგი წამოსადეგი და სახეზედ ეტყობოდა, რომ ფიქრსა და მოსაზრებას დაჩვეული იყო. ლაპარაკით მოკლედ და მკვახედ ლაპარაკობდა; კაცი იტყოდა, ან სულ არ იცის ხალხში როგორ უნდა მოიქცეს, ან ყურს არ უგდებს წესსა და მართებულებასაო.

გავიდა თუ არა მეტრასტირე, მე განვუცხადე უცნობს პირს მწუხარება, რომ კეთილშობილის გრძნობის კაცს იმ

გვარს უსიამოვნო ყოფაში ვხედავდი და ვთხოვე, რომ ამოე-ღო ჩემის ქისიდამ, რამდენიც კი საჭირო იყო მეტრასტორეს გასასტუმრებლად.

— დიდის სიამოვნებით მივიღებ თქვენს ფულს, მითხრა ყმაწვილმა-კაცმა, და მოხარული ვარ, რომ ჩემმა უკანასკნელმა გაუფთხილებლობამ და მთელის ჩემის ფულის გაცემამ მომცა შემთხვევა გამეგო, რომ თქვენისთანა კაცნი კიდევ არიან ქვე-ყანაზე. მაგრამ ჯერა გთხოვთ შემატყობინოთ თქვენი სახელი და გვარი და მიბძანოთ, სადა სცხოვრებთ, რომ რაც შეიძლე-ბა მალე გადავისადო ვალი ჩემის კეთილის-მყოფელისა.

მე არამც თუ შევუსრულე მისი წადილი, ვუამბე ყოვე-ლისფერი ჩვენი უბედურება და როდესაც დავუსახელე ის ადგი-ლი, სადაც მივდიოდით დასასახლებლად, გაეხარდა და მითხრა:

— არ მოველოდი ამისთანა ბედნიერს შემთხვევას; მე და თქვენ ერთი გზა გვაქვს; მე აქ ორი დღე წყლის სიდიდემ და-მაბრკოლა, მაგრამ იმედი მაქვს ხვალ შეგვეძლება წყალშიგასვლა.

მეც დიდი კმაყოფილება გამოვაცხადე მასთან ერთად მოგ-ზაურობისა და ჩემმა ცოლმა და ქალებმა ჩემს თხოვნას თა-ვიანთი თხოვნაც ზედ დაურთეს, რომ დაეთანხმებინათ უცხო კაცი, ჩვენთან ერთად ეჭამა ვახშამი.

ჩვენი ახალი ნაცნობი ისე სასიამოვნოდ და ჭკვიანად ლა-პარაკობდა, რომ ჩვენმა საუბარმა დიდ-ხანს გასწია; კარგად დაგვიანდა და მოვიდა დაწოლის დროც; ჩვენ გვეჭირვებოდა ძილში ახლად ღონის შემოკრეფა, რომ მეორეს დღეს ადვი-ლად აგვეტანა მგზავრობის წვალება და დაღალულობა.

დილაზედ ყველანი ერთად გავემგზავრენით; ჩემი ცოლი და ქალები ცხენებით იყვნენ და ჩვენი ახალი მეგობარი, ბორ-ჩელი, ფეხით მისდევდა ბილიკს შარა-გზის გასწვრივ. ის ღი-

მილით შესცქეროდა ჩვენს ჯაგლაგს ცხენებს და ერთხელ სიტყვაც გამიტარა, რომ არ მებრალებოდეთ, დიდი-ხანია გაგისწრობდითო.

წყალი ჯერ სრულად არ დაპატარებულიყო; ჩვენ მოგვინდა გზის მაჩვენებლის დაჭერა, რომელიც წყალში წინ მიგვიძღოდა; მე და ბორჩხელი უკან მივდიოდით. გზაში დროს ვატარებდით სხვა-და-სხვა ფილოსოფოსურის ბაასით, რომელშიაც ჩვენი მგზავრი ძალიან გავარჯიშებული იყო. მე ყველაზედ მეტად ის მაკვირვებდა, რომ, თუმცა ბორჩხელმა ჩემგან ფული ისესხა, თავის აზრებზედ ისე მტკიცედ იდგა, თითქო მე მესესხოს იმისგან ფული და არა იმას ჩემგან.

გზაზედ ის მეუბნებოდა ხანდისხან, ეს სახლი ამა და ამ მებატონეს ეკუთვნისო.

— აი ეს სახლი, მითხრა იმან და მანიშნა თითით ერთს მშვენიერს სახლზედ, რომელიც შარა-გზაზედ ცოტა მოშორებით იყო, ეკუთვნის ტორნგილს, ახალ-გაზრდა მებატონეს, და დიდის შეძლების პატრონს. მაგრამ ის სრულებით თავის ბიძის, უილიამ ტორნგილის, ზედამხედველობის ქვეშ არის; თითონ ბიძა ძალიან ცოტასა ხარჯავს, უფრო დედა-ქალაქში სცხოვრობს და თავის მამული თავის ძმისწულისთვის მიუნდვია.

— იქნება მართალა, გავაწყვეტინე სიტყვა, იქნება ჩემის ფერმის პატრონი არის ძმისწული იმ კაცისა, რომელიც თავისის ქველ-მოქმედებით, სიუხვითა და უცნაურის ხასიათით ყველასგან ცნობილია? ამბობენ, უილიამ ტორნგილი დიდად კეთილის სულისა და დიდად სათნოა, მაგრამ იმისთანა ახირებულს კაცს მთელს ჩვენს სახელმწიფოში ვერ შეხვდები; მის სიუხვეს საზღვარი არა აქვსო.

— ეგ შესაძლებელია, მომიგო ბორჩხელმა, ეს კი ვიცი, რომ

ყმაწვილობაში მისმა ქველ-მოქმედებამ ზომას გარდააცილა. მაშინ ისე საშინლად ეტანებოდა კეთილ-საქმეებს, რომ მისმა გულ-შემატკივრობამ და ადამიანის შებრალებამ სიგიჟემდის მიაღწევინა. ყმაწვილობიდამვე სცდილობდა გამოსულიყო დახელოვნებული ჯარის კაცი და ღირსეული სწავლული; მართლაც, სამხედრო სამსახურშიაც თავი ძალიან გამოიჩინა და მწერლობაშიაც, მაგრამ პირ-მოთნეობა ჩვეულებრივ ბედნიერების თავ-მოყვარე შვილთ უკან დასდევს, რადგან ისინი უფრო მეტს კმაყოფილებასა გრძნობენ პირ-მოთნეობისაგან. უილიამსაც ასე დაემართა: იმას გარშემო ეხვია გუნდი და გუნდი იმისთანა პირთა, რომელნიც იმის ხასიათის მხოლოდ ერთს მხარეს უქებდენ და იმასაც ისე განუსაზღვრელად სტკიოდა გული ადამიანის უბედურებისთვის, რომ თავის-თავზედ სრულებით აღარა ჰფიქრობდა. იმას უყვარდა ყველა, რადგან მოღიმარე ბედი მისი უშლიდა შეეტყო, რომ ადამიანებში ბევრი მაცთური კაცი ურევია. ექიმები ამბობენ, არის ერთ-რიგი ავათ-მყოფობაო, რომლის დროსაც სხეული ისე მგრძნობიარეა, ოდნავ რომ შეასხო ხელი, ავათ-მყოფი ტკივილსა გრძნობსო. რასაც ამ შემთხვევაში ავათ-მყოფები გრძნობენ, მასვე გრძნობდა ის კაციც თავის გულში. მცირედიც არის სხვის ტანჯვა, ნამდვილი, თუ მოგონილი, გულს უგმირავდა და ავათ-მყოფსავით აგრძნობინებდა. რასაკვირველია, ამისთანა გულ-უხვს კაცს ბევრი მთხოვნელი ეყოლებოდა გარსა. ამ უზომო ფანტვამ ძირს დაამხო მისი შეძლება, მაგრამ ხასიათი მაინც ვერ გამოუცვალა; გამოუცვალა კი არა, რაც უფრო აკლდებოდა ღონისძიება სხვების შეწევნისა, ეს შეწევნის სურვილი უფრო მეტად უცხოველდებოდა და იქამდე მიაღწია, რომ თუმცა

გონიერს კაცსავით სჯიდა, მაგრამ საქმით კი გიჟს დაემ-
ზგავსა.

მთხოვნელების რიცხვი თან-და-თან უფრო მრავლდებო-
და და რადგან ფულის მიცემა აღარ შეეძლო, დაპირებით ბევრ-
სა ჰპირდებოდა; დაპირების მეტი რაღა ჰქონდა, რა დაერი-
გებინა! უარის თქმით არ უნდოდა შეეწუხებინა ვინმე. ბევრი
იმედ-მიცემული სთხოვდა დანაპირებს, მაგრამ ეს იმედი მალე
უცრუვდებოდათ, თუმცა ტორნგილს გულ-წრფელად სურდა მა-
თი შველა. ეს ხალხი რამდენსამე ხანს კიდევ ეხვია გარს, მაგ-
რამ მერე ყველამ მიატოვა, შეიძულა იგი და ავსებდა ღირსე-
ულის საყვედურით; ის გახდა საზიზღარი სხვების თვალში და
თავის თვალშიაც. აქამდის მისი გული პირ-მოთნეობითა საზ-
დოობდა, მაგრამ ეს საზრდოც მოესპო და მასთან მოესპო
ყოველივე ნუგეში. ქვეყანა მაშინ სულ სხვაფრად ეჩვენა მას.
ვინც კი ნამდვილი, გულ-წრფელი მეგობარი ჰყავდა, რიგიანს
რჩევას აძლევდა, მაგრამ ტორნგილი ამ რჩევას ყურს არ უგ-
დებდა; უარ-ყოფილს რჩევას მოჰყვა საყვედური. მხოლოდ მა-
შინ იგრძნო იმან, რომ მისი კეთილის გულით მოზიდული
ცრუ-მეგობრები არ იყვნენ ღირსნი პატივისცემისა; იგრძნო,
რომ ვისაც კი სხვის გულის მოპოვება უნდა, თავის გულიც
უნდა გადაუშალოს მას, მე ვნახე მაშინ რომ...რომ... რას ვამ-
ბობდი, დამავიწყდა? ჰო, იმან გადასწყვიტა, რომ თავისი-თავი
აღარავის დააბრიყვებინოს და განიზრახა თავის ქონების აღ-
დგენა. ამ აზრით იმან ქვეყანა შემოიარა მთელი ევროპა და
ეხლა თუმცა ოც-და-ათის წლისა მეტისა არ არის, მაგრამ
მაინც მოასწრო თავის საქმეების წესზედ დაყენება და უწინ-
დელზედ უფრო მეტად გამდიდრდა. ეხლაც, თუმცა კიდევ
ბევრს კეთილს საქმეს სჩადის, მაგრამ ზომიერად და გონიე-

რებით; თითონ კი ისევ ახირებულის ხასიათისაა და მხოლოდ იმისთანა კეთილს საქმეს ეწყობა, რომლის შესრულება ძვირად შესვდება კაცსა.

მე ისეთის ყურადღებით ვისმენდი ბორჩელის ნაამბობს, რომ აქეთ-იქით არც კი ვიხედებოდი; უცებ შემოგვესმა საშინელი კივილი ჩემის ცოლ-შვილისა; მოვიხედე და საზარელი სანახავი დავინახე: ჩემი უმცროსი ქალი შიგ შუა წყალში ჩავარდნილიყო და საცოდავად თითქო ჩქარს ზვირთებს ებღაუჭებოდა; ორჯერ დაიმალა ზვირთებს ქვეშ და მე კი შველა ვეღარ მოვახერხე; შიშმა ისე მომკვეთა მუხლი, რომ ადგილიდამ ვეღარ დავიძარ. უეჭველად დაიღუპებოდა, ჩემი ამხანაგი რომ არ შევარდნილიყო წყალში საშველად; რის ყოფითა და ამბით გამოათრია ჩემი ქალი წყლის ნაპირზედ. მოვნახეთ ფონი ცოტა ზემოთ, მშვიდობით გავედით წყალსა და ჩვენს მადლობას ზედ დაერთო აღუწერელი მადლობა ჩემის სიკვდილიდამ დახსნილის ქალისა თავის დამხსნელისადმი. თავის გრძნობას ის უფრო თვალებით აცხადებდა, ვიდრე სიტყვით. თუმცა შიში აღარაფრისა იყო, მაინც ჩემი ქალი ბორჩელის მკლავზედ იყო დაყუდებული, თითქო მისი შემწეობა სასიამოვნოდ მიაჩნდა. ჩემმა ცოლმაც განაცხადა სურვილი, რომ მოხარული ვიქნები, ჩემს სახლში შევიძლო თქვენი პატივისცემა ამ გვარის თავ-განწირულებისთვისაო.

იქვე ახლო ტრასტირში დავისვენეთ, ვჭამეთ პური და გამოვეთხოვეთ ბორჩელს, რომელიც სხვა გზით უნდა წასულიყო. გზაზედ ჩემმა ცოლმა გვითხრა, ბორჩელი მაღიან მომწონსო; კაის გვარისა რომ ყოფილიყო და იმდენი შეძლება ჰქონოდა, რომ ჩვენისთანას ოჯახის მოყვრობის ღირსი იყოს, მაგაზედ უკეთესს სასიძოს ვერ ვიშოვნიდითო. მე

ღიმილი მომივიდა ესეთი ამპარტავნობით ჩაგონებული სიტყვები რომ გავიგონე, მაგრამ თავის დღეში არ გავუჯავრებივარ იმ გვარ ოცნებებს, რომელნიც ჩვენ გვანუგეშებენ და დაკლებით კი არავის რას აკლებენ.

## თავი IV.

სიღარიბეშიაც შეიძლება კაცი ბედნიერი იყოს, რადგან ბედნიერება უფრო გულის კმაყოფილებაზედ არის დამოკიდებული, ვიდრე სხვა-და-სხვა გარემოებაზედ.

ჩვენი ახალი სახლი იყო ერთს პატარა მხარეს, რომელშიაც სულ იჯარადრები ესახლნენ; ესენი თვითონვე მუშაობდენ თავიანთ მიწებში და არც მდიდრად სცხოვრობდნენ, არც ღარიბად. მათ თითქმის ყოველივე სახლით ჰქონდათ, რაც კი ცხოვრებისთვის საჭიროა და ქალაქში ძვირად ჩადიოდნენ სხვა-და-სხვა ძვირ-ფასის სავაჭროს საყიდლად. განათლებულს ქვეყნებზედ ისე მოშორებულნი იყვნენ, რომ სრულიად უცვლელივ დაეცვათ ძველი წესი და ჩვეულება და ისე მისჩვეოდნენ ზომიერებით ცხოვრებას, რომ ზომიერებას კეთილ-საქმედ არც კი სთვლიდნენ. საქმის დღეებში მხიარულად მუშაობდნენ, მაგრამ უქმეებს კი არას სტეხდენ, მხოლოდ ისვენებდნენ და შექცევოდნენ; შობა დღეს მაღალის სიმღით ადიდებდნენ ქრისტეს; წმინდა ვალენტინის დღესასწაულს დღეს უგზავნიდნენ ერთმანერთს შემოსატულს არშიყობის ბარათებს; ყველიერში ქადებსა სჭამდნენ; პირველს აპრილს ოხუნჯობდნენ და მიქელ-გაბრიელის დღესასწაულობის წინა-დღეს შემწვარს ხილს შეექცევოდნენ.

შეიტყეს თუ არა ჩვენი მისვლა, მთელის სოფლის მცხოვრებნი, საუკეთესო ტანისამოსით, სალამურითა და დოლით გამოგვეგებნენ, როგორც თავიანთს სულიერს მამას. ჩვენის მისვლის გამო სადილიც გაგვიმართეს: ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ მათი დაპატიჟება და თუმცა სადილის დროს ლაპარაკში ოხუნჯობა ნაკლებად იყო, მაგრამ სიცილით კი ბევრი ვიცინეთ.

ჩვენი პატარა სახლი იყო აშენებული მთის ძირში და მშვენიერი ტყე იფარავდა მას ქარისაგან; წინ წყარო ჩამოუვლიდა, გვერდზედ ლამაზი მინდვრები მოჩანდნენ. ჩემს ფერმაში იყო ოცამდე დღის ხნული მიწა, რომლისათვისაც ჩემს მოადგილეს ასი გირვანქა სტერლინგი მივეცი. მშვენიერი რამ იყო ჩემის მინდვრების გარშემო შემორტყმული ღობე, რომელსაც სხვა-და-სხვა ბუჩქები და ხეები შეადგენდნენ. ჩვენი სახლი იყო ერთ-სართულიანი, ჩალით დახურული და იდგა მეტად მყუდრო ადგილას. შიგნით კედლები სუფთად იყვნენ გათეთრებულნი და ჩემმა ქალებმა იკისრეს მათი დამშვენება თავიანთივე დახატულის სურათებით. ერთი და იგივე ოთახი სასტუმროც იყო და სამზარეულოც, მაგრამ ამის გამო უფროდაც თბილოდა ამ ოთახში; სუფთაობას ნუღარა ბძანებთ: ხონჩები, თეფშები და სხვა ჭურჭელი მშვენივრად იყვნენ დაწმენდილნი და დალაგებულნი თაროებში; ოთახს ისინი სასიამოვნო შესახედაობას აძლევდნენ: უკეთესი სამკაული რა- და საჭირო იყო! გარდა ამისა გვქონდა სამი საწოლი ოთახი: ერთი ჩემთვის და ჩემის ცოლისთვის; მეორე ჩემის ორის ქალისთვის; მესამეში ორის ჩემის ვაჟის ლოგინები იდგნენ. ეს პატარა რესპუბლიკა მისდევდა ჩემგან დაწესებულს კანონებს და შემდეგს წესს: ამოვიდოდა მზე თუ არა, საერთო

ოთახში შევიყრებოდით, სადაც მოსამსახურე გოგოს წინ-და-წინვე ცეცხლი დანთებული ჰქონდა. ჯერ ერთმანერთს ზდილობიანად მივესალმებოდით; მე ყოველთვის ზდილობის გარეგანის წესის მომხრე ვიყავ, ურომლოდაც თავისუფლად ქცევა ხშირად ამცირებს მეგობრობას; შემდეგ დავიჩოქებდით და შევწირავდით მადლობას ყოვლად-ძლიერს, რომელმაც ღირს-გვყო ახალის დღის სინათლის ნახვად. ამ წმინდა მოვალეობას რომ მოვიშორებდით, მე და ჩემი ვაჟი მივდიოდით სამუშაოდ, ჩემი ცოლი და ქალები კი საუზმეს გვიმზადებდენ; საუზმე ყოველთვის თავის დროზედ მზად იყო. საუზმესთვის გადადებული გვქონდა ნახევარ-საათი; სადილად კი მთელი საათი ვისხედით და კარგა მხიარულად ვატარებდით დროს: ჩემი ცოლი და ქალები სხვა-და-სხვა უბრალო საგნებზედ ლაპარაკობდენ, მე და ჩემი ვაჟი კი ვლაპარაკობდით ფილოსოფოსურს საგნებზედ.

განთიადისასა ვდგებოდით და მზის ჩასვლის შემდეგ არას დროს არ გვიმუშავნია; მაშინვე შინა ვბრუნდებოდით, სადაც გველოდა ჩემის ცოლ-შვილის მხიარული სახე და მხიარულივე ცეცხლი ბუხარში. ხანდისხან სტუმრებიც მოგვდიოდენ; ჩვენი ყბედი მეზობელი, მოიჯარადრე ფლამბორო და ზოგჯერ ბრმა მემუსიკე შემოდიოდენ ერთის პაწია სტაქნის კინკრიყოს წვენის დასალევად, რომელსაც უწინდელის ხელოვნებითვე სანაქებოდ ვაკეთებდით. ეს კეთილი-კაცები ყოველთვის ცდილობდენ ჩვენს გამხიარულებას სხვა-და-სხვა ღონისძიებით: ერთი სალამურს უკრავდა, მეორე რომელსამე სიმღერას ამბობდა, მაგალითად: «უკანასკნელი გამოსალმება მკლავ-მაგარის ნაცარ-ქექიასი» ანუ „საშინელი ავ-კაცობა ბარბარე ალენისა.“

დღე ისევე გვითავდებოდა, როგორც იწყობოდა: ჩემი

უმცროსი შვილები ჰკითხულობდეს გასაკვეთებს საღვთო წერილიდამ და რომელიც კი მეორეზედ უფრო მაღლა, გარკვევით და უკეთესად წაიკითხავდა, მიიღებდა საჩუქრად ერთს შაურს მომავალს კვირას საყდრის ყუთში ჩასაგდებად.

კვირა დღე ჩემის ქალებისათვის მორთვა-მოკაზმვის დღე იყო; ვერა ღონისძიებით ვერ დავაშლევინე იმათ ეს მორთვა-მოკაზმვა, ვერც აღკრძალვით, ვერც დარიგებით. ბევრსა ვქადაგებდი წინააღმდეგ პატივ-მოყვარეობისა, ამპარტავნებისა, მდიდრულად ცხოვრებისა, მაგრამ მაინც ვერ აღმოვფხვერ მათს გულში ძვირ-ფასის ტანისამოსის სიყვარული; ლენტები, მძივები, მათთვის საუკეთესო საუნჯე იყო; თვით ჩემი ცოლიც არა შორდებოდა თავის წითელს აბრეშუმის მანტილიას, რომელზედაც ერთხელ ეშმაკად ვუთხარ, ძალიან გიხდება მეთქი.

მეტადრე შემაწუხა ჩემის ცოლ-შვილის ქცევამ პირველს კვირას ჩვენის მოსვლის შემდეგ. წინა-დღით ვუთხარი ჩემს ქალებს, ადრე ჩაეცვათ წირვაზედ წასასვლელად; მე ყოველთვის ვცდილობდი საყდარში ჩემს სულიერს მოწაფეებზედ ადრე მივსულიყავი. იმათ აღასრულეს ჩემი სიტყვა, მაგრამ როდესაც საუზმის საჭმელად შევიყარენით, დავინახე, რომ ჩვენი ქალები ისევ უწინდელებურად მორთულიყვნენ: თმებზედ პომადა წაესვათ, პუდრი წაეყარათ; ლოყებზედ მოდურად სალები გაეკეთებინათ; კაბებზედ ისეთი კუდები მისთრევდათ, რომ ოდნავ შეინძრევოდენ თუ არა, საშინელი შაში-შუში გაჰქონდათ. მწარე ღიმილი მომივიდა, ეს ამპარტავნება რომ დავინახე; მეტადრე ჩემის ცოლისაგან არ მოველოდი ესეთს შეუფერებელს ქცევას. ამ ძნელს მდგომარეობაში რომ ვიყავ, უკანასკნელი ღონე ვიხმარე: მივუბრუნდი ჩემს ვაჟს და მედი-

დუნად ვუთხარ, კარეტა მოაყვანინე მეთქი. ქალები განცვიფ-რდენ, მაგრამ მე ჩემი ბძანება კიდევ უფრო მედიდურად გან-ვიმეორე.

— შენ, კეტუშა, სუმბათის ქეიფშიდა ხარ, მითხრა ჩემმა ცოლმა, ჩვენ ფეხითაც კარგად წავალთ; ეხლა რა საჭიროა ჩვენთვის კარეტა?

— რატომ, ჩემო საყვარელო, ჩვენთვის კარეტა ძალიან სა-ჭიროა; აგრე ჩაცმული რომ ფეხით წავიდეთ, ბავშვების მთე-ლი გროვა დაგვედევნებათ და დაცინვით არ მოგვასვენებენ.

— რა ვქნა, ჩემო საყვარელო, მომიგო ცოლმა, მე ისე მახსოვს, რომ შენ ყოველთვის გესიამოვნებოდა, როდესაც ჩვენი შვილები სუფთად იყვნენ ჩაცმულნი.

— სუფთად შეგიძლიათ იყოთ, გააწყვეტინე მე სიტყვა, და რაც უფრო სუფთად იქნებით, მე ის მესიამოვნება, მაგ-რამ ეგ სისუფთავე კი არ არის, ეგ არის თავის გამოჩენა, ეგ არის ამპარტავნება. მანჟეტებით, მაგ-სალებით და შინშილა-ჰაპილებით მხოლოდ თავს შეაძაგებთ ყველა მეზობლის—ქა-ლებს. არა, შვილებო, გავაგრძელე მე დარიგების კილოთი, თქვენი კაბები უნდა გადაკეთდეს, უნდა გაუბრალოვდეს, რად-გან ჩვენ თითქმის იმდენიც კი არა გვაქვს, რომ საჭირო რაც არის, ის ვიყიდოთ, და მოსართავ-მოსაკაზმის ყიდვა რა მარ-თებულია! მე არ ვიცი მართებულია ისიც კი, რომ მდიდრებ-იმდენსა ხარჯვენ ძვირ-ფას სამკაულზედ, როდესაც, ცოტა რომ ვსთქვათ, ღარიბების სიმშილი შეიძლებოდა დაიკარე-ლიყო იმითი, რაც მდიდართ ამაო ამპარტავნებას მოაკლდე-ბოდა.

ამ ყამად ჩემმა დარიგებამ გასჭრა; ქალები მაშინვე დამ-შვიდებულის სახით წავიდნენ ტანისამოსის გამოსაცვლელად

და მეორე დღეს, ჩემდა სასიხარულოდ, დავინახე, რომ ისინი, უთქმელად, თავიანთ პატარა ძმებს, რიჩარდს და უილიამს, ყილეტკებს უჭრიდნენ თავიანთ კაბის კუდებისას. ჩემთვის ის იყო კიდევ სასიამოვნო, რომ ასე შემოკლებული კაბები უფრო უხდებოდათ ჩემს ქალებს.

## თავი V.

### ახალი ნაცნობი; რისაც უფრო მეტი იმედი გვაქვს, ხშირად გვღუპავს ჩვენ.

ჩვენს სახლის სიახლოვეს ჩემს წინა-მოადგილეს ფანჩატური გაეკეთებინა, რომლის გარშემო ასკილი და სხვა-და-სხვა ყვავილები იყვნენ დარგული. როდესაც კი კარგი ამინდი იყო, საქმეს მოვრჩებოდით თუ არა, ჩამოვსხდებოდით ამ ფანჩატურში და საღამოს სიმყუდროვეში თვალს ვასიამოვნებდით სოფლის ბუნების დიდებულ სანახაობით. აქვე ვსვამდით ჩაის, რომელსაც უწინდელსავით ხშირად აღარ ვღირსებოდით, მაგრამ რაც უფრო გაგვიძვირდა მისი სმა, მით უფრო სასიამოვნო შეიქნა; უნდა გენახათ, რის ყოფით ვემზადებოდით ჩაის სასმელად. ამისთანა შემთხვევაში ორს ჩემს ბავშვს უნდა წაეკითხა რამე ჩვენთვის და მხოლოდ მაშინ მიეღოთ თავიანთი წილი. ხანდისხან, დროს გასართობად, ჩემი ქალები მღეროდნენ და გიტარას უკრავდნენ, მე და ჩემი ცოლი ყურს ვუგდებდით ამ პატარა კონცერტს, დავსეირნობდით დაბლა ყვავილებით შემკულს სერზედ, აღტაცებით ვლაპარაკობდით ჩვენს შვილებზედ და ვსიამოვნობდით ნელის ნიავით, რომელსაც მოჰქონდა ჩვენთან ჯანის სიმრთელე და ბედნიერება.

ქსრეთის ცხოვრებით ჩვენ ვიგრძენით, რომ ყოველს-გვარს მდგომარეობაში შეუძლიან კაცს სიამოვნებით იყოს. ყოველს დილას ვიღვიძებდით ახალის შრომისათვის, მაგრამ ყოველს საღამოს უდარდელად ვმხიარულებდით.

ის იყო დაიწყო შემოდგომა. ერთს უქმე დღეს ყველამ ჩვენს სასიამოვნო ალაგს თავი მოვიყარეთ. უქმე-დღეს ყოველთვის მტკიცედ ვანსხვავებდი, რადგან საქმის დღეს, დასასვენებლად, უნდა უქმე დღე მოჰყვეს; ჩვენმა ახალ-გაზრდა მომღერლებმა მორთეს თავიანთი კონცერტი; უეცრად დავინახეთ ირემი, რომელმაც იქვე ახლო, ოცს ნაბიჯზედ ჩაგვირბინა. დაღალულობაზედ ეტყობოდა, რომ ამ ნადირს მონადირენი უკან მისდევდენ; მართლაც შევამჩნიეთ თუ არა ეხა საცოდავს პირუტყვს, დავინახეთ, რომ უკან მას მონადირენი და ძაღლები გაცხარებული კვალში ჩასდგომოდენ. მე მაშინათვე მოვინდომე შინ შესვლა, მაგრამ ჩემი ცოლ-შვილი არ შემოვიდა; არ ვიცი რამ დაიჭირა ისინი გარეთ: ცნობის-მოყვარეობამ, განცვიფრებამ, თუ სხვა რამ დაფარულმა მიზეზმა. მოწინავე მონადირემ სახქაროზედ წინ გაგვირბინა; მას მიჰყვა ოთხი, თუ ხუთი კიდევ სხვა. ბოლოს მოაჭენა ცხენი ერთმა ყმაწვილმა-კაცმა, რომელიც შეხედულობით ყველასაგან განირჩეოდა; ცოტა ხანს გვიცქირა, შემდეგ მიანება თავი ნადირობას, მისცა ცხენი მსახურს და თავისუფლად წამოვიდა ჩვენსაკენ მედიდურის სახით. ეტყობოდა, გაცნობა არ ეჭირვებოდა და ასე გაშინჯეთ, მოიწადინა ჩემს ქალებს გადახვევოდა; ეგონა, რომ ყველა იმისი ქცევა სიხარულით უნდა მიგვეღო, მაგრამ ჩემი ქალები ყმაწვილობიდამვე შეჩვეულნი იყვნენ მედიდურობის ალაგმას. მაშინ ამ ვაჟ-ბატონმა გამოგვიცხადა, მე ტორნჰილი მქვიან და ეს არე-მარე სულ მე მეკუთვნისო.

სთქვა თუ არა ესა, მეორედ მივიდა ჩემს ქალებთან გადასახვევად და მეორედ უარი ველარ უთხრეს, რა კი იმისი სიმდიდრე და დიდ-კაცობა შეიტყეს.

ის ისე თავისუფლად და მარჯვედ იქცეოდა, რომ მალე დაგვიახლოვდა, თუმცა მის ქცევას ამპარტავნება ეტყობოდა. დაინახა თუ არა საკრავები, სთხოვა ჩემს ქალებს ემღერნათ რამე. მე სრულებით არ მომწონდა იმისთანა კაცის გაცნობა, რომელიც ჩვენი ტოლი არ იყო და თვალს ვუშვებოდი ჩემს ქალებს, რომ უარი ეთქვათ, მაგრამ დედამ წაათამამა და მხიარულად დაიწყეს სიმღერა. როგორც თითონ სიმღერამ, ისე ხმის ამორჩევამ ტორნჰილი თითქო აღტაცებაში მოიყვანა; თითონვე აიღო გიტარა და დაუკრა. თუმცა კარგად კი ვერ უკრავდა, მაგრამ ჩემმა უფროსმა ქალმა უხვად დააჯილდოვა ქებისათვის და არწმუნებდა, რომ, თქვენ უფრო მაღალს კილოზედ უკრავთ, ვიდრე ჩემი მუსიკის მასწავლებელიო. ამ გვარის ქებისათვის იმან მადლობა უთხრა და ჩემმა ქალმაც მდაბლად თავი დაუკრა; ის აქებდა ჩემის ქალის გემოვნებას; ჩემმა ქალმა მისი გონება ზეცამდე ასწია; ისე დაუახლოვდნენ ერთმანერთს, თითქო მთელი საუკუნე ნაცნობები არიანო.

ჩემს ცოლსაც ისე თვალები აუხვია შვილების სიყვარულმა, რომ ეგონა ბედნიერება მოყვლინა ჩვენს ოჯახსაო და არ ეშვებოდა ტორნჰილს, შინ შემობრძანდით და კინკრიყოს წვენი მიირთვითო. თითქო მთელი ოჯახი მხოლოდ იმასა სცდილობდა, რომ სტუმრისთვის ესიამოვნებინა; ქალები სცდილობდნენ, გაერთოთ იმისთანა საგნებზედ ლაპარაკით, რომლებზედაც, იმათის აზრით, ყველგანა ლაპარაკობდნენ; მოსემ კი რაღაცა ჰკითხა ძველს ბერძნებსა და რომაელებზედ და პასუხის მაგივრად მხოლოდ დაცინვა ერგო. პატარა ბავშვებიც უსაქ-

მურად არ იყვნენ: სტუმარს სულ გარს დასტრიალებდნენ; ძლივს მოვაშორე მათი ჭუჭყიანი პაწაწა თითები მის მდიდრად შეკე-რილს ტანისამოსს; აცლიდნენ და მივიდოდნენ იმასთან და უთუოდ უნდოდათ შეეტყოთ, ჯიბეებში რა ჰქონდა.

როცა დაღამდა, ტორნგილი გამოგვეთხოვა, მხოლოდ ჯერ კი ხვალავაც მოსვლის ნება გვთხოვა, რაზედაც, რასაკ-ვირველია, უარს ვერ ვეტყოდით, რადგან ჩვენის ფერმის პატ-რონი ის იყო.

წავიდა თუ არა, ჩემმა ცოლმა რჩევა შეჰკრიბა იმის გა-მოსაკვლევად, იმ დღეს რამდენზედ წინ წაიწია ჩვენმა საქმემ. იმის აზრით, ეს შემთხვევა ძვირ-ფასი შემთხვევა იყო; იმას ეგონა, რომ ბევრით უფრო ძნელი საქმეები გარიგებულიყო და იმედი ჰქონდა, ეცოცხლა იმ დღემდე, როდესაც შესძლე-ბოდა თავის მაღლა აღება ამპარტავან მდიდრების თანასწო-რად; ბოლოს ჰკითხა:

— თუ ჩვენი მეზობლის რინკლერის ქალები, ორივ და, მდიდრებმა შეირთეს, განა არ შეიძლება ჩვენს ქალებსაც იმათ-თანა ბედი ჰქონდეთ?

ეს შენიშვნა პირ-და-პირ ჩემსკენ იყო ნათქვამი და მეც მივუგე:

— შეუძლებელი, რასაკვირველია, აქ არა არის რა; აი სიმ-კინსმა არ მოიგო ლოტერეაში ათი ათასი გირვანქა სტერ-ლინგი და ჩვენ კი პირში ჩალა გამოვლებულები დავრჩით.

— რა არის, ჩემო საყვარელო, მიპასუხა ცოლმა, რომ ყო-ველივე ბრწყინვალე იმედი უნდა ჩაგვიფუშო!

მერე მიუბრუნდა უმცროსს ქალს:

— აბა, სოფიკო, შენ როგორღა მოგწონს ჩვენი ახალი

ნაცნობი; სწორე მითხარ, კეთილსა და პატიოსანს კაცს არა ჰგავს?

— მართალს ბძანებთ დედა, მე მგონია მაგას დიდი ნიჭი უნდა ჰქონდეს ყოველისფერზედ ლაპარაკისა; დაბრკოლება არ იცის, რა არის. რაც სალაპარაკო საგანი უმნიშვნელოა, იმდენი უფრო ბევრს ლაპარაკობს.

— როგორც კაცი, არ არის ურიგო, დაუმატა ოლივიამ, მაგრამ მე კი დიდადაც არ მომწონს. ძალიან თავ-წასული, თავისუფალი ქცევა აქვს და გიტარაზედაც საძაგლად უკრავს.

ამ ორს უკანასკნელს პასუხზედ მე შევნიშნე, რომ ორი სულ სხვა-და-სხვა აზრი შეედგინათ ჩემს ქალებს იმ კაცზედ: სოფიოს სულითა და გულით სძაგდა; ოლივია კი ჩუმ-ჩუმად აღტაცებაში მოდიოდა მისგან.

— რა აზრიც უნდა გქონდეთ იმ კაცზედ, საყვარელო შვილებო, გითხარი მე, უნდა გაგიტყდეთ, რომ მე არაფრად მომეწონა. როდესაც ნაცნობები ერთმანეთის ტოლნი არ არიან, საქმე სიძულვილით თავდება. თუმცა თავისუფლად და ალერსიანად გვექცეოდა, ეტყობოდა, რომ კარგად გრძნობდა თავის წოდების უმაღლესობას; გავიცნოთ ისევ ჩვენი ტოლები. იმ კაცზედ საზიზღარი არა არის რა, რომელიც ცოლის შერთვის დროს მხოლოდ ფულს ეძებს და მე არ მესმის, რატომ აგრეთვე საზიზღარი არ უნდა იყოს მდიდარის ქმრის მძებნელი ქალი. თუ ტორნჰილს პატიოსანი განზრახვა აქვს, მაშინ ჩვენ საზიზღარნი შევიქნებით, მაგრამ თუ.... ამის გაფიქრება მათრთოლებს შიშით. მე ჩემს ქალების ყოფა-ქცევის სრული იმედი მაქვს, მაგრამ მაგ ხასიათის კაცისაგან ყველაფერს უნდა მოველოდეთ.

გავათავე თუ არა ჩემი სიტყვა, შემოვიდა მსახური ტორ-

ნგილისა, მოგვიკითხა თავის ბატონის მხრივ და მოგვიტანა მისგანვე ფეშქაშად ნასხვარი მოკლულის ირემისა; თან შემო-უთვალა, ამ დღეებში სადილად გეწვევითო. ასე თავის დრო-ზედ გამოგზავნილმა ფეშქაშმა დაიფარა ტორნგილი ჩემის მტრობისაგან; მე გავჩუმდი და იმისიც კმაყოფილი ვიყავ, რომ ჩვენს ქალებს დავუსახელე რაც საშიშარი იყო; ასლა თითონ იციან, თავის ჭკუით დაიფარონ თავი ამ მახისაგან, გავიფიქრე მე. რომელი სიკეთეც კი განუწყვეტელს ყურის-გდებასა საჭი-როობს, ვგონებ, ღირსი არ იყოს მის დასაცავად საჭირო ცდისა.

## თავი VI.

### სოფელში ცხოვრების სიამოვნება.

ისეთი გაცხარებული ბაასი შეგვექნა, რომ დასამშვიდებ-ლად ერთ-ხმად გადავწყვიტეთ, შეგვეწვა ვახშმისათვის ერთი ნაჭერი გამოგზავნილის ნანადირევისა; ჩემმა ქალებმა სიამოვ-ნებით იკისრეს ვახშმის მომზადება.

— ვწუხვარ, რომ ამისთანა ვახშამზედ უცხო არავინ დაგ-ვესწრება, ვთქვი მე, არც მეზობელი, არც მგზავრი; ამ გვარი სუფრა ერთი-ორად უფრო სასიამოვნოა, როდესაც თან სტუ-მარის პატივსა სცემ.

— მართლა და აი რა კაი დროს მოდის ჩვენი კარგი მე-გობარი ბორჩელი, რომელმაც ჩვენი სოფიო სიკვდილიდამ დაიხსნა და შენც ისე მარჯვედ გაჯობა ბაასში, წამოიძახა ჩემმა ცოლმა.

— მე მაჯობა! სცდები, ჩემო საყვარელო; მგონი მე ჯერ

ბევრი მჯობნელი არ გამომჩენია. მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავ, რომ ჩინებულად იცი შენ ქადების ცხობა, მაგრამ ფილოსოფოსური სჯა კი, სჯობს, ისევ მე დამანებო.

ამ დროს შემოვიდა ჩვენი საწყალი ბორჩელი; მთელი ჩემი სახლობა მხიარულად მიეგება; ყველამ ხელი ჩამოართვა და პატარა რიჩარდმა სკამი მოუტანა.

ორ რიგად მომწონდა მე ამ საწყალის კაცის მეგობრობა: ჯერ ერთი ესა, რომ ეს მეგობრობა მისთვის გამოსადეგი იყო და ამას გარდა ის სრული ერთ-გული იყო ჩვენი. მეზობლობაში იცნობდენ იმას ღარიბს კაცად, რომელსაც ყმაწვილობის დროს კარგი არა გაეკეთებინა რა; უნდა ვსთქვა, რომ ის ჯერ ოც-და-ათის წლისაც არ იყო. სჯით ძალიან გონივრადა სჯიდა, თუმცა ბავშვებთან დარჩენა უფრო ესალისებოდა. ესენი პატარა უმანკო ქმნილებანი არიანო. მასუკან მე შევიტყე რომ ის ძალიან დახელოვნებული იყო საბავშვო ლექსების და არაკების თქმაში; ძვირად მოვიდოდა ისე, რომ ან შაქრის-პური არ მოეტანა, ან უბრალო სალამური. ჩვენს მხარეს ის წელიწადში ერთხელ, ორჯერ მოვიდოდა და სცხოვრობდა მით, რომ ხან ერთს ეწვეოდა, ხან მეორეს.

ბორჩელი დაგვეწვია ვახშამზედ და ჩემმა ცოლმა ამ შემთხვევისათვის არ დაზოგა თავისი კინკრიყოს წვენი. დავიწყეთ რიგ-რიგზე სხვა-და-სხვა არაკების თქმა. ბორჩელმა რამდენიმე ძველებური ლექსი გვიმღერა და უამბო ბავშვებს გარეული თხის ამბავი, ამბავი მომთმინო გრიზელდასი და მშვენიერის როზამონდასი.

ჩვენი მამალი დაჩვეული იყო ყივილს ყოველ საღამოს თერთმეტს საათზედ და ესლაც მაღალის ხმით შეგვატყობინა, რომ ძილის დრო არისო. მხოლოდ მამლის-ყივილზედ მოვ-

მაგონდა, რომ სტუმრისთვის ცალკე ქვეშ-საგები არა გვქონდა და ტრაქტირში დასაძინებელის ადგილის მოძებნა გვიანღა იყო.

ასეთს ძნელს მდგომარეობაში რომ ვიყავით, პატარა რიჩარდმა უთავაზა სტუმარს თავისი წილი ქვეშ-საგები, თუ მოსე თავისთან დაიწვენსო.

— მაშ მეც მივცემ ჩემს წილს, თუ ჩემი დები თავისთან წამიყვანენ, წამოიძახა პატარა უილიამმა

— აგრე უნდა, ჩემო მეგობრებო, აგრე, ვსთქვი მე, სტუმრის-მოყვარეობა არის ქრისტიანის უპირველესი მოვალეობათაგანი. მხეცნი ხვრელსა და ბუნაგებში თავს აფარებენ, ფრინველნი ბუდეებში და უმწეო კაცს მხოლოდ თავის მსგავსებთან შეუძლიან თავის შეფარება. უცხო იყო ამ ქვეყნისათვის იგი, რომელიც მოგვევლინა ადამიანთა სახსნელად. მას არა ჰქონდა სახლი, თითქო უნდოდა გამოეცადა, დარჩება თუ არა ხალხში კიდევ სტუმართ-მოყვარეობა.

— საყვარელო დებორა, ვუთხარი მე ცოლს, მიეც ამ ბავშვებს თითო ნაჭერი შაქარი და რიჩარდის ნაჭერი უფრო დიდი იყოს, რადგან მაგან პირველმა დაიწყო ამაზედ ლაპარაკი.

მეორე დღეს ადრე გავაღვიძე ჩემი სახლობა; გათიბული თივა გვქონდა მოსაგროვებელი; ჩვენმა სტუმარმა გვთხოვა დაგვხმარებოდა და ჩვენც მუშად მივიღეთ. მუშაობა მხიარულად მიდიოდა: ჩვენ გაბრწყინებდით გათიბულს თივას და ქარისკენ ვაქცევდით; მე წინ მივდიოდი, სხვები უკან მოგვდევდნენ. მე შევნიშნე, რომ ბურჩელი ხალისიანად შველოდა სოფიოს; გაათავებდა თუ არა თავის სამუშაოს, მიირბენდა ამასთან საშველად და რაღაზედაც ჩუმ-ჩუმად ელაპარაკებოდა; მაგ-

რამ მე კარგი აზრი მქონდა შედგენილი ჩემის ქალის გონიერებაზედ, კარგად ვიცოდი მისი პატივის-მოყვარეობა და არ მეშინოდა, რომ გაღარიბებულს კაცს თავს გაუყადრებდა.

როდესაც გავათავეთ მუშაობა, მივიწვიეთ კიდევ ბორჩელი ღამის გასათევად ჩვენთან, მაგრამ უარი გვითხრა; ის აპირებდა ერთს მეზობელთან მისვლას, რომლის შვილისათვის სალამური მიჰქონდა.

ბორჩელის წასვლის უმალვე დავიწყეთ ლაპარაკი იმის უბედობაზედ.

— რა საოცარს მაგალითს წარმოგვიდგენს ეს საწყალი კაცი ადამიანის უბედურებისას, რომელიც მოსდევს ურცხვად და ქონების ფლანგვით გატარებულს ყმაწვილობას, წარმოვსთქვი მე; მართალია, ჭკუა არ აკლია, მაგრამ ეს ჭკუა უფრო დამნაშავედ ხდის მაგას ჩვენს თვალში. საცოდავი! სად მიემალნენ ის ძველსა პირ-მოთნეები, რომელთაც, რასაც უნდოდა, იმას გააკეთებინებდა? ალბად იმათ მისაფერებლად წავიდნენ, რომელნიც გამდიდრდენ მაგის გარყვნილობის წყალობით. უწინ მაგას აქებდენ და ეხლა კი იმავე რიგად აქებენ მაგის დამღუპველებს; უწინ უკვირდათ მაგის მახვილი ჭკუა, ეხლა დასცინიან იმ მახვილის ჭკუის სიგიჟეს. ეხ! ღარიბია და იქნება ღირსიც არის ღარიბად ყოფნისა, რადგან არც იმდენი თავის ყადრი აქვს, რომ სხვების მისაკედლებლად არ გაუხდეს საქმე და არც იმდენი მოხერხება, რომ სასარგებლო კაცად გახდეს.

იქნება სხვა საიდუმლო მიზეზი მქონდა რამე და ამიტომ ასე მკაცრად ვსჯიდი; ასეთის სიმკაცრისათვის მივიღე საყვედური ჩემის ჩუმისა და მშვიდის სოფიოსაგან.

— უწინ როგორიც ქცევისაც უნდა ყოფილიყო, მითხრა იმან, ეხლანდელმა მისმა მდგომარეობამ უნდა დაიფაროს ყოველივე

გაკიცხვისაგან. მაგის სიღარიბე სამყოფი სასჯელია უწინდელის უგუნურის ქცევისა. თითონ თქვენგანვე რამდენჯერ გამიგონია, არას დროს არ უნდა გაჰკიცხოთ იგი, რომელსაც განგებამ თავისი სასჯელი მიუგლიაო.

— მართალს ამბობ, უთხრა მოსემ, ერთი ძველი მწერალი მშვენივრად აღწერს მაგ სიმკაცრეს ერთს არაკში; ერთმა გლეხმა მოინდომაო, ტყავი გაეძრო მარსიასათვის, რომელსაც ერთხელ ჰქონდა კიდეც გაძრობილი სხვისგან. ამას გარდა, მე არ ვიცი მართლა ის კაცი ისე უბედურია, როგორც მამა ჩემი ამბობს; ჩვენ არ უნდა ვსთქვათ, რომ ეს კაცი ამასა და ამასა გრძნობს, რადგან ჩვენ რომ ვყოფილვიყავით იმის ადგილს, იმასვე ვიგრძნობდითო. თუმცა ჩვენთვის თხუნელას სორო ბნელია, მაგრამ მისთვის კი საკმაოდ განათებულია და, მართალი რომ სთქვას კაცმა, როგორც ეტყობა, ბორჩელი სრულებით კმაყოფილია თავის ცხოვრებისა; მე ჩემს დღეში არავინ ისე მხიარული არ მინახავს, როგორც ის იყო, სოფიკო, შენ რომ გელაპარაკებოდა.

მოსეს ფიქრადაც არ მოსვლია ამ სიტყვებისათვის მნიშვნელობა მიეცა რამე, მაგრამ სოფიო გაწითლდა და ცდილობდა თავის შეკრთომა ძალ-დატანებულის სიცილით დაემალა. ის არწმუნებდა ძმას, რომ რიგიანად ყური არც კი მიგდია, რას მეუბნებოდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, უწინ ბორჩელი ძალიან კარგი კაცი უნდა ყოფილიყოო; დააჩქარა თავის გამართლება, სახეზედაც სიწითლე მოუვიდა და ეს ნიშნები მე არაფრად მომეწონა, მაგრამ მაინც დავმალე ჩემი ეჭვი.

მეორე დღეს მოველოდით ტორნჰილს და ჩემი ცოლი წავიდა სანადირევისაგან პაშტეტის მოსამზადებლად. მოსე წიგნსა ჰკითხულობდა, მე პატარებს ვასწავლიდი და ქალებიც თა-

ვისთვის ფათურობდენ. მე დავინახე, რომ ცეცხლზედ რაღასაც ადუღებდენ და მეგონა, თავიანთ დედას შველოდენ; მაგრამ პატარა რიჩარდმა მიამბო, რომ ქალები რაღაც წყალს ამზადებენ პირისათვისაო. მე ბუნებითადვე მეზიზღებოდა ყოველ-გვარი ხეხა პირის-სახისა, რადგან ვიცოდი, გაკეთების მაგიერად, უფრო ახდენს სახის ფერს; ამიტომ ნელ-ნელა მივწიე ჩემი სკამი ბუხართან, ავიღე მაშა ცეცხლის გასასწორებლად და ვითომ-და უცაბედად გადმოვუბრუნე ის ქვაბი; მეორე ქვაბის შედგმა და ხელ-ახლავ მომზადება დაგვიანდებოდა.

## თავი VII.

ქალაქური ოხუნჯობა. მთლად სულელებსაც შეუძლიანთ ისწავლონ, როგორ გაატარებინონ ხალხს დრო ერთს ანუ ორს საღამოს.

ბოლოს გათენდა დილა, როდესაც ჩვენ უნდა მიგველო ჩვენი ახალ-გაზდა მებატონე. ადვილად წარმოსადგენია, რა სამზადისში ვიყავით, რომ ბრწყინვალედ დავხვედროდით. რაღა ითქმა უნდა, ჩემი ცოლი და ქალები ამ შემთხვევისათვის საუკეთესოდ მოირთვებოდენ."

ტორნგილი მოვიდა და თან ორი მეგობარი მოიყვანა: თავისი კარის-მღვდელი და თავის მოურავი. იმას არ უნდოდა ჩვენი შეწუხება და ამიტომ დააპირა თავის დიდ-ძალის ხროვა მოსამსახურეების იქვე ტრახტირში გაგზავნა, მაგრამ ჩემი ცოლი ისე გამხიარულდა, რომ მოიწადინა ყველას დახვედრა, რის გამოისობითაც მასუკან მთელი სამი კვირა ჩვენი სუფრა ძალზედ ცარიელი იყო.

წინა-დღით ბორჩელმა გვითხრა, რომ ტორნგილი უილ-

მოტის ქალს ირთავს, იმას, რომელზედაც ჩემი შვილი გეორგ იყო დანიშნული; ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, აგვყარა ტორნგილზედ გული, მაგრამ ერთმა შემთხვევამ მალე გაგვიფანტა ეს ეჭვები. ვიღამაც ლაპარაკში სიტყვა ჩამოაგდო იმ ქალზედ, იმის სიმშვენიერეზედ და ტორნგილმა გაკვირვებით წამოიძახა, არ მესმის, ვინ ჴმასის იმ საიერთსობელას მშვენიერს ქალსაო.

— იმის შერთვას, ის მირჩევნიან, ჩემი საცოლო ცისის ასლო მოვძებნო ფარანის მართალს ნათელზედ; დეე ესლავ დავმასხინჯდე, თუ ამას ტყუილს ვამბობდე.

ამ სიტყვებზედ აიტეხა სიცილი და ჩვენც ბანი მივეცით; მდიდრების ხუმრობა ყოველთვის მოსაწონია. ოლივიამ თავი ვეღარ შეიმაგრა და წამოიძახა, რომ ბატონ ტორნგილის ოხუნჯობა ულეველიაო.

სადილის ბოლოს, როდესაც სადღეგრძელოები დავიწყეთ, მე ჩვეულებისამებრ დავლიე ეკკლესიის დღეგრძელობისათვის. კარის-მღვდელმა მადლობა მითხრა და დაუმატა, რომ მხოლოდ ეკკლესია არის მფლობელი ჩემის გულისაო.

— სწორედა სთქვი, უთხრა მღვდელს ყმაწვილმა-კაცმა გიყმაყურად: ვთქვათ, რომ ინგლისის ეკკლესია, აწინდელი შენი მფლობელი, განიერის ბატისტის სახლებით ერთს მხარეს დადგეს და სოფიკო უსახლებოთ მეორეს მხარეს, თუ ღმერთი გწამს, რომელს აირჩევდი?

— რასაკვირველია ორივეს, მიუგო მღვდელმა.

— მე კი, თუ ტყუილს ვამბობდე, ამ ერთმა სტაქანმა ღვინომ დამარჩოს: ეს მშვენიერი ქალი ღირსია რომ ვაღმერთოთ და ყოველივე თქვენი დაწესებულება კი ათეულს სარკზედ წმინდა სიცრუვეა; ვისაც უნდა ამას დავუმტკიცებ.

— კარგი იქნება, რომ წარმოგვიდგინოთ თქვენი საბუთები, უთხრა მოსემ, იმედი მაქვს, შევიძლო მათი დარღვევა.

— ძალიან კარგი, მიუგო ტორნგილმა და მიუხვდა მაშინათვე მის აზრებს; თან მთელს საზოგადოებას თვალი უყო, მოემზადეთ სასაცილოდაო; თუ თქვენ გინდათ ამაზედ დამშვიდებული სჯა, მე მზა ვარ; მაგრამ ჯერ ეს უნდა გადავწყვიტოთ, როგორ უნდა ვიბაასოთ ანალოგიურად, თუ დიალოგიურად?

— მე მინდა რაციონალურად ვიბაასო, უპასუხა მოსემ.

— ძალიან კარგი, დაუმატა ტორნგილმა, და დასაწყისიდამვე რომ დავიწყოთ, იმედი მაქვს, ყაბულს იქმნებით, რომ რაიცა არის, არის და თუ ამ ჭეშმარიტებაზედაც არ დამეთანხმებით, მე აღარ შემეძლება ბაასის გაგრძელება.

— მაგაზედ დათანხმება, მგონი, ადვილია, მიუგო მოსემ; ეს თანხმობა ისე გამოიყენეთ, როგორც გინდათ.

— იმედი მაქვს ამაზედაც დამეთანხმებით, რომ ნაწილი მთელზედ მცირეა.

— ეგეც მართალია, მაგაზედაც დაგეთანხმებით.

— იმედი მაქვს, არც ამას უარ-ჰყოფთ, რომ სამ-კუთხედში სამი კუთხე უდრის ორს სწორე კუთხეს.

— ეგეც ცხადია, მიუგო მოსემ და თავისებურად მძიმედ ჩვენსკენ შემოიხედა.

— ძალიან კარგი, მიუგო ტორნგილმა და ზედ სხაპა-სხუპით დაუმატა, რადგან თქვენ დათანხმდით ჩემს წინანდელს წინადადებებზედ, მე შევნიშნავ კიდევ, რომ თვით-მყოფელობათ შეკავშირება იზდება ერთი-ორად და აუცილებლად წარმოშობს პრობლემატიურს დიალოგიზმს, რომელიც ამტკი-

ცებს, რომ სულიერობის შინაარსი მიეწერება მეორე ზედ-შესრულს.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, გააწყვეტინა სიტყვა მოსემ, მე ეგ არა მჯერა და არც შემიძლიან დამშვიდებულმა მოვისმინო ეგეთი ურწმუნო აზრები.

— როგორ თუ ურწმუნო, წამოიძახა ტორნგილმა, ვითომ და გაცხარებულმა. მაშ პასუხი მომიგეთ ამ უბრალო კითხვაზედ: მართალი იყო არისტოტელი, როდესაც სთქვა, რომ რელიაცია არსებობს ერთი-ერთთან დამოკიდებულთ საგანთა შორის?

— რასაკვირველია, მართალი იყო, მიუგო მოსემ.

— მაშ სწორედ მიპასუხეთ ჩემს წინადადებაზედ, როგორ გგონიათ: ანალიტიკური გამოკვლევა ჩემის ენტიმემის პირველის ნაწილისა შემცდარია, თუ არა? და ესლავე შეგვატყობინეთ თქვენი საბუთები.

— უნდა გაგიტყდეთ, უთხრა მოსემ, რომ კარგად ვერ გავიგე თქვენის ბაასის დედა-აზრი და თუ გსურთ უბრალო სიტყვებით გამოსთქვათ თქვენი აზრი, იმედი მაქვს რიგიანს პასუხს მიიღებთ ჩემგან.

— როგორ არა, მიუგო ტორნგილმა, ეგდა მაკლდა! როგორც გეტყობათ, თქვენ ის გინდათ, რომ საბუთებიც გათხოვოთ და მათის გაგების ნიჭიც. არა, ჩემო ბატონო, ეგ მეტის-მეტია.

ამ უბედობამ, რასაკვირველია, სასაცილოდ გაჰხადა საწყალი მოსე, რომლის მოწყენილი სახე მარტოდ მოსჩანდა მხიარულ სახეებს შორის; მთელი საღამო იმას ხმა აღარ ამოუღია.

ამ ამბავმა მე სრულებითაც არ გამართო, მაგრამ ოლი-

ვიაზედ კი სხვა რიგად იმოქმედა; ოლივიას ოხუნჯობა ეგონა ის, რაც მხოლოდ მეხსიერების საქმე იყო. ტორნჰილი იმის თვალში ჭკვიანი და განათლებული კაცი იყო და ამ გვარის აზრის შედგენა ადვილად ეპატივებოდა, თუ არ დავივიწყებთ, რა დიდი მოქმედება აქვს ქალის გულზედ მშვენიერს ტანსა, ძვირ-ფასს ტანისამოსს და ძლიერს სიმდიდრეს.

ტორნჰილი არ იყო სწავლული, თუმცა თავისუფლად, გაუჩუმებლად ლაპარაკობდა სხვა-და-სხვა უბრალო ცხოვრების საგნებზედ. ამ ღონით მისთვის არ იყო ძნელი მიეზიდნა გული ყმაწვილის-ქალისა, რომელიც ბავშვობიდამვე დიდად აფასებდა თავის გარეგანს შეხედულობას, მაშასადამე სხვისასაც.

ჩვენი ახალ-გაზდა სტუმარი გამოგვეთხოვა და წასვლის შემდეგ დავიწყეთ ხელ-ახლავ მის ღირსებაზედ ლაპარაკი. ჩვენ ეჭვი აღარა გვქონდა, რომ ოლივია იყო მიზეზი მისის ჩვენთან მსვლელობისა, რადგან განსაკუთრებული ყურადღება მისკენ ჰქონდა მიქცეული: თითქმის სულ იმას უყურებდა, სულ იმას ელაპარაკებოდა. ოლივიას სრულებით არა სწყინდა სუმრობით დაცინვა და გადაკვრით ლაპარაკი თავის ძმისა და დისა; თვით ჩემი ცოლიც თითქო მოწილე იყო იმ დღის სიამოვნებისა და აღტაცებულს უხაროდა თავისის ქალის გამარჯვება, ისე, თითქო თითონ გაემარჯვნა.

— აბა, ჩემო მეგობარო, მითხრა ჩემმა ცოლმა, ეხლა გაგიტყდები და გეტყვი, რომ მე თითონ ვეუბნებოდი ჩემს ქალებს და ვაქეზებდი, ჩვენი ახალ-გაზდა მებატონის ყურადღება მიეზიდნათ. მე ყოველთვის პატივის-მოყვარე ვიყავ და, როგორც ვხედავ, ცუდად არ მიჯდება ეს ჩვეულება; ვინ იცის, როგორ გათავდება ეს საქმე!

— მართლაც რომ ვინ იცის! წარმოვსთქვი მე ოხვრით; მე კი, სწორე გითხრა, მაგ ამბავს არ გავუხარებივარ. მე უფრო მომეწონებოდა სასიძოდ ღარიბი, მაგრამ პატიოსანი კაცი, ვიდრე ეს მოდის კაცი თავის სიმდიდრით და ურწმუნოებით. დარწმუნებული იყავ, მე არას დროს ქალს ურწმუნოს არ მივცემ.

— მგონია, მამა, სთქვა მოსემ, თქვენ ძალიან მკაცრად ეკიდებით ამ შემთხვევაში. ზეცა განსჯის მაგას საქმისთვის და არა აზრებისათვის. ყოველს კაცს თავში ათასი ფიქრი მოსდის დაუპატიჟებლად, რომელთაც ვერას გზით ვერ შემოიფანტავს. იქნება, ეგ კაციც უნებურად გადაიქცა ურწმუნოდ; თუნდა მაგისი აზრები ცრუნიც იყვნენ, თუ ძალით შეეპარნენ თავში, დამნაშავე არ არის; ან ისე არის დამნაშავე, როგორც გაუმაგრებელი ქალაქის უფროსი, რომელმაც მტერი ქალაქში შეუშვა.

— ეგ მართალია, ვსთქვი მე, მაგრამ თუ ქალაქის უფროსი თითონვე მიიწვევს მტერს, მაშინ ის სრული დამნაშავეა. ურწმუნოთაც ყოველთვის ეგ საქმე ემართებათ; ისინი იმითი კი არ არიან დამნაშავენი, რომ ცრუ საბუთები სჯერათ; დამნაშავენი იმითი არიან, ძალ-და-ძალ თვალებს ისვევენ და ყურს არ უგდებენ სხვა საბუთებს, რომელთაც შეუძლიანთ მათი გონებაზედ მოყვანა. პირველში, ცრუ-აზრები, ჩვენდა დაუკითხავად, გვებადებიან, მაგრამ ჩვენ ღირსნი ვართ სასჯელისა, თუ დაუდევრობით ამ ცრუ-აზრებს ჩვენს გულში თავ-შესაფარს ალაგს ვაძლევთ.

ჩემმა ცოლმა გააგრძელა თავისი ლაპარაკი და საბუთებს ყური არ ათხოვა. მან შენიშნა, რომ ჩვენს ნაცნობებში ბევრი ძალიან ჭკვიანი და ძალიან პატიოსანი კაცი ურწმუნო იყო,

მაგრამ ბოლოს კი შეირთეს ცოლები და კაი ქმრები დადგნენო; ისიც მომხდარა, რომ ზოგიერთს ჭკვიანს ქალს თავისი ქმარი სწორეს გზაზედ დაეყენებინოს, ვინ იცის, ჩვენმა ოლივიამაც რა საქმე ჩაიდინოსო! მაგის პირიდამ სიტყვები წყაროსავით მომდინარებენ და ძალიან დახელოვნებული არის სწავლულების სჯაშიაცაო.

— რას ამბობ, ჩემო საყვარელო, მივუგე მე, განა სჯისაც იცის რამე? მე ჩემს დღეში მაგისთვის საბაასო წიგნები არ მიმიცია. ტყუილად გგონია, რომ ეგ მაგისთანა მცოდნე იყოს.

— დედა მართალს ამბობს, მამა, მიპასუხა ოლივიამ; მე ბევრი სჯა წამიკითხავს; წამიკითხავს მაგალითად ბაასი რობინზონსა და მის პარასკევას შორის და ესლა ვკითხულობ ბაასს ერთს წიგნში, რომელსაცა ჰქვიან: «კეთილ-მორწმუნეთა ქორწინება.»

— ძალიან კარგი, მივუგე მე, შენ კაი ქალი გამოსვედი; მე ესლა ვხედავ, რომ ველურის ხალხის განმანათლებლად ივარგებ, მაგრამ ჯერ კი წადი და დედა-შენს კინკრიყოს ქადის გამოცხობას უშველე.

## თავი VIII.

ერთი შემთხვევა, რომელსაც ბევრი მნიშვნელობა კი არა აქვს რა, მაგრამ დიდის ბედნიერების მოტანა შეეძლო ჩვენთვის.

მეორეს დღეს, დილით, ბორჩელი კიდევ მოვიდა ჩვენსა. თუმცა ზოგიერთის მიზეზების გამო არაფრად მომწონდა ასე ხშირად სიარული, მაგრამ მაინც გულიანად ვესაუბრებოდი და, როგორც სტუმარს, პატივსა ვსცემდი. იმისი დასწვედრა არ

იყო ჩვენთვის სამძიმო, რადგან ერთი-ორად გვისდიდა პატი-ვისცემას; თავის მოვლის დროს სხვებზედ უფრო ხალისია-ნად ის მუშაობდა. ამას გარდა ყოველთვის შრომას გვიმსუ-ბუქებდა მით, რომ ჩვენ შესაქცევად ხან რას გვიამბობდა, ხან რასა. ასეთი უცნაური და გონიერი რამ იყო, რომ, თუმცა ხშირად დავცინოდი, მაინც მებრალებოდა და მიყვარდა. ამ სიყვარულისა და სიბრალულის მიზეზი მარტო ის იყო, რომ მე შევნიშნე, ის ჩემს ქალს ეტრფოდა. ხუმრობით სო-ფიოს თავის პატარძალს უძახდა და როდესაც ლენტებს ამ-ლევდა ჩემს ქალებს, საუკეთესოს სოფიოსთვის არჩევდა. არ ვიცი ეს როგორ მოხდა, მაგრამ დღითი-დღე კი დავატყე, რომ უფრო სასიამოვნო და ოხუნჯ კაცად გარდაიქცა და უწინდელებურად მოსულელო აღარა ხჩანდა; მას თან-და-თან და-ეტყო თითქო ღრმა სწავლა და ღრმა აზრები.

ერთხელ ჩვენ ყველანი მინდორში პურსა ვსჭამდით; გარ-შემო ვუსხედით, ანუ გარშემო ვუწექით, ღარიბს სუფრას, რო-მელიც თივაზედ გვეშალა. ბორჩელიც ჩვენთან იყო და, თავის ჩვეულებისამებრ, შეგვაქცევდა პურის ჭამის დროს. ჩვენდა სა-სიამოვნოდ, ჩვენს ახლო, ბუჩქებში ორი შაშვი ერთმანერთს ეჭიკჭიკებოდა; იქვე პატარა ბულურა-ჩიტი ჰკენკავდა პურის ნამ-ცეცებს; თითქო ყოველივე ხმა მყუდროების მომასწავებელი იყო.

— როდესაც ესე ვარ, სთქვა სოფიომ, მაშინვე ორი საყუ-ვარლის ბედი მაგონდება, რომელიც გრეის ისე კარგადა აქვს აღწერილი. ამ აღწერაში არის რაღაცა გულის აღმაშფოთველი; ასჯერ ზედი-ზედ წამიკითხავს და ყოველთვის ახალის აღტაცებით.

— ჩემის აზრით, წარმოსთქვა მოსემ, საუკეთესო ტაეპები მაგ აღწერისა ბევრით უკან ჩამოურჩებიან ოვიდიუსის პოემას ასისსა და გალატეაზედ. რომაულმა მოლექსემ უკეთესად გა-

მოიყვენა სხვა-და-სხვაობა და ამ ფიგურის ხელოვნურს მოხმა-რებაზედ არის დამოკიდებული მთელი ძალა გულის აღმაშ-ფოთველ პოეზიისა.

— მაკვირვებს თქვენი ლაპარაკი, გვითხრა ბორჩელმა. ორ-თავ თქვენგან დასახელებულმა მოლექსემ გაავრცელეს თავიანთ თანამემამულეებში უგემოვნო მიმართულება: თავიანთი თხზუ-ლებანი დაამძიმეს მეტის სიტყვების ხმარებით. იმისთანა მწე-რალთა, რომელთაც გემოვნობა არა ჰქონდათ და ჰქონდათ მხოლოდ ცოტაოდენი ნიჭი, მიჰბაძეს მათ ნაკლულევანებას და ეხლა ინგლისის პოეზია რომაულის მგზავსად შესდგება მხო-ლოდ ღრმა სიტყვებისაგან, რომელთაც არც აზრი უჩანთ და არც კავშირი ერთმანერთთან. ეს სიტყვები ლექსს მხოლოდ ხმოვანებასა ჰმატებენ.

იქნება თქვენ იფიქროთ, რომ, რა კი ასე მკაცრად ვკიც-ხავ სხვის თხზულებებს, ვალდებული ვარ შემთხვევა მივცე, ჩე-მი თხზულებანიც სხვებმა გაშინჯონ; უნდა გაგიტყდეთ, მე ეს შენიშვნა სწორედ იმიტომაც წარმოვსთქვი და მინდა წაგი-კითხოთ ჩემი საკუთარი ბალადა (ძველებური ან ზღაპრული ამბავი ლექსად), რომელშიაც თუმცა სხვა-და-სხვა ნაკლულევა-ნებაა, ის ნაკლულევანება მაინც არ არის, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი.

## ბ ა ლ ა დ ა.

მიშველე რამე, წმინდაო ბერო,
მიმიძეღ სადმე სახლს სანატრელსა;
მგონი, ახლოა სადგური შენი:
აგერა ვხედავ შორით ნათელსა.

ბნელა გარშემო; ვარ დაქანცული;
ვეღარ ვპოულობ ვეღარც ჩემს გზასა:
დაუსრულებლად სჩანს ეს უდაბნო
და უგზო-უკვლოდ მივდევ მე მასა.

„შვილო, მიუგო უდაბნოელმა,
„გაუტაცნიხარ მოჩვენებასა;
„ნუ იწინამძღვრებ, ნუ სდევ მაგ ნათელს,
„თორემ მისვალ პირს უფსკრულისასა.

„აქ უსახლ-კაროთ და ღარიბთათვის
„ყოველთვის ღია ვტოვებ მე კარსა;
„ღვთისგან მოცემულს მცირესა სარჩოს
„სულით და გულით ვუყოფ სტუმარსა.

„შემოდი, შვილო, ჩემსა სენაკში;
„აქ ჰპოვებ თუმცა ხმელსა ლოგინსა,
„მაგრამ გულს ჰპოვებ სტუმრის მოყვარულს
„და მყუდროებით აღსავსე ძილსა.

„საზრდოთ მაქვს მე უზრუნველადა
„ნაყოფი მთათა, მინდორთ და ტყეთა:
„ხილსა ვსჭამ ტყისა ხეთაგან მოხსმულს;
„წყალს ვსვამ წყაროთგან მომდინარეთა.

„მე აღარ მივსდევ ცხოვრების ტალღას:
„ფუჭად ვიცანი წუთის სოფელი;
„ცოტა მაქვს, მაგრამ ცოტასაც ვკმარობ,
„სხვა დიდს სიკეთეს რომ აღარ ვჰლი.

სასიამოვნო იყო ესე ხმა,
ვით დილის ნამი ზაფხულის დღესა;
და თავ-დახრილი, უცხო სტუმარი
მისდევს მორცხვობით უდაბნოელსა.

განმარტოებულ ჰქონდა მას ქოხი
ერთს მიუდგომელს ყრუსა ალაგსა;
ობოლთ და მწირთა აძლევდა საზდოს,
გზა-დაბნეულთა—თავ-შესაფარსა.

აგერ გაიღო ჭრაჭუნით კარი;
ორნივ შევიდენ ბერისა სადგურს.
ღარიბად არის მორთული ქოხი,
სად განდეგილი ღმერთს ავედრებს სულს,

ბერმა შეატყო, რომ მისსა სტუმარს
სახეზედ ჭმუნვა გადაეფარა;
მყისვე კერაზედ დაანთო ცეცხლი,
ხმელი ფოთოლი ზედ დააყარა.

მიართვა სტუმარს მწვანილი, ხილი
და შეუზავა კეთილის სიტყვით;
ცდილობს გაართოს, ჭმუნვა აშოროს
სხვა-და-სხვა ფერის საუბრით თვისით.

იქვე თამაშობს ხალისით კატა;
ჭრიჭინაც სადღაც ჭრიჭინებს ხეში
და აღგზნებულის ცეცხლისა ალი
დარბის მალიად ხმელსა ფოთლებში.

მაგრამ მგზავრს ესე არ ახალისებს,
არის დაღვრემილ, გაჩუმებული;
თვალები ცხარე ცრემლიით ევსება,
სევდიან ფიქრით უკვნესის გული.

მეუდაბნოე მწუხარეს ხმითა
ჰკითხავს მიზეზსა მისის სევდისას:
„რამ დაგაღონა, ჭაბუკო, ეგრეთ
„მხიარულს ჟამსა ყმაწვილობისას?

„იქნება ღმერთმა წილად გარგუნა
„სიღარიბე და უსახლ-კარობა,
„ან თუ მეგობრის ღალატი სცადე,
„ან სიყვარულის უიმედობა?

„დამშვიდდი, შვილო, ცრუ და ფუჭია
„სიამოვნება ამა სოფლისა;
„ვინც მას ვერ დასთმობს დაუნანებლად,
„ის ღირსი არის სიბრალულისა!

„გულთ-მიმტაცია თუმც მეგობრობა,
„მაგრამ იგი სდევს მხოლოდ კარგს ბედსა;
„უბედობაში ცბიერი არის;
„ნუ ერწმუნები იმის იმედსა!

„თვით სიყვარულიც დაუდგრომელი
„ტკბილის სიტყვების სათამაშოა;
„ამ ქვეყანაში ვერ ვსედავთ იმას,
„თუ არ გვრიტებსა და მტრედებ შუა..

„მაგრამ რას ვხედავ! შენ ისე მორცხვობ,
„თითქო ქალი ხარ, ჩაცმული კაცად!"
ამა სიტყვებმა სირცხვილეულს მგზავრს
დაასხრევინა ძირს თავი მსწრაფლად.

როგორც რიყრაყი მშვიდის დილისა
გამოსჭვირს ისელთა ღრუბელთა შორის;
ეგრეთ სიწითლე ნაზის მგზავრისა
მოსჩანს ნიშნადა მისის მორცხვობის.

კრძალვით კანკალებს, არ სურს ახედვა,
ლოყები ფერით მიუგავს ვარდსა;
განცვიფრებული მეუდაბნოე
ჰხედავს თვის თვალთ-წინ მშვენიერს ქალსა.

„მამაო, გვედრებ, რომ მომიტევო
„კადნიერებით შემოსვლა შენთან;
„მე დაგირღვიე ეგ მყუდროება,
„შენ მარტოდ-მარტო იყავი ღმერთთან.

სიყვარულია ჩემი მტანჯველი,
„მისგან მადგია უბედურება;
„მოსვენებასა ვეძებ ყოველგან,
„მაგრამ ყოველგან წვალება მხვდება.

„დიდი სახელი ჰქონდა მამა-ჩემს,
„დიდ-კაცობითა იყო განთქმული;
„მე ვიყავ მისი დროს-გატარება,
„მე ვიყავ მისი სული და გული.

„რაინდთა ხროვა გვივსებდა სახლსა;
„ყველა მიშლიდა მე თავის გულსა:
„ზოგი უმანკო გრძნობით მეტრფოდა,
„ზოგი იჩენდა ცრუ-სიყვარულსა.

„ყველა სცდილობდა ალერსით, ქებით
„ჩემისა გულის თვისკენ მიზიდვას.
„მათ შორის ერთი იყო ჩუმადა:
„ვუყვარდი, მაგრამ არ იღებდა ხმას.

„ედვინი ერქვა იმას სახელად;
„ბედი მას ერთ-გვარ მხოლოდ სწყალობდა:
„სულით მაღალით სხვას იზიდავდა;
„და ის სულიცა მე მეკუთვნოდა!

„ვარდზედ ცის ნამი, ან გაზაფხულის
„მინდვრის იისა ფეროვანება,
„გწამდეს, მამაო, ედვინის სულის
„უმანკოებას ძლივს შეედრება!

„მაგრამ ცის ნამსა და ყვავილთ ფერსა
„აქვთ თვისი ძალი მხოლოდ ერთს წამსა,
„მე წამეულად ვიყავ მათ მსგავსი;
„მათ ჰგავდა იგი ყოველსა ჟამსა.

„მე გულ-ცივადა თავს ვაჩვენებდი,
„თუმც კი მიყვარდა მტკიცის გულითა;
„როცა ცრემლს ღვრიდა ჩემის მიზეზით,
„ვუცქეროდი მას აღტაცებითა.

„ბოლოს უდაბნოს გაიქცა იგი;
„ველარ შეუძლო იმდენს ტანჯვასა;
„თვის სიყვარული ცრემლითა წარღვნა,
„გამოესალმა ამ ქვეყანასა!

„ჩემი ბრალია იმისი ტანჯვა;
„სიკვდილი ესლა ჩემთვის ასია.
„მე ის უდაბნო საფლავად მქონდეს,
„სადაც ედვინის გვამი მარხია!

„იმისსა მყუდროს საფლავის პირზედ
„ლოდინს დავუწყებ სწრაფსა სიკვდილსა;
„მიმკრთალებულსა სიცოცხლეს ჩემსა,
„შევსწირავ სატრფოს ედვინის ჩრდილსა!“

«ოჰ, საყვარელო», წარმოსთქვა უცბად
და ქვე დაემხო უდაბნოელი;
ფერხთა ესვევა; თვითონ ყოფილა,
თვითონ ედვინი, მის საყვარელი!

»ოჰ, საყვარელო დაუვიწყარო!
«შენი ვარ მუდამ, ყოველსა ჟამსა;
«აქაც შენითა მე ვსულდგმულობდი:
«რა დამავიწყებს მე შენსა თავსა?!

«ნუ მოიგონებ, რაც იყო, იყო,
«თვითონ ღმერთიცა აღარ გაგვყრის ჩვენ;
«ესლა ტანჯვაცა და სიხარულიც
«უნდა შუაზედ გავყოთ მე და შენ.

«ოჰ, ნეტა დროცა აღსასრულისა
«მე და შენ ერთად მოგვივიდოდეს
«და შენს უმანკო სიცოცხლესთანა,
«ედვინისაცა წუთს გაჰქრებოდეს!»

ეს ბალადა ყველას მოგვეწონა, მეტადრე სოფიოს, რომელმაც ნაზის ღიმილით ქება უთხრა იმის დამწერს. გაათავა თუ არა ბორჩელმა კითხვა, ჩვენი მყუდროება დაარღვია იქვე ჩვენს ახლო თოფის ხმამ. პატარა ხანს უკან დავინახეთ თვითონ მონადირე, რომელიც ბუჩქებში ეძებდა მოკლულს ფრინველს. ეს მონადირე იყო ტორნგილის კარის მღვდელი და მოეკლა ერთი იმ შაშვთაგანი, რომელნიც ისე გვასიამოვნებდენ თავიანთ გალობით.

ასე ახლო თოფის ხმამ შეაშინა ჩემი ქალები და მე შევნიშნე, რომ შეშინებულმა სოფიომ ბორჩელისკენ მიიწია. მონადირე მოვიდა და ბოდიში მოითხოვა ჩვენის შეწუხებისათვის; არ ვიცოდი, რომ თქვენ აქ სადმე იქნებოდითო. მასუკან მივიდა ჩემს უფროსს ქალთან და უთავაზა მთელი იმ დილის ნანადირევი, როგორც მონადირეების წესია. სოფიოს უნდოდა უარი ეთქვა, მაგრამ ჩუმმა შესედვამ მისის დედისამ აალებინა, თუმცა კი უგულოდ, მონადირის ფეშქაში.

ჩემმა ცოლმა ჩვეულებისამებრ გამოიჩინა თავისი თავმოყვარეობა და წამაჩურჩულა, სოფიომ ეგრეთვე დაიპყრა ტორნგილის კარის-მღვდლის გული, როგორც იმისმა დამ თვით ტორნგილისაო; მაგრამ ის უფრო დასაჯერებელი იყო, რომ თვითონ სოფიოს გული სხვისგან იყო დაპყრობილი.

კარის მღვდელმა შეგვატყობინა, რომ ტორნგილმა მემუსიკეები დაიჭირა და განზრახვა აქვს, რომ ყმაწვილ-ქალებს

სოფლური შექცევა უჩვენოს: ტანცაობა გაუმართოს მთვარის სინათლეზედ თქვენის სახლის წინ მინდორზედაო. უნდა გაგიტყდეთ, მე მსურდა პირველი მახარობელი ვყოფილიყავი ამ ამბისა, რადგან იმედი მქონდა, თქვენი ქალი სოფიო ამისთვის დამაჯილდოვებდა და ამაღამ იტანცავებდა ჩემთანაო.

— დიდის სიამოვნებით აგისრულებდით თქვენს სურვილს, მიუგო სოფიომ, რომ ეგ შესაძლებელი იყოს სიმართლის დაურღვევლად; მაგრამ, აი ეს ყმაწვილი მშველიდა მე დღეს მუშაობის დროს და, რასაკვირველია, უფლება აქვს, რომ ამაღამ შექცევაშიაც ჩემთან ერთად მონაწილეობა მიიღოს.

ეს სიტყვები ბორჩელზედ იყო ნათქვამი. ბორჩელმა დაუმადლა სოფიოს ამ გვარის ყურადღებისათვის, მაგრამ სოფიოსთან ტანცაობა კი ისევ კარის-მღვდელს დაუთმო, მე მგის შემდეგ ვახშმად ერთ მეზობელთან ვარ დაპატიჟებული, რომელიც აქედამ სუთ მილზედ სდგას და იქ უნდა წავიდეო.

მე გამაკვირვა ამ მოულოდნელმა უარის-თქმამაც და იმ ამბავმაც, რომ ჩემმა გონიერმა სოფიომ დალუპული კაცი არჩია კარგის ბედის მომლოდინეს. მაგრამ, როგორც კაცებს შეუძლიანთ ქალის ნამდვილი ღირსების დაფასება, ისე ქალებიც ხშირად სიმართლით სჯიან კაცზედ. ორივე სქესი თითქო ერთმანეთის მზვერავად არის დანიშნული და ბუნებასაც მზვერავისთვის საჭირო ღონისძიება მიუნიჭებია.

## თავი IX.

ასპარეზზედ გამოდიან ორი დიდ-კაცთა ცოლნი. ძვირ-ფასს ტანისამოსს ბევრი შეუძლიან.

ბორჩხელის წასვლის შემდეგ სოფიომ მიიღო კარისმღვდლის თხოვნა; ამ დროს მოირბინეს შინიდამ ჩემმა პატარებმა და შეგვატყობინეს, რომ ტორნგილი თავის სტუმრებით მოვიდაო. ჩვენ მაშინვე დავბრუნდით შინ, სადაც გველოდენ ტორნგილი, ორი სხვა კავალერი და ორი მშვენივრად ჩაცმული ქალი; ეს ქალები გაგვაცნეს და გვითხრეს, რომ ლონდონელი დიდ-კაცის ცოლები არიანო.

ჩვენს სახლში არ იყო საკმაოდ სკამები ამოდენა ხალხისათვის და ტორნგილმა არჩია, ყველა კავალერმა თითო ქალი დაისვას მუხლებზედაო. ამაზედ მე ცივი უარი ვუთხარ, თუმცა კი ჩემი ცოლი გვერდზედ მიცქეროდა და მტუქსავდა ამ გვარ უკმეხობისათვის.

მოსეს მივანდეთ სკამების შოვნა და რადგან სატანცაოდ ქალები არა კმაროდენ, ორივ კავალერი წაყვნენ მას ქალების მოსაძებნელად. იმათ მალე მოიყვანეს ჩემის მეზობლის ფლამბოროს ღაჟღაჟ-ლოყებიანი ქალები, რომელნიც წითელ ლენტებით ბრწყინავდენ. მაგრამ საქმე ახლა სხვაფრივ გაძნელდა. ფლამბოროს ქალები თუმცა პირველ მოტანცავეთ ითვლებოდენ მთელს მხარეს და ზედ-მიწევნით იცოდნენ სოფლური ტანცაობა, ქალაქის ტანცაობისა არა გაეგებოდათ-რა. ამან ცოტა არ იყოს ჩაგვაფიქრა, მაგრამ, ცოტა სტუნვისა და მის-

ლა-მოსვლის შემდეგ, მიხვდნენ ახალს ტანცაობასაც და მხია-რულად მიჰყვეს საქმეს ხელი.

ჩვენს მუსიკას შეადგენდა ორი სკრიპკა, ერთი ფლეიტა და ერთი დოლი. მთვარე მშვენივრად ანათებდა და ვერცხლებ-რივს ნათელს ჰფენდა ყოველს საგანს.

პირველად ტანცაობა დაიწყო ტორნჰილმა ჩემს უფროსს ქალთან; ხალხი სიამოვნებით უცქეროდა მათ; ყველა ჩვენს მე-ზობლებს იქა ჰქონდათ თავი მოყრილი, ტანცაობის ამბავი რომ შეეტყოთ. ჩემი ქალი ისე კოხტად და ცქვიტად იქ-ცეოდა ტანცაობაში, რომ ჩემმა ცოლმა ვეღარ დამიმალა თვი-სი აღტაცება და მარწმუნებდა, რომ თუმცა განსაცვიფრელის ხელოვნებითა ტანცაობს ოლივია, მაგრამ ფეხების სიმარდებაში მე მბაძავსო.

ქალაქელი ქალები ყოველის ღონისძიებით ცდილობდნენ, უკან არ ჩამორჩომოდნენ ოლივიას სიცქვიტეში; იპრანჭებო-დნენ, იგრიხებოდნენ, მაგრამ ამაოდ. მაყურებლები ამბობდნენ, ჩინებულად ტანცაობენო, მაგრამ ჩვენმა მეზობელმა ფლამბო-რომ შენიშნა, რომ ოლივიას ტანცაობა კიდევ სულ სხვააო: იმის პაწია ფეხები თითქო ბანს აძლევენ მუსიკის ხმასაო. ერ-თი საათი კი იტანცავეს და შემდეგ ქალაქელმა ქალებმა არ-ჩიეს ტანცაობის გათავება, გაცივებისა გვეშინიაო. ერთმა მათგანმა, ჩემის აზრით, ძალიან უმართებულო სიტყვა წარ-მოსთქვა: ღმერთმანი, სრულებით ოფლში გავიწურეო.

შინ რომ დავბრუნდით, მშვენიერი ვახშამი დაგვხვდა მზა-და. ტორნჰილს მოეტანინებინა სხვა-და-სხვა ცივი, მაგრამ ჩინებული საჭმელები. ლაპარაკი უფრო დარბაისელი ჩამოვარ-და და ქალაქელებმა სრულებით დაამარცხეს ჩემი ქალები; ისი-ნი ლაპარაკობდნენ მხოლოდ დიდ-კაცობაზედ, მათ შეკრებე-

ლებაზედ, მასტერობაზედ, გემოვნებაზედ, შექსპირზედ და მუსიკაზედ. მართალია, ერთხელ-ორჯერ უმართებულო ფიცის წარმოთქმით ძალიან შეგვაწუხეს, მაგრამ ეს ფიცი მე იმის ნიშანი მეგონა, რომ ნამდვილად დიდ-კაცთა ჩამომავალნი იყვნენ; მასუკან კი შევიტყე, რომ ფიცს დიდ-კაცობაში სრულებით არა ხმარობენ. მაინცა და მაინც ძვირ-ფასი ტანისამოსი ჰფარავდა ზოგიერთს მათს უკმეხს ქცევას.

ჩემი ქალები შურით უყურებდნენ ამ ქალების სწავლას და, რაც კი ნაკლულევანება ჰქონდათ მათ, ყოველისფერი მაღალსაზოგადოებაში შემოღებული ახალი მოდა ეგონათ. ყოველ ამ სიკეთესთან იმ ქალებმა საკვირველი თავდაბლობა გამოიჩინეს; ერთმა მათგანმა შენიშნა, რომ უკეთესის ყოფა-ქცევის მისალებად, ოლივიასთვის საკმარისია, პატარა ხანი დიდ-კაცობაში გაატაროსო. მეორემ დაუმატა, სოფიომ რომ ერთი ზამთარი ლონდონში დაჰყოს, სულ სხვა იქნებაო. ჩემი ცოლიც დაეთანხმა მათ სიტყვებს და წარმოსთქვა რომ, ნეტავი არ იქნება ჩემს ქალებს შემთხვევა მიეცეთ, ერთი ზამთარი მაინც დედა-ქალაქის განათლებულ საზოგადოებაში გაატარონო. ამ სიტყვებზედ მე შევნიშნე, უმისოდაც ჩემი ქალები თავიანთ შეძლების შეუფერებლად აღიზარდენ და კიდევ მეტი განათლება რომ მიიღონ, უფრო იგრძნობენ თავიანთ სიღარიბეს, რადგან მეტს განათლებასთან მეტის მიუწდომელ სიამოვნების მიღებას მოინდომებენ მეთქი.

— რომელი სიამოვნებაა მიუწდომელი იმათთვის, მომიგო ტორნგილმა, რომელთაც შეუძლიანთ თავიანთ მშვენიერებით დააგვირგვინონ სხვის ბედნიერება? ერთი რამ უნდა გითხრათ: მე საკმაოდ მდიდარი ვარ: სიყვარული, სიხარული, თავისუფლება არის წადილი ჩემის ცხოვრებისა! გეფიცებით, ჩემის მა-

მულის ნახევარს რომ შეეძლოს ჩემს მშვენიერს ოლივიას მცირედიც არის სიამოვნება მოუტანოს, ეს ნახევარი მაგისი ჭირის სანაცვლოდ იქნება; და სამაგიეროდ მხოლოდ ამ მოწყალებასა ვთხოვ, რომ მეც მიმიღოს იმ საჩუქართან ერთად.

თუმცა კარგად არ ვიცოდი, საზოგადოებაში სად რა სიტყვა-პასუხი იყო საჭირო, მაგრამ მაინც მივხვდი, რა ურცხვი აზრი იყო ამ სიტყვებში გამოხატული; მე ჯერ კიდევ ვცდილობდი თავი შემემაგრებინა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, მივუგე მე, ის ოჯახი, რომელიც თქვენის აქ მობძანებით გაბედნიერეთ, შეჩვეულია პატიოსნების წესზედ ცხოვრებას და მცირედიც არის სურვილი ამ პატიოსნების შეგინებისა საშიშარ ამბის მომასწავებელი იქნება. ჩვენი სიმდიდრე ქალთა მხოლოდ პატიოსნებაა და განსაკუთრებით უნდა დავიცვათ ეს ჩვენი უკანასკნელი საუნჯე.

მალე შევინანე ამ სიტყვების გაცხარებით წარმოთქმა: ჩვენმა ახალ-გაზდა სტუმარმა ხელი ჩამომართვა და შემომფიცა, რომ სრული თანხმა ვარ თქვენის აზრისა, თუმცა კი თქვენი იჭვნეულობა სრულებით უსაფუძვლოაო.

— თქვენის სიტყვების წარმოთქმის დროს, მე გყავდით სახეში, მითხრა იმან, მაგრამ გეფიცებით, მე აზრადაც არ მომსვლია თქვენი წყენა. გაგიტყდებით და დამერწმუნეთ, რომ მე ციხის იერიშით ალება მირჩევნიან და ზოგიერთი გამარჯვებაცა მქონია ამ გვარ საქმეში; წესზედ ციხის გარშემორტყმა და ისე ალება კი ჩემი საქმე არ არის.

ქალაქელი ქალები გაჯავრდნენ ამ უკანასკნელ სიტყვების მნიშვნელობაზედ; უწინდელი სიტყვები ტორნჰილისა ვითომდა ვერ გაიგეს. ამის თაობაზედ დაიწყეს დარბაისელი და წესიერი ლაპარაკი სათნოებაზედ; ჩემმა ცოლმა და კარის-

მღვდელმაც მიიღეს მონაწილეობა ამ ღვთის-მოსაწონის ბაასში. ტოჩინვილი საშინელი აღელვებული სჩანდა, და შეინახა თავის უწინდელი შეუღვრებელი ყოფა-ქცევა. ჩვენ ვლაპარაკობდით ზომიერების სიკეთეზედ და იმისთანა კაცთა სულის სიმშვიდეზედ, რომელთაც გულში ბიწი არა შეჰპარვია-რა.

ისეთს აღტაცებაში მოვედი ამ ლაპარაკისაგან, რომ ნება მივეცი ჩემს პატარებს ჩვენთან კარგა გვიანობამდე დარჩენილიყვნენ. ეგება იმათაც კეთილი რამე შეეძინათ ამ ზნეობის-ამამაღლებელ საუბრიდამ.

ტოჩინვილმა კიდევ უფრო გადააჭარბა: მკითხა არ შეიძლება ეს საღამო ლოცვით გავათავოთო?

მე დიდის სიამოვნებით დავყაბულდი და ამ საღამოის სიამოვნება სწორედ რომ წესიერად გავათავეთ.

სტუმრებმა დააპირეს შინ წასვლა. ქალაქელ ქალებს თითოქო ძალიან ეზარებოდათ ჩემს ქალებს გაშორებოდნენ, ეტყობოდა, ძალიან შეუყვარდათ; მთხოვეს, რომ თან გამეტანებინა და მათ თხოვნას ტოჩინვილმა თავისი თხოვნაც ზედ დაურთო. ჩემი ცოლიც დათანხმდა და ჩემი ქალები კი თავიანთ სურვილს თვალებით აცხადებდნენ.

ამ ძნელს ყოფაში რომ ვიყავ, დავიწყე სხვა-და-სხვა მიზეზების ძიებნა; მაგრამ რადგან ეს მიზეზები ჩემმა ქალებმა დამირღვიეს, მეტი გზა არ იყო, უნდა ცივი უარი მეთქვა. ამ მიზეზით მეორე დღეს ჩემი სახლობა გვერდზედ მიცქეროდა და ვისთვისაც რა უნდა მეკითხნა, ყველა მშრალს და მკვახეს პასუხს მაძლევდა.

(გაგრძელება მეორე ნომერში.)

# ახალი წელი.

მას უხაროდეს ახალი წელი,
ვინც კი ცხოვრებით კმაყოფილია,
ვისიც წარსული არ იყო მწველი
და მომავალი ვისიც ტკბილია!

—

ვინც შარშან გულით ვარდი ატარა
და წელსაც ჰფიქრობს მოჰკის იასა;
და თვისი გული მან მით ადარა
სამოთხის კარსა შვებით ღიასა!

—

ვინც ტრფობის ტახტად შეიმკო გული
და ზედ ხელმწიფედ დასვა იმედი;
და ვისაც ქშხით, ვითა ბულბული,
გაუწყვეტელად უმღერდა ბედი!

—

მას უხაროდეს... თორემ საღველი
ვინც შესვა ჩემებრ და სცნო მწარ-ძალა;
მას რაღად უნდა ახალი წელი?
მისთვის ერთია «დღესა» თუ «ხვალა»!

—

სამივეც ერთად შეზავებული:
წარსული, აწმყო და მომავალი

ვეღარას არგებს! ბნელი უფსკრული
და საიეღავია მისი წამალი!

---

მაშ ნუ მილოცავთ მე ახალსა წელს!
ჩემთვის ერთია «ახალი», «ძველი»!
თუ შარშან ვსვამდი მწარესა ნაღველს,
ამ სასმელს წელსაც ველი და ველი!

აკაკი.

## სხვა-და-სხვა გვარი ქორწილი.

### I

კნიაზი გიორგი შვილია ღენერალ-ლეიტენანტის მაღალ-გვაროვისა. ეს არის ოც-და-სამის წლისა; ლამაზი ბიჭია, დედის ერთაა და ჩინი აქვს პირველი. ამან სწავლა დაასრულა მას აქეთ, რაც თოთხმეტის წლისამ თავის გუვერნიორს სცემა და ჩინი ადვილათ მიიღო თავის დიდ ნათესაობის და მამის შემწეობით. ეს კარგად ტანცაობს მაზურკას, მშვენივრად ლაპარაკობს რუსულს, ფრანცუზულად უკამანდებს კადრილში ქალებს და ლაზათიანად ატარებს თავის დრაგუნის მუნდირს. ამის მამას დიდი მამული აქვს, დიდი ალაგიც უჭირავს და ამიტომ პრაპორშჩიკი გიორგი პირველი საქრმოა საქართველოში, რასაკვირველია, უმაღლესს საზოგადოებაში. ყველა დედას—არისტოკრატკას გულის ძგერით მიჰყავს თავისი ქალი ბალში (ერვიესთან ნისიად აღებულის კაბით) იმ აზრით, ეგება გიორგიმ თვალი გადაავლოსო და, რასაკვირველია, გიორგის თვალის მისაზიდავად ყმაწვილი ქალიც კარგად მომზადებულია. ეს არა ზოგავს რუსულად და თუ გაჭირდა ფრანცუზულ ენაზედაც ჭიკჭიკებს; ტანს კეკლუცად აქეთ-იქით არხევს და კაბდოსავით მიათრევს ძვირ-ფასს შლეიფს. მაგრამ, გიორგი, როგორც ნორჩი ყმაწვილი-კაცი, ყველა ქალზედ ერთგვარად თვალ-გაჭყეტილია. ამას ვიდრე ხელს არავინ წაავლებს

და არ ეტყვის, აი ეს მაშო შეირთე, კარგი ქალია, მამა დენერალი ჰყავს, დედა დიდის-კაცის ქალი; მზითევიც, უეჭველად, შესაფერი ექნება თავის გვარიშვილობასთანაო, იმ დრომდე ეს თავის-თავათ ვერაფერს არჩევს. მაშინ კი, როდესაც ამ გვარად გზაზე დაყენებულია, გიორგი სცდილობს მაშოსთან ახლო იყოს; სცდილობს, ასიამოვნოს რამე, მაგალითად: «რა ძრიელ გიხდება, ქალო, ეგ წითელი ვარდი»; «როგორ ატარებთ დროს ამ ზამთარს» და სხვ. სხვა საგნებზედ ბაასი ამათში შეუძლებელია: მათი სწავლა ისეთი მსუბუქი და უნიადაგოა, რომ წაკითხულ რომანებზედაც კი გაბედვით ვერ ლაპარაკობენ. ამ გვარად მაშო და გიორგი რამდენჯერმე შეხვდებიან ერთმანერთს საზოგადოებაში; ორჯერ-სამჯერ გიორგიმ მაშო კადრილში ატანცავა. მაშოს დედას გული უფანცქალებს: ჰო, თუ არა?

ერთს მშვენიერს დილაზედ მობრძანდება გიორგის ძალუა მაშოს დედასთან. მოკითხვის შემდეგ კნეინა მაღალ-გვაროვისა ეტყვის ელენეს, მაშოს დედას, მე ერთი რამ მწადიან და შენ ამაზედ წინ-და-წინვე პირობა უნდა მომცე, რომ უარს არ მეტყვი. (ელენე და კნ. მაღალ-გვაროვისა ერთმანერთის ძველი მეგობრები არიან.)

ძალუა გიორგისა და დედა მაშოსი მორიგდნენ. მეორე დღეს თეთრის ფერჩატკებით და მუნდერში გამოწყობილი მოვიდა გიორგი. ჯერ ხელზედ აკოცა ელენეს და მერე ორიოდე სიტყვა უთხრა გაწითლებულს მაშოს. ამ სიტყვებისას მაშო ვერას გაიგებდა, თუ მომზადებული არა ყოფილიყო. (გუშინ მთელი დღე დედა ამას არწმუნებდა, რომ ამისთანა ბედი საქართველოში ჯერ არავის მოსდგომია.) გიორგი მაშოსა სთხოვს, რომ გაბედნიეროს და იმისი ცო-

ლი გასდეს. მაშო, რასაკვირველია, უარს არ ეტყვის; უარი შეუძლებელია.

მთელი ერთი თვე ამის შემდეგ გიორგი და მაშო თითქმის ყოველ-დღე ერთად არიან, მაგრამ ერთმანერთისათვის კი არა სცალიანთ. მაშოს მთელი დღე კაბებს აზომებენ, მზითევს არჩევინებენ და გიორგი კი უსაქმობით სხვა-და-სხვა ქალებს ემასხარება, სცდილობს იოსუნჯოს, ახალ ამბებს უამბობს. ერთის სიტყვით ისე იქცევა, როგორც შეეფერება ყმაწვილ კავალერს. მაშოს და გიორგის ერთად, პირის-პირ, თავს ვინ დაანებებს; ეს მაღალ საზოგადოებაში მიღებული არ არის. ესენი ერთად დადიან სასეირნოდ ეკიპაჟით, მაგრამ მესამე პირის თანადასწრებით. თუ ვინიცობაა ელენეს არა სცალიან, პატარა რვა წლის ძმას მაინც უთოოდ მზვერავად გაატანენ. სუფრაზედაც ერთადა სხედან, მაგრამ დედის თვალი ამათზედ არის და ესენიც არცერთის მოძრაობით არ არღვევენ წესიერებას. გიორგის და მაშოს ამ ერთ თვეში ერთმანერთისთვის ერთი გულითადი სიტყვა არ უთქვამთ. ამათ სრულიად არ იციან ერთმანერთის ხასიათი. გიორგი ჰხედავს, რომ მაშო არის ლამაზი და ჯერ-ჯერობით ესეც საკმაოა მისთვის. ქორწილს შემდეგ დაუახლოვდებიან ერთმანერთს და თუ ვერ შეთვისდებიან ამათი ხასიათები, რა უყოთ, ცოტანი ყოფილან ამ გვარად! ამათი ნათესაობა, მეტადრე ქალები, ამტკიცებენ, რომ გაგიჟებით უყვართ ერთმანერთი და ამათაც სჯერათ: «კურთხეულ არიან მორწმუნენი.»

მოვიდა ჯვარის-წერის დღეც. თექვსმეტის წლის მაშო, ცხოვრებაში გამოუცდელი, დიდის აღტაცებით იცვამს საგვირგვინო კაბას, თავზედ იკეთებს ყვავილებს და ღიმილით იგონებს იმ წამს, თუ როგორ შევა ეკლესიაში და როგორ გა-

აოცებს ყველას თავის სილამაზით. არც ერთს წამს ამ ერთი თვის განმავლობაში ამის თავში არ გაუვლია იმ აზრს, თუ რა მოელის ჯვარის-წერის შემდეგ. მთელი ქალაქის დიდ-კაცობა ბრწყინავდა ამათ ქორწილში. მდიდრულად მომზადებულის საუზმის შემდეგ, მეფე დედოფალმა გამოიცვალეს ტანისამოსი და ჩასხდენ კარეტაში. სამზღვარ-გარეთ მიდიან. რათა? რისთვის?—იმიტომ, რომ დიდ-კაცობაში აგრეა მიღებული—მოდაა.

სამის თვის უსაქმოდ აქა-იქა ევროპაში თრევის შემდეგ, დაბრუნდენ გიორგი და მაშო დაღალულნი და რადგანაც აზრი არა აქვთ-რა ცხოვრებისა, უფერულად და ზლაზვნით შეუდგნენ მას. დილიდგან საღამომდე გიორგი ცალკე დარბის ფაეტონით ნაცნობებში ახალ ამბების შესატყობად და მაშო ცალკე. არაფერი არა შეაერთებთ-რა ამ ორს პირს ერთად. ორივენი ეშურებიან უცხო პირებით ამოავსონ ის სიცარიელე, რომელიც მათ შუაა.

ნელ-ნელა მიჰყო ხელი გიორგიმ შტოსს და მაშომ ბლოტს. გიორგი კლუბში, ან სადმე სახლობაში, თამაშობს ქაღალდს, ჭორიკანაობს, ქალებთან ასურდავებს ოც-და-ხუთ მანეთიანებს და შინ ლაქიას ესესხება სამ-მანათიანებს; ყოველდღე პირველ რიგ კრესლოში ზის თეატრში და რომელსამე აქტრისას აბედნიერებს თავისის თანაგრძნობით. ერთის სიტყვით ისე ატარებს დროს, როგორც შეეფერება ამ დროების ახალგაზდა დიდ-კაცის შვილს.

მაშომ სამზღვარ-გარეთიდამ დაბრუნების შემდეგ არ იცოდა რა ექმნა. მერე კი ძრიელ მოეწონა თავისუფალი ცხოვრება გათხოვილის ქალისა; ეს რამდენჯერმე აბმევინებს დღეში ეკი-

ჰაყს, დადის მაღაზიებში, ვიზიტებს უკეთებს თავის ქმრის ნათესავებს, რომელნიც შეჩნატრიან იმის ბედსა.

მაშო ობსულად არის; თითონ მაშო, ქმარი, ნათესაობა თითქმის განკალით მოელიან მემკვიდრეს. რა იმედი იქნება თავის ქვეყნისთვის გიორგისა და მაშოს შვილი?!

## II

თადეოზ ყოჩაღაშვილი შვილია ლუარსაბ ყოჩაღაშვილისა. ლუარსაბი სიყმაწვილეში ითვლებოდა დიდ პატრიოტათ; ერთხელ რაღაც მთავრობის წინააღმდეგ ყრილობაშიაც დაესწრო და ამისთვის კინაღამ ციმბირში თავი არ ამოჰყო. შემდეგ ამ გვარის გაცოცხვისა, ლუარსაბი დიდი პატივის-მცემელი შეიქმნა ყოველივე წესიერებისა. ხმა-მაღლა, საქმით მუდამ დიდებს ელაქუცებოდა, მაგრამ ჩუმათ კი, თავის სახლობაში, ლუარსაბს უყვარდა ქურდულად თავისუფლებაზედ, კაცობრიობაზედ, ძმობაზედ და პატიოსნებაზედ ლაპარაკი; ჩინით იყო დიდი, გულით ფლიდი; ყოველივე იმისი ბაასი უმაღლეს საგნებზე იყო უნიადაგო და შვილებიც აგრეთვე უნაყოფოები გამოუვიდნენ. თადეოზმა, როგორც უფროსმა და საყვარელმა შვილმა, უფრო ნამდვილად შეითვისა მამის ხასიათი. ოც-და-ათ წლამდინ, ვიდრე კაპიტნის ჩინს გადასცილდებოდა, ჩინებული კაცი იყო. მამულის სიყვარული, ქართული ენა, ქალების განათლება, შესწავლა მეურნეობისა, როგორც უპირველესის ღონისა ჩვენის ქვეყნის ფეხზედ დაყენებისათვის,—აი რა იყო იმისი აზრი.

თადეოზმა სწავლა დაასრულა ერთს რუსეთის სამხედრო სასწავლებელში. როდესაც გადმოვიდა საქართველოში, დიდის

მსურვალებით მიჰყო ხელი მეურნეობის შესწავლას და კინაღამ ჯარის სამსახურს თავი დაანება. მაგრამ იმის ბედზედ მოასწრო საყვარელის მამის რჩევამ და სულ სხვა რიგად დაატრიალა იმისი აზრები. ჩვენი კეთილ-აზროვანი თადეოზი მალე დაემორჩილა თავის გამოცდილის მამის დარიგებას: თავისი ენერგია იმან რიგიანად მოახმარა ჯარის სამსახურს და, რასაკვირველია, საჩქაროდ წავიდა აღმატების გზაზედ. კაპიტნობამ, მაიორობამ, პოლკოვნიკობამ ისე წაახალისა ეს ჩვენი გმირი, რომ როდესაც უკანასკნელი ომიანობა გაიმართა ოსმალეთისა და რუსეთს შუა, ეს იყო მხოლოდ აფიცერი და კაცი კი მასში გაჰქრა.

ომიანობაში კარგი მადიანი ალაგი ჩააბარეს და ამანაც ურიგოდ არ მოიხმარა, ბლომად ჩაალაგა ჭრელი ქაღალდები შავის დღისათვის. მორჩა ომი. თადეოზი გამარჯვებული, თუ სიმამაცით არა, ჯიბით მაინც, დაბრუნდა ქალაქში. პოლკოვნიკის მუნდირი, კალიასკა და ბევრი სხვა კეთილ-ცხოვრება, რასაკვირველია, არ დარჩა შეუნიშნავი. გაუჩნდენ აქეთ-იქით ქალების მძლეველები.

სხვათა შორის თადეოზს ჰყავდა ერთი ნათესავი ლენერალი. ამ ლენერალს მიმართა ერთმა ქალის მამამ მიშუამდგომლე და თადეოზს ჩემი ქალი შევრთეთო. თადეოზმა, რამ წამს შეიტყო, რომ ამ ქალს მზითვად ექნება ორი-ათასი თუმანი, თვალები აჭყიტა. თუმცა თავისი შემინებულიც ამდენივე ეგულებოდა, მაგრამ შეძლების ერთი-ორად ქცევა ურიგო არ არის! თადეოზმა მოინდომა ქალის გაშინჯვა.

ლენერალმა მოიწვია თავისთან კარაპეტ ბეგოვი თავის ქალით. ლიზა ბეგოვისა ოც-და-რვა წლის ქალია. ეს არც ლამაზია და არც გონჯი; სწავლა ერთს კერძო პანსიონში დაასრულა. ტანით ძალიან სუსტია და ყოველივე მოძრაობა ლიზა-

სი სასაცილოა. ეს არის მიზეზი, რომ ლიზა, ამოდენა მზით-ვის პატრონი, ჯერ გაუთხოვარია.

ღენერალთან თადეოზის და ლიზას გარდა კამპანიის შე-სადგენად მოწვეულნი არიან კიდევ რამდენიმე ყმაწვილი-ქალე-ბი. შემოსვლის უმალვე, მამამ უბძანა ლიზას, რომ ვალსი დაუკრას. ლიზამ დაუკრა; თადეოზმა ქალებთან პროწიალი და-იწყო. ვალსის შემდეგ პოლკა, პოლკის შემდეგ მაზურკა და მაზურკას კიდევ სხვა ხმები მოჰყვა. კარაპეტას უნდოდა ყოვე-ლივე ნიჭიერება თავის ასულისა ერთად წარედგინა სასიძოს-თვის. ტანცაობის შემდეგ ლიზა მდივანზედ დააბძანა ღენე-რალმამ. თადეოზმა, თითქო უნებურად მიიტანა ორი სანთე-ლი და ლიზას წინ დაუდგა. ლიზა გაჯავრებული წამოსტა.

— ეგ დიდი სიბრიყვეა, თქვენმა მზემ!

თადეოზი სასტად დარჩა, მაგრამ შერთვაზედ მაინც უა-რი აღარა სთქვა. ლიზა სახით მახინჯი არ იყო და ჯიბეშიაც ორი-ათასი თუმანი ედვა.

მეორე დღესვე თადეოზს უნდა ეთხოვნა ქალისათვის პირად, რომ ის დათანხმებულიყო მათს ქორწინებაზედ, ე. ი. «პრედლოჟენიე» უნდა გაეკეთებინა. ლიზა მომზადებული საქ-მროს მისაღებად, გამოწყობილი თავის საუკეთესო კაბაში და ძვირ-ფასის თვლებით დაიარაღებული, იჯდა სასტუმრო ოთახ-ში. ამის სახლობა და ნათესაობა სხვა ოთახში ისხდნენ და მოელოდნენ ცერემონიის დაბოლოებას. თადეოზი შემოვიდა სრულის ფორმით და რამ წამს მიუახლოვდა ლიზას, ლიზამ დაიკივლა და გავარდა გარეთ. თადეოზი კიდევ სასტად დარ-ჩა. ქალი ისევ გამოიყვანეს და თავის ადგილას დასვეს. თადე-ოზი კიდევ წადგა ხელის სათხოვნელად, ლიზამ კიდევ დაი-კივლა. თადეოზი ახლა კი გაჯავრდა, წაავლო ქუდს ხელი და

წასვლა დააპირა. ქალის ნათესაობა მისცვივდა საცოდავს ქალს, შუამაკალი ღენერალი—თადეოზს, და რის ვაი-ვაგლახით პირის-პირ შეჰყარეს. თადეოზმა საჩქაროდ უთხრა:—გთხოვთ თქვენი ხელი მომცეთ და საუკუნოდ გამაბედნიერეთო.

ლიზამ თავი დაუკრა და ხელი მისცა. მაშინ მეორე ოთახიდგან გამოცვივდა დედ-მამა, თავიანთ «ვინმეებით» და მამ-პანსკით მიულოცეს ამათ ბედნიერება.

თადეოზი მეორე დღესვე გაგზავნეს სამსახურის თაობაზედ ალექსანდროპოლში. ლიზა შეუდგა მზითვის მზადებას. ამან ლამაზად მორთო ის სახლი, სადაც უნდა დამდგარიყო ქმრის შერთვის შემდეგ. ბევრს ლაპარაკობდენ იმაზე, თუ რა მშვენიერებაა ამის პირის-ფერი საწოლი ოთახი; თუ როგორი ხომლი ჰკიდია ამის სასტუმრო ოთახში და სხვ.

ერთის კვირის წინად ჯვარის-წერისა დაბრუნდა თადეოზი. ეს იგიცსლავ შეუდგა სიმამრისაგან დაპირებულის ფულის სრულად ჩაბარებას და როდესაც თავის ფულებთან დააბინავა ცოლის მზითევიც, მაშინვე დაიწყო ქორწილისთვის მზადება. საცოლოს მიართვა მშვენიერი, ბრილიანტებით მოჭედილი საათი, სამი-თითის სიპტყე მეწკვი, გულის ქინძისთავი, საყურეები და სხვა-და-სხვა წვრილმანი საჩუქრები. ამათ ჯვარი უნდა დაიწერონ წმ. გიორგის ეკკლესიაში. სამის დღის წინადვე დიდი მზადებაა საყდარში. მთელი ეზო დაავგვევინა პეტრე დეკანოზმა. ეკკლესია ისე ბრწყინავს, თითქო სააღდგომოდ მომზადებულიაო. მგალობლები არქიელისა არიან. სულ ყველა ხომლები განათებულია. მთელი ეკკლესია სავსეა მოწვეულის სტუმრებით. უბრალო ხალხს არ უშვებენ. ლიზა ძვირ-ფასს ტანისამოსში შვენის; თადეოზი ბუზმენტებში ბრწყინავს. ხალხში ლაპარაკობენ იმაზედ, თუ რა ღირს ლიზას კაბა. მგა-

ლობლები გრიალებენ, მღვდელი იწყებს ლოცვას. თადეოზი და ლიზა კმაყოფილნი არიან, რომ მთელი ქვეყანა ამათ უყურებს. მეჯვარეები სულ ჩინიანები არიან. დედათ და მამათ ამოურჩევიათ ქალაქის პირველი არისტოკრატები. გათავდა ჯვარის-წერა. ეკკლესიის კარებზე სდგას რამდენიმე კარეტა და სხვა ეკიპაჟები. ეს პროცესია დიდის გრიალით გაუდგა ერთს უპირველესს ქუჩას ქალაქისას.

ქორწილი კარაპეტასთან არის. ამის სახლი განათებულია სხვა-და-სხვა ფერის ფარნებით. ბალკონზედ მუსიკა გრიალებს. ზალა სავსეა ძვირ-ფასად მორთულის ქალებით. ქორწილი დიდის ამბით გადიხადა კარაპეტამ. ეს ამის სახლში პირველი ქორწილია და გულ-უხვად უნდა იყოს; მაშ! სიძე დიდის ჩინების პატრონი ჰყავს. გათენებისას დაიშალა ხალხი და ლიზა გადასახლდა თავის მდიდრულად მორთულ პატარა სახლში.

აგერ ერთი წელიწადია, რაც ყოჩაღაანთ ჯვარი დაიწერეს. თადეოზი ამ ხანში სულ სამი თვე არა ყოფილა სახლში. ის ძლიერ მხურვალედ ეკიდება თავის სამსახურს და არც ქონების გაზრდა ავიწყდება. ამბობენ, სამსახურს გარდა, სხვა ჩაყენებული პირებით, «პოდრიადითა» აქვს თავის პოლკის გამოკვება აღებულიო.

ლიზაც რიგიანად ხმარობს თავის დოვლათს. პოლკოვნიცობაში თითქმის გაისწორა თავისი სასაცილო მანერები. სტუმრები, საღამოები, თუმცა ხშირად კი არა, მაგრამ იმ დროს, როცა კარგს სარგებელს აიღებს, არ აკლია. ქალაქში, თუ ერთი და ორი სახლია რიგიანი, იმათში ამისი სახლიც ითქმის. ყოჩაღაანთ სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ შვი-

ლი არ ქმლევათ და ვაი თუ სხვას დარჩეს ამათი შვილივით გაზრდილი ხუთი ათასი თუმანი.

## III

კნეინა ანასტასია მსედრაძისა ძლიერ სწუხს, რომ ამისმა უფროსმა შვილმა, ზაალმა, სწავლა არ დაასრულა გიმნაზიაში. მთელი თავისი ჯანი და ცხოვრება სულ იმას მოანდომა, რომ ეს კაცად გამოეყვანა, და, ნახე ამის უბედურება, მეხუთე კლასამდინაც ძლივს მიაღწია. ესეც რა მიღწევა იყო! ზაალ ყოველთვის გიმნაზიის მასწავლებლებთან იყო ბინად და ისინი დიდის ქრთამით და რამდენჯერმე ანასტასიასაგან მუხლზედ მოხვევის შემდეგ, მოახერხებდენ ხოლმე ზაალის შემდეგ კლასში გადაყვანას. ანასტასიას ბედმა უმუხთლა; ორს წელიწადს პური არ მოუვიდა გვალვის გამო, ვენახი დაესეტყვა და არა თუ მასწავლებლებისთვის ქრთამი, პრიკაზში შესატანი სარგებელიც ვერ მოახერხა. ზაალ ჩვეულებისამებრ და, უფრო მასწავლებელთაგან ლალატის გამო, ორჯერ ზედი-ზედ დარჩა ერთს კლასში და მესამე წელიწადს გამორიცხეს სასწავლებლიდამ. შენს მტერს მისცეს ღმერთმა ის დღე, რაც დღე ანასტასიასთვის ზაალის შინ დაბრუნების დღე იყო. ეს ისე ღრიალებდა, როგორც მგლოვიარე, და საყვედურით ახრჩობდა შვილსა, მაგრამ რას გააწყობდა; ისევ იფიქრა სხვა-ფრივ ეშველნა საქმისათვის.

— რა ვქნა, რომ კურსი არ დაასრულა, ანუგეშებდა თავისთავს ანასტასია, ჩვენი პეტრე ცხვრისთავაძე, რომ მეოთხიდამ არის გამოგდებული, ვითომ კარგი ჩინოვნიკი არ არის თუ? მეც იმას მივმართავ, ვთხოვ ჩემი ზაალი მწერლათ აიყვანოს.

მერე სტოლონაჩალნიკობას მიიღებს, სამსახურს ისწავლის და ღმერთი შემეწევა, ერთხელ ჩემი ზაალიც ჩანაჩალნიკი გამის-დება.

ზაალმაც ამაზედ უარი არა სთქვა. ქალაქში ქუჩებში თრევას დაეჩვია და სოფლის მეურნეობა ვერაფრად ემწყინა. დასახლდა ზაალი გორში მარტოდ-მარტო, თავის სამსახურის ადგილას ახლო. ანასტასია ფულებს ხშირად უგზავნიდა ზაალს, რადგანაც ჯამაგირი ძლიერ ცოტა დაუნიშნეს. ამას მალე გაუჩნდნენ ამხანაგები, გამართეს ლხინი, ლოთობა, ბალებში სიარული. სამსახურს ყური ვიღა უგდებდა? წლის თავზედ ზაალი სამსახურიდამ დაითხოვეს. ეს ისევ შინ დაბრუნდა. შეკერა ორიოდ ხელი კარგი ტანისამოსი, იყიდა იორღა ცხენი და თითქმის ყოველ-დღე ხან ერთ სოფელში წავიდოდა სტუმრად და ხან მეორეში. საწყალი ანასტასია შრომობდა და ესა სჭამდა. არავითარი მუშაობა, არც ჯანისა და არც შრომისა ამას არ შეუძლიან. არცერთისთვის ეს მომზადებული არ არის. ლეკური, სიმღერა, თარი, ჯირითი, ასოხასი და ლოთობა მალე გაივარჯიშა.

ახლა თექვსმეტის წლის ლამაზი, ტანადი და ყოჩადი ქალია. ქართულად ცუდადა სწერს და კითხულობს, მაგრამ ლეკურს ჩინებულად თამაშობს. ამის მამას, ალექსანდრე ბორ-გვამეს, ამის გარდა კიდევ ოთხი ქალი და სამი ვაჟიც სხვა ჰყავს. ეს, რასაკვირველია, ცდილობს, რომ თავის უფროსი ქალი თავიდამ იაფად მოიშოროს. ამან კარგად იცის, რომ ზაალს ძველი ოჯახი აქვს: ჰყავს ცხვარი, ძროხა და აქვს მამული. ატყობს ზაალსაც, რომ თავ-თხელია და ცდილობს, როგორმე მახეში გააბას. ეს ამისთვის ძნელიც არ არის. ორჯერ, სამჯერ ალექსანდრემ დაპატიჟა ზაალი, დაათრო, და რომლისაც

ღვინომ თვალები აუჭრიალა, ანეტა გამოუთამაშა, ზაალი აენთო. ცხრამეტის წლის ყმაწვილის სისხლმა დუღვა იწყო, თავბრუ დაესხა; ანეტას თვალი ველარ მოაშორა. მერე ქშინით სიმღერა დაუწყო და ბოლოს იქამდინაც მიაღწია ამის გაბედულობამ, რომ ანეტას ხელზედ აკოცა. ალექსანდრესაც ეს უნდოდა. მეორე დღესვე ანასტასიას მოციქული გაუგზავნა. თუმცა იმან ბევრი იუარა, უმზითვოა, ჩემს შვილს უმზითვოს არ შევრთავო, მაგრამ, როდესაც ზაალმა სმა აღიმაღლა, მეტი ღონე არ იყო, უნდა დასთანხმებოდა.

ზაალმა ჯვარის-წერისათვის ის მეორე ნახევარიც მამულისა, რომელიც შრიაზში არ იყო დაგირავებული, გორელ ყარამანაშვილს ას თუმანში დაუგირავა დიდის სარგებლით, თუ ფული წლის თავზე არ მიეცა.

ქორწილი ექვსი დღე და ღამე იყო. ყოველ-დღე ასი სული სჭამდა და ლოთობდა. ასი თუმანი ისე გაჰქრა იმათ მუცელში, როგორც შარშანდელი თოვლი. ანეტა და ზაალ ერთმანერთს ძალიან მიემგზავსებიან. ორთავენი იცმენ, იხურვენ, სჭამენ, მომეტებულად ლხინობენ; ლხინობენ თავის სახლში, სადაც სტუმრების ურმები და ცხენები არ გამოილევა; და თუ თითონ არა ჰყავთ სტუმრები, სხვაგან მიდიან სტუმრად. ხვნას, თესვას, მამულის პატრონობას ვინ დასდევს! ანასტასია ჯერ ცოცხალია და შემდეგ კიკოლიკა ან ივანიკა სად დაილევა! მოურავად დააყენებენ.

წელიწადი სრულდება; ყარამანაშვილის ფულის მიცემის დროა. საიდგან მისცეს ზაალმა? მთელის წლის ჭირნახული წინადვე ნახევარ ფასად ურიამ დაიკვეთა. მეტი ღონე არ არის, უნდა თავადაზნაურშვილების ბანკში გადააგიროს ყარამანაშვილთან დაგირავებული მამული. ეს კარგი მიზეზია ცოლისათვი-

საც და ქმრისათვისაც ქალაქში ჩასვლისა. ვიდრე ბანკიდგან ფული გამოუვათ, ესენი დაქეიფობენ; უფაეტონოთ ფეხს არ გადასდგმენ. ამიტომ ქალაქური ფასონის კაბები შეიკერა და კლოუბები თავის სიკეკლუციით და მორთულობით დაამშვენა, სასესხებელ ფულს ბლომად მოულობენ, ამიტომ რომ ყველამ იცის, მალე ბანკიდგან ფულს მიიღებენ.

მიიღეს ბანკიდგან ფული. რაც ყარამანაშვილს გადარჩა, სულ ქალაქში დარჩათ. წამოვიდნენ ჯიბე-ცარიელი და ვალით დატვირთულნი. ვინა ჰფიქრობს, თუ როგორ უნდა აძლიონ პროცენტს და ბანკს სარგებელი? ანეტა მხოლოდ იმასა სწუხს, რომ ხშირად შვილოსნობს და ეს ხშირს შექცევას უშლის. მაგრამ ჩაალ ერთგულად ლხინობს ორივეს მაგივრად.

## IV

ნინუცა ქალის სირაჯის ივანე მეღვინოვისა. ამის მამა აგერ ოც-და-ათი წელიწადია, რაჭიდგან გადმოვიდა თბილისში. ეს ჯერ მოჯამაგირეთ იდგა; მერე მიკიტნისთან მოსამსახურეთ იყო. სუთის-ექვსის წლის შემდეგ ივანემ თავისის მოხერხებით, გაიძვერობით და, რასაკვირველია, დიდის შრომითაც, კარგა ფული შეაგროვა და საკუთარი დუქანი გაალო. ჯერ ვერაზედ ნელ-ნელა პაწაწკინა დუქანში დაიწყო ლუდითა და არყით ვაჭრობა. მერე შუა-ბაზარშიაც ჩავიდა და ახლა იმას კარგი ღვინის სარდაფი აქვს გალავნის პროსპექტზე და მთაწმინდაში ორ-სართულიანი სახლები. დიდის ვაი-ვაგლახით შეძინა ივანემ ეს ქონება. ამის ცოლ-შვილი კვირაობით თუ ნახავდა ხორცისა და ღვინის გემოს, თორემ უმისოდ მთელი წელიწადები მწვანილზე, ყველსა და პურზედ გაუტარებიათ.

რვა საათზედ უნდა მთელს სახლობას სძინებოდა, რომ სანთელი ბევრი არ დამწვარიყო. ერთის ჩითის კაბით მთელი წელიწადი უნდა ევლოთ. მაგრამ ქსლა კი, როდესაც ივანეს ქალები წამოეზარდა და როდესაც ამან გულში ჩაიდო ჩინოვნიკის დამოყვრება, ამათი ცხოვრება სრულებით შეიცვალა. ორი ლაზათიანი ოთახი თავის სახლში თავისთვის აიღო, ერთი იარმუკაზედ ნაყიდის მდივნით და სკამებით მორთო, კედელზედ სარკე ჩამოჰკიდა; ქალებს რიგიანად ჩააცვა და კვირაობით ალექსანდროვის ბაღში „მუზიკაზე“ ჩაატარებდა ხოლმე. მეზობლებში ხმა გააგდო, თითო ქალს ორას-ორასი თუმანის გაძლევო. ნინუცა და იმის და კაი გოგოები არიან. რაც ამათ ხასიათზედ შიმშილით აღზრდას შეეფერება, არც ტანად და არც თვალად არა უშავთ-რა. ერთს-ორს წელიწადს ქსენი წიგნის სასწავლებლად კნეინა ქეთევანთან დადიოდნენ; განვაშივედ სახის კერვა, ქისის ქსოვა კარგად იციან. მთელი კვირა ლეჩაქ-თავსაკრავს ჰკერვენ და თითქმის თავისის ნამუშავრით ტანთ-იცმენ. კვირაობით რომ ჩაივლიან ბაღში, ბევრი პატარა ჩინოვნიკი გაადევნებს ხოლმე თვალსა და ქსენიც გულის ძგერით მოელიან თავიანთ ბედნიერებას.

კონსტანტინე ზლიმარტელაძე ერთი უმამულო ღარიბი აზნაურიშვილია. ეს სწავლობდა აღბულაღში, მეჟევშჩიკების სკოლაში. სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, (უფრო იმიტომ, რომ ქართველებს დაუკვებათ მესამე კლასით კურსის დასრულება), ეს მესამიდგან გამოვიდა. ერთმა შორეულმა ნათესავმა, რომელიც პალატაში ემსახურებოდა, შეიბრალა ამისი საცოდავი ქვრივ-ოხერი დედა და თავისთან მწერლად შეიყვანა. თვეში დაუნიშნა რვა მანათი, და აი აგერ რვა წელიწადია კოტე პალატაში ემსახურება და რვა მანათი მარტო ერთი-სამად ექცა. ოც-

და-სუფთის მასხარით სცხოვრობს დედით და დით ქალაქში და თანაც ცოლის შერთვას აპირებს. აქამდინაც ამას უცოლობა, როგორც დედის ერთასხი, საშინელებაა. კოტე ზღმარტლაძე სდგას სწორედ ივანეს სახლების პირ-და-პირ ერთს საცოდავს დაბალს და ნოტიო ოთახში. ივანე და იმის ქალები კარგად ჰხედვენ ამის სიღარიბეს, ამის დედის ჯაფას და ვაი-ვაგლახს, მაგრამ მაინც კოტე აზნაურიშვილია, ჩინოვნიკია და ურიგო საქმრო არ არის. კოტესაც და ამის სახლობასაც ამ ქალისკენ თვალები უჭყეტიათ, ორასის თუმნის ამბავიც, რასაკვირველია, დაწვრილებით შეტყობილი აქვთ. მხოლოდ პირველად ვერცერთს ვერ გაუბედნია მოყვრობაზედ ლაპარაკი. მესამე პირი აქ საჭიროა და ეს მესამე პირი, ორივე მხრის ამორჩევით, არის, კნეინა ქეთევანი. ამან კარგად მოასხერხა ამათი მორიგება და ერთს კვირა დღეს გადასწყვიტეს, დღეს ნიშნობა იყოსო. როგორც საქმროს რიგია, კოტემ ვალი აიღო და სამ-თუმნიანი ოქროთი დაფერილი საათი იყიდა ნიშნად; ივანემ მოიწვია კოტეს ნაცნობი ჩინოვნიკობა. არაფერი არა და-ზოგა-რა ამ დღისთვის და თავის სარდაფის საუკეთესო ღვინოთი დაათრო პალატის ჩინოვნიკები.

ნინუცა და კოტე ორი თვე იყვნენ დანიშნულები. ამ ხანში კოტე ერთხელის მეტად არა ყოფილა საცოლოსთან. ნინუცას დედა არა ჰყავს და მამას მოურიდებლობისა გამო არ შეუძლიან სასიძო მიიღოს. კოტე და ნინუცა ემორჩილებიან თავიანთ ბედსა და სრულებითაც არა ცდილობენ ერთმანეთის დაახლოვებას; ისიც დიდი გაბედულობაა, რომ ნინუცა ფანჯარასთან მივიდეს ორს საათზედ, როდესაც კოტე სამსახურიდგან შინ მოდის. კვირაობით სეირნობაც კი აუკრძალა მამამ ქალებს, ეშინიან, აზნაურია, ქალი არ შემიცდინონ და მერე სუ-

ლი არ აიღოსო. ან კი სცადით ამათ საარშიყოდ! კოტე დღეში ორჯერ ბაღატში დადის და როცა შინ არის, სულ იმას ჰფიქრობს, საქორწილო ფული სად ვიშოვნოო. ნინო მზითევს იკერავს. ორ თვეში ვერც კი მოასწრობს მზითევის შესრულებას. მშველელი თავის დის მეტი არავინა ჰყავს და მზითევის მოსამზადებლად, როგორც მოგეხსენებათ, ათასი წვრილმანი საქმეა საჭირო.

მოვიდა ჯვარის-წერის დღეც. კოტემ სცადა დიდის სარგებლით სომხისაგან ორი თუმანი იშოვნა, სასძლო გამოიცვალა და როგორც ამის ჩინს და გვარიშვილობას ეკადრებოდა, ისე გადაიხადა ქორწილი. მამად კოტემ ბაღატის მმართველი ამოირჩია. იმასაც თავის საჩუქრად დალოცვის დროს უთხრა კოტეს, რომ დღეიდგან ის დაინიშნება სტოლონაჩალნიკის მეორე თანაშემწეთ. ეს, რასაკვირველია, დიდ ბედნიერებად მიიღეს ვაჟის და ქალის სახლობამ და ქორწილი უფრო მხიარული შეიქნა. გათენებამდის კოტეს სახლში არ შეწყვეტილა ჟრიამული და თარის ხმა. მეორე დღესვე კოტე წავიდა ბაღატში და ნინო შეუდგა თავის ოჯახის მართვას. რაც მოხუცს დედამთილს აქამდის ჯავრი ჰქონდა, ამან გაუნახევრა. ეს ჩუმად მოუვლის სახლს, გააკეთებს სადილს და სუფრას გაშლილს დაახვედრებს ქმარს. აი შვიდი წელიწადია, რაც კოტემ ჯვარი დაიწერა. ჯამაგირი ხუთ თუმნამდის აუვიდა; დედა მოუკვდა და ნინუცას ორასი თუმანი ხელიდგან წაუვიდა. ამის სამაგიეროდ ამათ ჰყავთ ოთხი შვილი. ეს პატარა ზღმარტლაძეები ნასიგარზედ ტიტვლები არიან; ჭამა-სმა უხეირო აქვთ და ქუჩის ბიჭების საზოგადოებაში იზრდებიან; დედას სადღა სცალიან მათთვის! ბედი ამათი, რომ კიდევ ქალაქში ბინა აქვთ და იქნება ღარიბების სკოლაში მაინც მიიღონ სწავლა და სწავლით ცო-

ტათი მაინც შესცვალონ თავიანთ დედ-მამის უფერული ცხოვრება.

V.

ბიჭო, თედო, ადექ შე ოხერო, რა დროს ძილია! შუადღე მოვიდა, კალო ისევ გასაშლელია.

— თავი დამანებე ერთი და! გასაშლელია და გაშალე. მთელი ზაფხულია წელი მოვიწყვიტე მუშაობით. რისთვის! შენი შვილების გულისათვის; მაშ რაღა მიქნია.

— რას მიჩქარავ, რას ბოდავ, ადექი ჩქარა.

— რო ვერ ავდექი, ვერ გაიგე. მეყო თქვენთვის წელის წყვეტა, ესა სთქვა და გადაბრუნდა თედო მეორე გვერდზედ.

რამდენჯერმე ასე უარი სთქვა თედომ საქმეზედ გაცხარებულის მუშაობის დროს. ამის ძმა გიორგი აღარ აუხირდა. ეს მიხვდა რაც იყო მიზეზი თედოს სიზარმაცისა. მომავალ კვირას გიორგიმ თავის სვინა პავლიას დაუძახა საუზმეზე ორი-სამი არაყის გადაკვრის შემდეგ, შესჩივლა თავისი მწუხარება და სთხოვა, მიშველე რამეო. პავლიამაც ურჩია, რომ ამ თვის ხუთმეტში მარიამობაა, ცოლ-შვილი მოამზადე და თედუაც იქ წაიყვანეო. იქ ბევრი გასათხოვარი ქალი იქნება ჩვენებურებიც და სხვა მხრიდამაცაო. მიათვალიერ-მოათვალიეროს და ვინც თვალში მოუვიდეს, უთხოვეთო.

— აგრეა, ძმაო, ეუბნებოდა პავლია გიორგის. ბიჭი რა კი შეღერდება, სახლზე გულს აჭყრის, თუ მალე გოგო არ ჩაუგორდებაო. მარიამობის წინა დღეს გიორგი და თედუა დიდ სამზადისში არიან: ურემსა მართვენ, ჩარდახს უკეთებენ, ღორსა ჭიუყიქვენ. მარინე ნაზუქებს აცხობს. თედუას თვალები უპ-

რიალებს. ამას თუმცა არ უთხრეს მიზეზი მარიამობას წას-ვლისა, მაგრამ ეს გულითა გრძნობს. ამას თვალ-წინ უდგია სხვა-და-სხვა ლამაზი გოგოები; თუმცა ერჩის მეზობლის ქა-ლი მართა შეერთო, მაგრამ რადგანაც გიორგის არა სურს, ეს სხვა მართას შეირთავს. ამას ცოლი უნდა და იმას შეირ-თავს, ვინც უფრო მალე და ადვილად ამის ცოლი გახ-დება.

მარიამობას კარგი დარი დადგა. ათასობით ურმები გამ-ლილები არიან საღოლაშნის მინდორზედ. წითელ-ყვითელის გა-ზებით აჭრელებული გოგოები თავ-თავის ურმებთან „ზუზი-გას" უკვრენ. ფერ-უმარილ წასმულნი, ლეჩაქ ყურ-გადაგდე-ბულნი, თვალს ადევნებენ ლამაზ ბიჭებს.

თედომ ჩაიცვა ახლემის-ყელის ჩოხა, შარვალი საცვეთებ-ში ჩაიკეცა, და დაბალი კალმუხის ქუდი კოხტურად გვერდზე დაიხურა. გადაჰკრა წითელი ღვინო და ჩამოუარა ურმებს. ხან ერთ ურემთან მივა და ხან მეორესთან. ბოლოს დაინახა ერთი წამოსადეგი გოგო, იმის პირს წითლად გაუდიოდა ღაჟღაჟი და განიერ ბეჭებზე ეწყო გიშრის ფერი ხუთი ნაწნავი. თავის დიდის გაწითლებულ ხელებით დაირას უკრავდა.

თედომ თამამად გამოითამაშა, ამ ქალის ეშხით თავ-ბრუ დასხმული თედო უვლიდა და უვლიდა, ამის თამაშობას ბო-ლო არა ჰქონდა. ქალიც დაირას თან-და-თან უფრო და უფ-რო ეშხით უკრავდა. უეჭველია, ამასაც მოეწონა მხარ-ბეჭ გაშ-ლილი და ლაზათიანად ჩაცმული თედო. ამ თამაშმა გადას-წყვიტა ამათი ბედი. თედომ ამ საღამოზე დიდის მოწიწებით გამოატარა გიორგი ამ ურემთან. გიორგი კმაყოფილი დარჩა. ამან შენიშნა ამ გოგოს დიდი ხელები და განიერი ბეჭები და თავის გულში ჩაიცინა. ეხლა ამას ერთი მუშის მაგიერ ეყო-

ლება ორი და ამასთანავე უფრო ერთგულნი და წასალისებულნი.

გიორგიმ შეიტყო ქალის გვარი და მიუგზავნა თავისი სვინა პავლია. ქალის მამამ გამოჰკითხა შუამავალს, ბიჭის ოჯახის შეძლება, იმან, რასაკვირველია, უქო.

— რას მოუტანს საქორწინოს? ჰკითხა ქალის მამამ.

— სამი თუმანი კმარა?

— არა, შვილო, ჩემი ქალის სამი თუმნისა არ არის. ერთი სიტყვით მოიტანოს ათი თუმანი და გიორგობის თვეში გოგო წაიყვანოს. არ მოიტანს და ის თავისთვის, მე ჩემთვის.

— რას ამბობ, კაცო, რას ლაპარაკობ? ათი თუმანი რა, მზეთუნახავი ხომ არ არის შენი ქალი?!

— მზეთუნახავი არ არი და, მე დალოცვილო, მზეთუნახავი მონახეთ.

მეტი ღონე არ იყო. გიორგი დაითანხმდა. თვალის ისე ჩაუჯდა თავში ტასოს შავი თვალები, რომ უმისოდ სიცოცხლე უსარგებლოდ ეჩვენებოდა.

ახალმა მხსნელებმა მეფეებსაც გაიპატიჟეს თავიანთ სოფელში. გიორგიმ თავის ცოლს ბეღლიდან მოჰხსნა, აქვე მეწვრიმალესთან იყიდა ორ მანეთიანი ბეჭედი და წავიდნენ დედოფლისთვის. გაიმართა ნიშნობა. თვლის ტასოს მოუსვეს. ესენი ერთმანეთის სიტკბილით ვერ უყურებდნენ, მაგრამ ჩუმჩუმად კი ერთმანეთს უალერსებდნენ. სამი დღე დარჩა თვალი საცოლოსთან და ამის გული კი სამუდამოდ ტასოს დარჩა. წამოვიდა თვალი წელ-მოწყვეტილი გაშორების მიზეზით, მაგრამ იმედებით გულ-სავსე.

ღონე ერთი-ორად მოიმატა თვალმა. დღე-და-ღამ მუშაობს, რომ ათი თუმანი მალე მოაგროვოს და ტასო მოიყ-

ვანოს. რამდენიც მოაგონდება ტასოს მსუქანი ლოყები, იმდენი გააყრჟოლებს და ცეცხლივით მოედება მუშაობას.

კალო კათავდა, გიორგიმ გაჰყიდა ქერი და თედუა ათის თუმნით საცოლოში გაგზავნა. გარდა მისატანი ფულისა, ამათ კიდევ ბევრი ხარჯი მოელით. ჯერ ოცი თუმანი ქორწილისთვის არ ეყოფათ: ოჯახიშვილია გიორგი, რიგიანად უნდა დაუხვდეს თავის სოფელს. რა ჰქნას, საიდგან იშოვნოს? პური და სიმინდი რაც მოუვა, არ გაჰყიდება, თითონ შინ სახარჯოდ მოუნდება. გაჰყიდა ოციოდე ღორი, ერთი კარგი კვიცი, რომელიც თავის-თავს ერჩია, მაგრამ კიდევ დააკლდება ფული. მეტი ღონე არ არის, უნდა ივალოს... მთელი სამი თვე დიდ ვაი-ვაგლახში არიან თედუა და გიორგი, რომ ქორწილისთვის კარგად მოემზადონ.

დღემდის უვალო ოჯახი ვალში ჩავარდა, მაგრამ ღმერთი მოწყალეა. ტასო ღონიერი გოგოა, ქმარს ბეგრდში ამოუდგება და უკან დაწყულს ოჯახს მალე ფეხზედ წამოაყენებს.

გიორგობის ალების ღამის წინა-დღეა. გიორგის სახლში დიდი ღრიანცელია. მეჯვე-დედოფალს მოელიან. დარბაზში ლაზათიანად დალაგებულია. კერაზე დიდი ცეცხლი ანთია. აქა-იქ კედლებში კვრის დიდი ნაგუზლები ანთია და შუქით ამსებს მორთულ დარბაზს და აქ მყოფ სტუმრებს. მუზიკა, დაირა და ქალების თამაში. ცეცხლზე დიდი საარაყე ქვაბით ნახევარ-მთოხა იხარშება. კედლიდან რუმბებით ღვინო აწყვია და გვერდით უდგია უთვალავი სადგინეები. ვაყ-კაცები დიდის ალერსით შესცქერიან იმ რუმბებს და დიდის მოუთმენლობით მოელიან იმ დროს, როდესაც ყანწებს დაეწაფებიან.

მოვიდა მახარობელი, აირია სახლი. ყველას უნდა წინ წადგეს, რომ დედოფალი დაინახოს. «მოვიდნენ, მოვიდნენ»!

«რა კარგია, რა ლამაზია, რა მაღალია, რა თვალ-წარბი აქვს!» ისმის ქალებში. «რა მდიდარია!» ისმის კაცებში. «მეფემ ისაროს!... მეფემ ისაროს!» დალია ჯამით მასარობელმა ღვინო და ჯამი მიწაზედ დაასხეთქა. თედო და ტასო ტახტზე დააბძანეს. ხალხი გარს შემოუსხდა და სუფრები დაალაგეს. თედოს ამხანაგმა ბიჭებმა მაყრული დააგუგუნეს.

ისხედით ჩემო მეფე-დედოფალო! მარტო ერთის დღეს არის თქვენი მეფობა და ტახტზე ჯდომა. დასტკბით მაგ ცოტა ხნის მოსვენებით. ხვალ უნდა შეუდგეთ თქვენს მძიმე ტვირთსა და თქვენის ოფლით თქვენც იცხოვროთ და აცხოვროთ ქვეყანაც.

ეკ. გაბაშვილისა.

## პოეტის გული.

პოეტის გული
აღელვებული
ზღვისა დარია:

ზვირთებს აგორებს,
სდევს ტალღის გორებს,
თუ ავდარია!...

ღრიალ-გრიალით,
უცნაურ ძალით
ცას ემუქრება,

და მაშინ ნავი
მაშველ მზრუნავი
მისგან გაჰქრება!...

მაშ ღელვისა დროს
სჯობს მოერიდოს,
ინავთ-საყუდროს,

რომ გულის წყრომა
და ტკბილი დაცხრომა
მას დააცალოს;

და ისე მის გულს,
ტკბილ დამშვიდებულს,
უფსკრულს და ფართოს,

თამამად, ნაზად
და მოხაკაზმად
ეშხით მიმართოს;

და ხელი ახოს,
რა მშვიდად ნახოს,
ვით მშვიდი გვრიტი!...

ნახოს მის გულში,
დამშვიდებულში,
მან მარგალიტი!...

აკაკი.

*
* *

(იტალიურიდამ)

ოს იტალიავ, იტალიავ, გული ტკივდება
შენის გრძნეულის სიტურფითა აღტაცებული,
მაგრამ ვაი! ეგ სიტურფე და მშვენიერება
შენს დასაღუპად გაქვს ღვთისაგან მონიჭებული.

შენ რომ არ იყო აგრე ტურფა და მშვენიერი,
ან იყო შენსა მჩაგვრელს მტერზედ უფრო ძლიერი,
მაშინ შენ იგი გულში ასე არ ჩაგიკრავდა
და შენთა შვილთა, ბედით შავთა, არ დასტანჯავდა;

ასე ამაყად იგი აღარ ისაკადრებდა
შენის კვნესითა და ვაებით გახარებული,
შენსა ბედსა და უბედობას ვერ განაგებდა,
არ გექნებოდა განათლების კარი დახშული.

ოს იტალიავ! სხვის ბრძანებით შენი შვილები
მაშინ თავიანთ მტრების მტრებსა აღარ ებრძოდენ,
არ იქმნებოდენ საუკუნოდ მტრისა მონები;—
არა, სიცოცხლეს შენ, მხოლოდ შენ, შემოგწირავდენ.

1880 წ. ი. ბაქრაძე.

# ცხოვრება და კანონი.

(წერილი მეშვიდე და უკანასკნელი *.)

წინა წერილში დავპირდით მკითხველებს—ვეცდებით მეთქი დავამტკიცოთ, რომ მომრიგებელ მოსამართლობას ჩვენში ხელ-ფეხი შეუკრეს და წარმატების გზა გადუღობეს ეგრედ წოდებულ «ადგილობრივ ვითარების» წყალობით. ამის ცხადად გამოსატვისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რა აზრი ჰქონდათ კანონ-მდებელთა, რომ მომრიგებელი მოსამართლობა შემოიღეს და რამოდენად ფართო გზა მიჰსცეს იმ აზრს ჩვენში.

«უპირველესი და უმთავრესი დანიშნულება მომრიგებელ მოსამართლისა და უმაღლესი ღირსება მისის მართლ-მსაჯულობისა მოდავების მორიგება არისო», ჰსთქვეს რუსეთის წესდების შემადგენელთა. ეს დანიშნულება გამოცხადებულია, როგორც სასისხლო სამართლის წესდებაში, ისე სამოქალაქოში. 70 მუხლი სამოქალაქო განსამართლების წესდებისა ვალად

*) «ივერია» 1879 წ. № 3.

ჰსდებს მომრიგებელ მოსამართლეს, რომ, მოდავეთა საბუთების მოსმენის შემდეგ, უეჭველად ურჩიოს მორიგებით საქმის გათავება და თვითონვე უჩვენოს, რა გზითაც შეიძლება, მისის აზრით, ეგ მორიგება. თითქმის ამ სახითვეა ეს ვალდებულება მომრიგებელ-მოსამართლისა ნაჩვენები სასისხლო განსამართლების წესდებაშიაც. აქაური კანონ-მდებლობა, რასაკვირველია, პირ-და-პირ არ შეეხო ამ მუხლსა და ისე შეუცვლელად შემოიტანა ჩვენში. ძალიან კარგი, მაგრამ რა გზით უნდა აღსრულდეს ეს უპირველესი და უმთავრესი მოვალეობა მომრიგებელ მოსამართლისა ჩვენში?

ჩვენში ხშირად, ნამეტნავად ამ ბოლოს დროს, იმისთანა მომრიგებელი მოსამართლენი ინიშნებიან, რომელნიც ხალხის ენის უცოდინარნი არიან... უენო კაცმა რა გაარიგოს? რა შუაკაცობა უნდა გაუწიოს იმათ, ვისაც მაგისი არა ეყურება-რა და ვისიც თვითონ არა ესმის-რა? გვეტყვიან, განა მთარგმნელის შემწეობით ვერ მოხერხდება მორიგებაო. ჩვენ პირ-და-პირ ვეტყვით, რომ მთარგმნელის შემწეობით უფრო ადვილად შეიძლება მორიგებული საქმე დაიშალოს, ვიდრე მოსარიგებელი გარიგდეს. ჯერ ერთი ეს, რომ სხვის პირით ლაპარაკს ისეთი ზედ-მოქმედება არ ექმნება, როგორც თავისით თქმასა. მერე წარმოიდგინეთ ჩვენში უმეცარნი მთარგმნელნი, რომელთ წყალობითაც სიტყვა ხშირად არამც თუ თავის სიცხოველეს და ძალასა ჰკარგავს, არამედ თვითონ მნიშვნელობასაცა და თქვენ გინდათ, რომ ამის შემწეობით დასვლანჭული საქმე გა-

რიგდეს! გარდა ამისა, მთარგმნელის შემწეობით მოლაპარაკე-ბას ერთი-ორად მეტი დრო უნდება და მომარიგებელი მოსა-მართლე, მაღიანაც მოწადინებული რომ იყოს, მაგდენს დროს ვერ მოასწრებს ერთს საქმეს, რადგანაც სხვა საქმეებიც ბევ-რი აქვს. ამიტომაც ტყუილი იქნება, თუ მორიგებით საქმის გათავებას ან უენო მოსამართლე დაიქადებს, ან მისი უმეცარი მთარგმნელი. გულ-დაჯერებით ვიტყვით, რომ თუ სადმე რა-მოდენიმე საქმე მორიგებით თავდება, — ეგ მოხდება ხოლმე თვითონ მოდავეთა წყალობით მოსამართლის დაუხმარებლად. ათში რვა მაინც თავდება ამ გზით და ОТЧЕТЪ-ებში კი, რა-საკვირველია, ნაჩვენებია, რომ მოსამართლემ მოარიგა. ეგ უენობაა უპირველესი მიზეზი, რომ «უმთავრესი დანიშნულე-ბა» მომარიგებელ მოსამართლისა ჩვენში უფრო ბევრჯერ უქ-მად ჰქრება და მარტო იმით იმოსება, რომ მოსამართლე ყოველის გულისათვის ეკითხება მოდავეებს, მორიგების სურ-ვილი ხომ არ მოგსვლიათო.

თუნდ ეგ არ იყოს, თვითონ კანონ-მდებელთა აღიარეს, რომ მოსამართლე ვერ აღასრულებს ამ უპირველესს დანიშ-ნულებასაო, თუ რომ ზედ-მიწევნით არ იცის არამც თუ მარ-ტო გარეგანი ვითარება საქმისა, არამედ შინაგანი გარემოება-ცა, თუ არ იცის ადგილობრივი ავ-კარგიანობა, ეკონომიური ყოფა-ცხოვრება, ერთმანერთზედ დამოკიდებულება, ხალხის ჩვე-ულება და ხშირად თვითონ მოდავეთა ხასიათიცაო. იმავე კა-ნონ-მდებელთა სამართლიანის აზრით, ესე ყოველი არავის ეცოდინება, თუ არ იმისთანა მოსამართლეს, რომელიც იმავ ადგილის შვილია, იქაურივე მცხოვრებელია, სადაც მოქმედებს.

ყოველ უამისოდ ტყუილია მორიგებაზედ სიტყვის ჩა-მოგდება, იმიტომ რომ შეუძლებელია. სხვაგნით მოყვანილი

კაცი, რაც უნდა კარგი იყოს, ვერ იზამს იმისთანა მოსამართლობას, რომლის აზრიც კანონ-მდებელთა ჰქონდათ. პირველი რომ იმის სიტყვას, როგორც უცნობის და სამის კაცისას, ისეთი ზედ-მოქმედება არ ექმნება, როგორიც შინაურის კაცის რჩევას; მეორე რომ ადგილობრივ ყოფა-ცხოვრების და ჩვეულების უცოდინარი იმისთანა მორიგების გზას ვერ უჩვენებს მოდავეებს, რომ შეეფერებოდეს საქმის ჭეშმარიტს და არა ფორმალურს გარემოებასა. რუსეთშიაც უჩივიან, რომ მომარიგებელნი მოსამართლენი ვერ ასრულებენ ამ უმთავრესს დანიშნულებასა ისე, როგორც სანატრელია და სხვათა შორის მიზეზათ ის მოჰყავთ, რომ კანონი ნებას აძლევსო იმისთანა კაცი ამოირჩიონ მოსამართლეთ, რომელსაც მარტო მამული აქვს იქ, სადაც ირჩევენო და ცხოვრებით კი იქ არა სცხოვრებსო; ამის გამო ადგილობრივის გარემოების უცოდინარია და თავის დანიშნულებას წარმატებით ვერ ასრულებსო. *) თუ რუსეთში ერთს მაზრაში მცხოვრებელი ვერა ვარგობს მეორე მაზრაში, რომელთანაც ქონებითი და თემობითი კავშირი მაინც აქვს, აბა როგორ უნდა ივარგოს ჩვენში კაცმა, სრულიად ხამად მოსულმა უცხო ხალხში, ჩვენთან არავითარის კავშირის მქონებელმა, ჩვენის ენისა, ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების მთლად უცოდინარმა? თუ რუსს რუსეთში უძნელდება საქმის მორიგება სხვათა შორის იმითაც, რომ ადგილის მკვიდრი მცხოვრებელი არ არის და ადგილობრივის ვითარების უცოდინარია, ჩვენში ხომ უფრო უარესად უნდა გაუძნელდეს? აკი უძნელდებათ კიდეც.

პირველ ხანებში, ესე იგი 1869, 1870, 1871 წ.,

---

*) Наша Мировая Юстиція. От. Зап. 1879 г. № 6.

ცდილობდენ, რომ აქაურები მაინც დაენიშნათ მოსამართლეებათ და ამით ცოტად თუ ბევრად შეევსოთ ის ნაკლი, რომელიც უეჭველად თან უნდა მოჰყოლოდა მომარიგებელ მოსამართლეების უარჩევნოდ დანიშვნასა. და მისამ ეს ასე იყო, რიცხვი მორიგებით გათავებულ საქმეებისა თუმცა საზოგადოდ ბევრი არ იყო, მაგრამ მაინც მომეტებული იყო ვიდრე მას მერმედ, როცა სხვაგნიდამ უთავბოლოდ მოწვეულების რიცხვი გამრავლდა. მეთორმეტე წელიწადია რაც ჩვენში ახალი წესი განსამართლებისა შემოვიდა. ჩვენ მხოლოდ ოთხის წლის ОТЧЕТЪ-ები ჩავიგდეთ ხელში და იქიდამ ამოკრეფილი ციფრებიც საკმაოდ გვაჩვენებს,—პირველ სამ წელიწადს შემდეგ რამოდენად იკლო მორიგებით გათავებულ საქმეების რიცხვმა. პირველ სამს წელიწადში მთელს ამიერ კავკასიაში მორიგებით გათავებული საქმეები ყველა საქმეების საერთო რიცხვზედ მოდიოდა ასზედ $24\frac{1}{4}$, ხოლო 1875 წ. მარტო $19\frac{3}{4}$. პირველს სამს წელიწადს გათავებულ საქმეთა შორის ასზედ $34\frac{5}{6}$ მორიგებით გათავებული მოდიოდა და 1875 წ. კი მარტო $20\frac{1}{5}$ მოვიდა, ერთბაშად თითქმის ნახევარზედ ჩამოსტა. თუმცა კი მერედ და მერედ მორიგებით გათავებული საქმეების რიცხვი უფრო უნდა მომეტებულიყო, იმიტომ რომ 1870 წ. შემდეგ მომარიგებელი მოსამართლეები ერთი-ორად მოემატნენ რიცხვით, რადგანაც ყოველი მაზრა თითქმის ორ-ორ სამოსამართლო ნაწილად დაიყო. მაშასადამე თვითეულს მოსამართლეს უფრო მეტი დრო და მოცალეობა ექმნებოდა მორიგებით საქმის გათავებისათვის. ეს ციფრები მარტო სამოქალაქო საქმეებს შეეხება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დანარჩენი წლების ОТЧЕТЪ-ებიც არ გაგვამტყუნებენ იმაში, რომ ჩვენში მომარი-

გებელი მოსამართლობა თან-და-თან უფრო ნაკლებად ასრულებს თავის «უპირველესს და უმთავრესს დანიშნულობას» და თუ ჩვენგან წინა წერილში ნაჩვენები წამალი არ დაედო, იქამდის მივა, რომ სრულებითაც დაჰკარგავს მაგ დანიშნულებას, თუ ჯერ აქამდის დაკარგული არა აქვს. ზემოდ მოყვანილ ციფირებიდამ ცხადია, რომ მომრიგებელ მოსამართლობას ჩვენში თავის «უმთავრესის დანიშნულების» წარმატებისათვის გზა გადაღობილი აქვს და ის დედა-ბოძი მუხლი უმაღლესად მონიჭებულის წესდებისა, რომელიც შეიცავს მთელ სიკეთეს მომრიგებელ მოსამართლობისას, თითქმის სრულიად გაუქმებული არის ჩვენთვის.

კანონ-მდებელთა აზრით, მომრიგებელი მოსამართლე ხალხის შინაური და მახლობელი მსაჯულია და თვითონ ხალხსაც ეხამუშებათ ფორმალური სიმართლე და პატივ-სცემს იმისთანა სიმართლეს, რომელიც მისის აზრით, ნამდვილი და ჭეშმარიტია და რომელსაც მეცნიერნი ბუნებრივს სიმართლეს (естественная справедливость) უწოდებენ, ამისათვის კანომ-მდებელთა აღიარეს, რომ მეორე დანიშნულება მომრიგებელ მოსამართლოსა ის არისო, რომ საქმის გადაწყვეტის დროს წინ წაიმძღვაროს ნამდვილი და არა ფორმალური საბუთი საქმისა, მისი შინაგანი გარემოება, ადგილობრივნი მიზეზნი, მცხოვრებელთა ხასიათი, მათი მოსაზრება, ეკონომიური ყოფა-ცხოვრება, ცხოვრების მოთხოვნილება და ხალხის საზოგადოდ ცნობილი ჩვეულება. ამიტომაც საჭიროდ დაინახეს, რომ მომრიგებელ მოსამართლეს ნება ჰქონდეს საქმე გადაჰსწყვიტოს ჩვეულების ძალითაცა, ესე იგი, იმ სიმართლით, რაც ხალხის სინიდისს შეეფერება, რაც ხალხს მამა-პაპით სიმართლეთ უცვნია და დღესაც სიმართლეთ ჰსწამს. «მნიშვნელობა და ძალი ჩვეუ-

ლებისა ისეთიაო, ჰსთქვეს რუსეთის წესდების შემადგენელთა, რომ მასაც ადგილი უნდა ჰქონდეს მომარიგებელ მოსამართლის საქმის წარმოებაშიო. უამისოდ ტყუილ-უბრალოდ შეიწროვდება ცხოვრება და თვითონ მომარიგებელ მოსამართლის განაჩენიც ცხადად უსამართლო იქნება ხალხის თვალშიაო.» რაღა თქმა უნდა, რომ აქ იგულისხმება მარტო გონიერი, კეთილ-ზნეობითი, საერთოდ აღიარებული ჩვეულება, რომელიც ხალხის სიტყვით, რჯულთ უმტკიცესია, რომლის უარ-ყოფა ხალხს უსამართლობათ მიაჩნია და რომელიც მეცნიერებაში რჯულთ-დებულების სათავეთ ცნობილია.

თუ რუსეთისათვის საჭიროდ დაინახეს ჩვეულების ძალითაც საქმის გადაწყვეტა, თუ მართლ-მსაჯულობის წარმატებისათვის ჩვეულებასაც ადგილი მიჰსცეს იქ, სადა მოქმედობს მათივე კანონი, მათსავე ცხოვრებასთან, ზნესთან, ხასიათთან, ჩვეულებასთან, ეკონომიურს მდგომარეობასთან ცოტად . თუ ბევრად შეფერებული და დაახლოვებული, ერთის სიტყვით, იმისთანა კანონი, რომელიც მათის ისტორიის და ცხოვრების ღვიძლი შვილია, ჩვენში ხომ ჩვეულებისათვის უფრო ფართო გზა უნდა დაენიშნათ. უამისოდ ჩვენ ძალა-უნებურად უნდა დავჯერებოდით მარტო კანონსა, რომელიც ბევრში ვერ შეეფერება ვერც ჩვენს განსხვავებულს ყოფა-ცხოვრებას, ვერც ჩვენს განსხვავებულს ეკონომიურს მდგომარეობას, ვერც ჩვენს შეხედულობას ერთი-ერთ შორის დამოკიდებულებაზედ, ვერც ჩვენს ზნესა და ვერც ჩვენს ხასიათსა. კანონის შესავსებლად, ჭეშმარიტის სიმართლის საწარმოებლად, მართლ-მსაჯულობის წარსამატებლად აქ, ჩვენში, უფრო საჭირო იყო მოეწვიათ ჩვეულება და მისთვის ფართო ადგილი მიეცათ განსამართლების წესდებაში. ამიტომ-რომ აქ, ჩვენში, განსხვავებულ ყო-

ფა-ცხოვრების გამო, უფრო ხშირია იმისთანა შემთხვევა, რომელიც არ არის მოხსენებული მომქმედს კანონებში, ან თუ არის, ხშირად წინააღმდეგია ხალხისაგან ცნობილ სიმართლისა. მაგალითებრ, აუარებელი დავები შესახებ მიწისა, ტყისა, საძოვრების მფლობელობისა, გზებისა, ვენახებისა, სახლი-კარობისა, მოჯამაგირობისა, ზედ-სიძობისა, ძმათ-შესყოლობისა, ქალთა მონაწილეობისა მემკვიდრეობაში, ქალთა საკუთრებისა ოჯახში (სათავნო ქალისა), სამკვდროსი, სამკვიდროსი, სამარხისა, საქვრიოსი, ნაცვალ გარდობით მუშაობისა, გაყრილობისა და ბევრი ამისთანაები. ყოველს ამ შემთხვევაში ჩვენი ჩვეულება, ესე იგი, ხალხისაგან მამა-პაპით აღიარებული სიმართლე, ერთს ამბობს და რუსული კანონები კი ან სულ არა ხამბობენ, ან თუ ამბობენ, სულ სხვასა.

«ადგილობრივს ვითარებას» აი აქ უნდა გაეშალა ფრთა, მაგრამ არამც თუ ფრთა გაეშლევინეს, ფრთა შეაკვეცეს და ეგ მეორე უმაღლესი ღირსება მომრიგებელ მოსამართლებისა სრულად ჩამოერთვა ჩვენს ქვეყანასა, რომელიც რუსეთზედ უფრო გაცილებით მეტად ჰსაჭიროებდა, რომ მომრიგებელ მოსამართლობას ეგ სიკეთე უფრო ვრცლად და უფრო ბევრს შემთხვევაში შეჰრჩენოდა.

ჯერ თვითონ საზოგადო წესდებაშივე ჩვეულების გამოყენების ნება საქმის წარმოებაში ისეთის პირობებით არის გარემოცული, რომ ძნელად თუ მიეცემა მომრიგებელ მოსამართლეს შემთხვევა ჩვეულების ძალით საქმე გადაჰსწყვიტოს და ჩვენ კი ესეც არ გვაკმარეს. 130 მუხლი სამოქალაქო განსამართლების წესდებისა ჩვეულების შესახებ ამბობს, რომ თუ ან ერთი მოდავე ცალკე, ან ყველანი ერთად ჩვეულებაზედ დაეფუძნებიანო, მომრიგებელ მოსამართლეს ნება აქვს საყოველ-

თავოდ ცნობილი ჩვეულება საბუთად მიიღოს საქმის გადაწყვეტაშიო, მხოლოდ იმისთანა საგნის შესახებ კი, რომელზედაც თვითონ კანონი ნებას იძლევა, ან რომელზედაც თვითონ კანონი პირ-და-პირ არას ამბობსო. ეს მუხლი, რუსეთის მწერლობის სიტყვით, თავის-თავს თვითონვე აუქმებს. იმავე წესდების 9 მუხლი, რომელიც მომარიგებელ მოსამართლისათვისაც კანონია, ვალად ჰსდებს მოსამართლეს, რომ თუ მომქმედი კანონი არ არის სრული, არ არის ცხადი ჯ ნაკლულია, ან თუ ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, მაშინ სამართალი დააფუძნოს მთელის კანონ-მდებლობის საერთო აზრსა და მნიშვნელობაზედ. განა იმისთანა საქმე შესაძლოა კაცმა წარმოიდგინოსო, რომელიც თუ არ ზედ-გამოჭრილის კანონით, კანონმდებლობის საერთო აზრით მაინც არ გადაჰსწყდესო, ამბობს იგივე მწერლობა. *) მაშასადამე მომარიგებელ მოსამართლეს არასოდეს არ მიეცემა იმისთანა შემთხვევა, რომ ჩვეულება რაშიმე გამოიყენოს, იმიტომ-რომ რაც უნდა საქმე იყოს, იმის გადასაწყვეტად ან ზედ-გამოჭრილი კანონი მოიპოვება, ან არა და საერთო აზრს მთელის რჯულთ-დებისას ხომ ვერა შემთხვევაში ვერ წაუვა.

ამ მხრით კანონ-მდებელთა სამართლიანი აზრი ჩვეულების შესახებ, თუ სრულად გაუქმებული არა, ძალიან შევიწროებული მაინც არის წესდებაში. ჩვენ ამას ვამბობთ რუსეთზედ. ჩვენში კი ამ ჭირს სხვა ჭირიც ზედ დაუმატეს. წეღანაცა ვსთქვით, «ადგილობრივი ვითარება» აქ უნდა მოესმარათ საბუთად აქაურს კანონ-მდებლებსა, თუ ჰსურდათ, რომ მართლ-მსაჯულებას ჩვენში სანატრელი ნაყოფი გამოეღო და ხალხისაგანაც პატივის-ცემა

*) Журналъ гражд. и уголов. права 1875 г. кн. 5.

მოეპოვნა. ჩვენში «ადგილობრივის ვითარების» სახელით 130 მუხლისათვის უნდა ჩამოეცალათ ის პირობები, რომელიც სულსა ჭკუითავს ჩვეულებასა თვითონ რუსეთშიაც და მის სამოქმედოდ უფრო ფართო მოედანი შემოეხაზნათ. სწორედ ამას თხოულობს ჭეშმარიტად ცნობილი, მართალის გულით მიჩნეული «ადგილობრივი ვითარება.» ამის სანაცვლოდ ის მოგვისდა, რომ დღეს 130 მუხლი წესდებისა ჩვენთვის სრულებით არ არსებობს თვით იმ სახითაც, რა სახითაც დღეს რუსეთშია, თუმცა კი ამ მუხლს აქაურები პირ-და-პირ არ შეჰხებიან. რატომ მოგვისდა ეგა? იმიტომ-რომ ჩვენში დღესაც უარ-ყოფილია ის აზრი, რომ აქაურს ხალხს ან აქაური კაცივე უნდა მოსამართლეთ, ან იმისთანა, რომელმაც იცის მისი ენა და ყოფა-ცხოვრება ზედ-მიწევნით. ადგილის კურდღელს ადგილისავე მწევარი დაიჭერსო, ნათქვამია. ეს ანდაზა ისე არსაფერს არ უხდება, როგორც მომრიგებელ მოსამართლობას. რუსეთის კანონ-მდებელთა ეგ აზრი მტკიცედ წარმოჰსთქვეს და მკვიდრადაც გაუდგეს ხიდად მომრიგებელ მოსამართლობას რუსეთში იმით, რომ რუსეთში თვითონ მცხოვრებელთ მიანიჭეს უფლება თავის მოსამართლე თვითონვე თავიანთგან ამოირჩიონ. ჩვენში კი ეგ აზრი პირველ დღიდგანვე უარ-ყოფილია და დღეს მომრიგებელ მოსამართლეთა შორის უფროსი ერთი ჩვენთვის სრულიად უცხო კაცია, ხშირად არამც თუ ჩვენის ყოფა-ცხოვრების მცოდნე, არამედ ხალხის ენის უცოდინარიც არის და მოდით იმისთანა კაცს დაავალეთ, რომ ხალხის ჩვეულება ზედ-მიწევნით იცოდეს და საქმეში გამოიყენოს. ტყუილი დავალება იქნება.

ჩვეულება—ეგ უკეთესი მხარე მომრიგებელ მოსამართლობისა, ეგ არსებით კუთვნილება მისი, ეგ დედა-ბოძი ბუ-

ნებრივის სიმართლისა—იმოდენად უარ-ყოფილია ჩვენში, რომ ჩვენებურს განსამართლების გამგეებს საჭიროდაც არ დაუნახავთ ОТЧЕТЪ-ებში ადგილი მიეცათ იმის საჩვენებლად, თუ რავდენი საქმე გათავებულა ჩვეულების ძალითა. ოთხის წლის ОТЧЕТЪ-ები გვქონდა ხელში და არც ერთში ჩვეულების ხსენებაც არ არის. ცხადია რომ აქ ჩვეულება არაფრად მიაჩნიათ მომარიგებელ მოსამართლობისათვის და მაშასადამე თვითონ მაგ მოსამართლობის არსებითი თვისებაც ცნობილი არა ჰქონიათ.

თუ მომარიგებელი მოსამართლობა ვისთვისმე და სადმე სანატრელი ყოფილა, მარტო იმით ყოფილა, რომ, პირველი მისი ღირსება მოდავეთა შორის შუა-კაცობაა, და მეორე ბუნებრივის სიმართლით საქმის გადაწყვეტა უფრო, ვიდრე ფორმალურის სიმართლითა. ესეა იგი ცნობილი თვითონ მეცნიერებაში და რუსეთის კანონ-მდებელთაგანაც ესეა აღიარებული. ეს ორი თვისებაა გული და სული მომარიგებელ მოსამართლობისა. ჩვენში კი ისე მოაწყეს მომარიგებელი მოსამართლობა, რომ თითქმის ყოვლად შეუძლებელი გახადეს ან ერთი ეგ არსებითი თვისება განხორციელებულიყო, ან მეორე. ჩვენში მომარიგებელი მოსამართლე იმ გზით ინიშნება, რომ ვერც შუა-კაცობა შეუძლიან, ვერც ბუნებრივის სიმართლით საქმის წარმოება. აქედამ ცხადია, რომ ჩვენებურს კანონ-მდებლებს ან ვერ მიუგნიათ მომარიგებელ მოსამართლობის სიცოცხლის ძარღვისათვის, ან მიუგნიათ და საჭიროდ არ დაუნახავთ, რომ მოსამართლობის აგებულებაში იმ ძარღვს ეტრიალებინა სიცოცხლის მიმნიჭებელი სისხლი. ამიტომაც ჩვენში მომარიგებელს მოსამართლობას ჩამოეცალა ის უკეთესი მხარე, რომლითაც იგი სანატრელია ყველასათვის და მბე, თვისის დანიშნულებით, სახალხო სამართალი შექმნა

ფორმალურ სამართალად. ამ სახით გზა-გადალობილი მომარიგებელი მოსამართლობა გადუდგა ჩვენში ჩვენებურს ცხოვრებასა და ჩვენებური ცხოვრება—მომარიგებელ მოსამართლობასა. ამის გამო აქ არც ცხოვრება შველის კანონის წარმატებით სვლასა და არც კანონი ცხოვრების კეთილ-დღეობასა. ვერც კანონს დაუმორჩილებია ცხოვრება, რომ კეთილად წარმართოს, ვერც ცხოვრებას შეუფერებია კანონი, რომ სიკეთის დედა-ბოძათ გამოიყენოს. «ერთის ალმა ხნულს მეორე დაბლა ჰფარცხავს.» ესეთი დღე დაადგა ეგრედ წოდებულს «მომარიგებელ მოსამართლობას» მარტო იმის გამო, რომ აქაურებს დღევანდლამდე არა ჰსწამთ, ყველასაგან წამებული ჭეშმარიტება,—ადგილის საქმეს ადგილის კაცი უნდა და არა უცხო და ხამიო.

ილ. ჭავჭავაძე.

*
* *

ვინც სოფლისაგან და ბედისგან არს დაჩაგრული,
დღენი კეთილნი ამ სოფელში ვინც ვერა ნახა,
ვისიც ამ ქვეყნის შვებისათვის აღარ სძგერს გული,
ვინცა სიცოცხლე უვარგისად და ცრუდ დასახა;
ვისიც გულს ვეღარ ატკბობს ტკბილი ბულბულის სტვენა,
ვისაც მაღალი აღარ ესმის ბუნების ენა,—
მან მომცეს ხელი, მას ავიყვან მთასა მაღალსა;
იქ იმის გული, სიცოცხლისთვის კვლავ გაიღვიძებს,
ძღვთიური ცეცხლი განაცხოველებს მის თვალს დამშვრალსა,
სოფლის სიხარულს, სოფლის ტანჯვას ის კვალად იგრძნობს;
კვლავ მოიგონებს ჩვენს მხიარულს ლხინს და სიმღერას,
წარსულნი დღენი, ტრფობის დღენი, მოაგონდება;
გული ძლიერად, სიხარულით დაუწყებს ძგერას,
სიყვარულისა საღმრთო ალით კვლავ აღენთება;
კვალად შეჰხედავს ცას და მიწას ნათელის თვალით,—
ოღონდ შეჰხედოს დაბლა ვრცელს ველს მის წინ გარდაშლილს;
ველსა მთლად მოსილს წალკოტებით და ყვავილებით,
ველსა ედემსა, ტურფა ედემს, ღვთისგან პირველ ქმნილს;
მის წინ მთათ რიგთა, დიდებულად ცამდინ აღმართულთ,
მაღლა ყინულით, ძირს აფურჩქვნილის ტყეებით მორთულთ;
მას ვრცელს ველ-შუა, მშვენიერსა, დიდს მდინარესა,
ზოგან კამკამით, ზოგან მჩქეფრად მომდინარესა;

მეჭხედრის, ნასრის, მათ მდიდარი, ტურფა შვენება
და მისი გული სიცოცხლისთვის კვლავ გაიშლება.

როდის მეღირსოს, მშვენიერო, ჩვენო კახეთო,
მწვანით მოსილის გომბორის მთით კვლავ გადმოვხედო;
შენის შვენებით, შენის მზერით გავიძღო თვალი,
შენს სადღეგრძელოდ შენს წინ შევსვა სავსე ფიალი.

ვ. ლ.

---

*
* *

ოჰ, მეგობარო, გამიძნელდა მარტოდ სიცოცხლე;
მოდი, მომხედე, ერთად ყოფნა კვლავ გამიახლე!
ეგებ მოგწყინდა ჩემის ბედის უშნო სიმუხთლე
და ჩემ ღარიბის ალერსითა თავი იმართლე...

*
* *

ეგებ იფიქრე, რომ მოსტყუვდი ტუსაღში შენა
და უცნაური იგრძნე გულსა რაიმე წყენა;
ეგებ შენ ღრმა გულს ვერა სწვდება ჩემი მოლხენა,—
ბავშვური ჩემი მოალერსე ტიკტიკა-ენა...

*
* *

ოჰ, მეგობარო, გამიძნელდა მარტოდ სიცოცხლე;
მოდი, მომხედე, ერთად ყოფნა კვლავ გამიახლე.

*
* *

თუ შენ ქმიე და ვერ ჩასცე სიმაღლე სულის,
რად არა მკითხე—თუ ეს სული რასა მოელის?
რამოდენი აქვს მას სურვილი მოძმეთ მოლხენის,
რომ აღარ ჰქონდეს მშობელს მხარეს ჟამი მოწყენის.

*
* *

ოჰ, მეგობარო, გამიძნელდა მარტოდ სიცოცხლე;
მოდი, მომხედე, ერთად ყოფნა კვლავ გამიახლე.

*
* *

ჯერ მოგიზიდა ჩემ გულის თქმათ იდუმალობამ,
შემდეგ კი მოსპო ლტოლვა ეს გულ-ახსნილობამ?
მოდი, მონახე,—სულის სიღრმეს დამალულია...
მაღალი აზრი სიყვარულით გაგმირულია!

*
* *

ეჰ, მეგობარო, გამიძნელდა მარტოდ სიცოცხლე;
მოდი, მომხედე, შენთან ყოფნა კვლავ გამიახლე!

იორდანე ტუსალი.

# შარშანდელი რუსეთი.

შარშან ისე შეიცვალა რუსეთის პოლიტიკური წესი, რომ არ შეგვიძლია ამაზე ორიოდ სიტყვა არ ვუთხრათ «ივერიის» მკითხველებს; მით უფრო საჭიროა ამ ცვლილებაზე ლაპარაკი, რომ შესაძლოა აქ ცოტაოდნად მაინც ვისარგებლოთ ჩვენის ცხოვრების გასაუმჯობესებლად, თუ ჩვეულებრივ ზარმაცობამ და უთაურობამ არ დაგვძლია.

სრულებითაც საჭირო არ არის, ის ახალი კანონები გადავთვალოთ, რომელნიც შარშან დადგენილ იქმნენ, რადგანაც ბევრი, ან ღირს-შესანიშნავი კანონი არა გამოცემულა-რა; ამას გარდა ისიც მოვიგონოთ, რომ ჩვენში იმას კი არ უნდა ვეძებდეთ, რა სწერია კანონში, ის უნდა ვიკითხოთ: ვინ ასრულებს კანონსა? რუსეთი სანამ იმ ქვეყანათ რიცხვში ითვლება, რომელთაშიაც ყოველთვის კანონზე მაღლა სდგას ადმინისტრაციული განკარგულება. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ კატკოვიც კი ვერ შემოიტანს ეჭვს.

ამას წინად კატკოვის გაზეთში ნაამბობი იყო შემდეგი შემთხვევა ერთ ახალ გამოცემულ რუსულ წიგნიდამ. ამ სამოციოდ წლის წინად ერთი რუსის დიდ-კაცი რომ კვდებოდა, ისურვა ქონების გადაცემა ერთის ნათესავის, ვასილჩიკოვისათვის; საჭირო იყო ამის თანახმად კანონიერ ქაღალდის შედგენა; მემკვიდრემ ჰკითხა თავის ძმას, სახელმწიფო რჩევის წევრს, ანდერძი როგორ შევადგინოთ. ამან ის გაგზავნა ში-

ნაგან საქმეთა მინისტრთან: ის დაგიწერს, როგორც რიგია, იმან იცისო. მინისტრმაც ვასილჩიკოვი სპერანსკისთან გაგზავნა; ის არის კანონების დამწერი, იმან იცის კანონი რას მოითხოვსო. სპერანსკიმ, მართლადაც, შეუდგინა მემკვიდრეს ანდერძი მომაკვდავის სურვილის თანხმად და გადასცა ერთ პატარა ჩინოვნიკს თეთრად გადასაწერად. პატარა ჩინოვნიკმა არ გადასწერა ანდერძი, ეს სრულებით საჭირო არ არისო, დასწერა ნასყიდობის წერილი და ჩააბარა ვასილჩიკოვს. მართლადაც, აღმოჩნდა, რომ არ სცოდნოდათ კანონები არამც თუ სახელმწიფო რჩევის წევრს და მინისტრს, არამედ თვით შემადგენელს კანონებისას; ისე რომ შედგენილიყო ვასილჩიკოვის ქაღალდი, როგორც სპერანსკი ურჩევდა, ვასილჩიკოვი არაფერს არ მიიღებდა თავის ნათესავის ნაანდერძებისაგან.

კანონებს რომ დიდი ძალა ჰქონოდათ, ასეთი შემთხვევა, ე. ი. კანონების უცოდინარობა დიდ ჩინოვნიკების მხრივ, ხომ არას დროს არ მოხდებოდა. მაშ ახალ კანონებს თავი დავანებოთ, ვნახოთ, რა ახალი კაცები გამოვიდნენ საპოლიტიკო ასპარეზზე და ძველთაგან რომელმა დაანება თავი ამ ასპარეზს.

ტოლსტოი, მაკოვი და გრეიგი, რომელთაც ჰქონდათ მართებლობაში დიდი ხმა, თავიანთ თანა-შემწეებით წავიდნენ და იმათი ადგილები დაიჭირეს საბუროვმა, ლორის-მელიქოვმა და ნ. და ა. აბაზაებმა. ამის გამო შეიცვალა მთელი შინაური პოლიტიკა რუსეთისა: შინაგან საქმეებმა, ფინანსებმა და ხალხის განათლებამ მიიღო ახალი მიმართულება, დაადგა ახალს გზას.

* * *

ტოლსტოი, მაკოვი, შუვალოვი და იმათი ამხანაგები ეომებოდენ საზოგადოებას, როგორც მართებლობის მტერს.

ტოლსტოიმ რუსეთის ახალ-გაზრდობას გაუძნელა განათლების მიღება: საშუალო სკოლები თავად ცოტა იყო, და რაც იყო, ისიც იჩაგრებოდა სოფლის მღვდლისა და ურიადნიკისაგან; გიმნაზიებში ლათინურმა და ბერძნულმა ენამ უფრო მეტი ადგილი დაიჭირა, ვიდრე თვით რუსულმა, ან სხვა უმთავრესმა საგნებმა. ვინც არ გაივსებდა თავს მომკვდარ და დამარხულ ენის სიტყვებით, იმას ნება არ ეძლეოდა უნივერსიტეტში შესულიყო. რეალურ სასწავლებლებში ისეთი პროგრამა იყო დადგენილი, რომ იმათ შეგირდებს თუ არ საინჟინერო, ტეხნოლოგიურ და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში, სხვაგან არსად იღებდენ და ამასთანავე ისეც იყო მოხერხებული, რომ ამ სპეციალურ აკადემიებში და ინსტიტუტებში ათი რეალისტიდამ ძლივს ერთი, ორი მიიღებოდა, დანარჩენი კი რჩებოდა უსაქმოდ. მაღალ სასწავლებლებშიაც ახალი წესის შემოღება მოისურვა ტოლსტოიმ: განზრახვა ჰქონდა უნივერსიტეტისათვის ჩამოერთვა თვით-მართველობა და თავის ჩინოვნიკებისათვის მიენდო პროფესორების დანიშვნა და უნივერსიტეტის მართვა.

ასობით და ათასობით რჩებოდენ უმაწვილები უსწავლელად და უსაქმოდ. რა ექნათ და სად წასულიყვნენ? ზოგიერთნი მათგანნი, რომელნიც თავიანთ თავს მეტად დაჩაგრულად გრძნობდენ, შეერივნენ დაბალ ხალხს და ცდილობდენ ყველასი გადაემტერებინათ მართებლობასთან. პოლიციასაც არ ეძინა, ბრალიანს და უბრალოს ჰგზავნიდა ციხეში და ციმბირს; მაგრამ ეს საშუალება ფუჭი გამოდგა. ამ სასტიკმა ზომებმა უფრო გააბრაზა დაჩაგრული ახალ-გაზრდობა. ეს ფიქრობდა: ხომ მაინც და მაინც მტანჯავენ, შიმშილით მკლავენ და თავისუფლებას მართმევენ, ამაზე უარესს ხომ ვეღარას მიზამენ,

ისევ სჯობია უფრო გადავემტეროთ მართებლობას და მტარვა-
ლების დასოცით ხალხს შევუმსუბუქოთ შავ-ბედითო.*) გაზრაზუ-
ბულმა ახალ-გაზრდობამ ამ უკანასკნელ ორის წლის განმავლო-
ბაში ბევრი გაბედულობა გამოიჩინა. ჟანდარმების უფროსი მე-
ზენცოვი და ხარკოვის გუბერნატორი კრაპოტკინი მოჰკლეს,
ხელმწიფის მოკვლა სამჯერ განიზრახეს, მეზენცოვის მოად-
გილეს ორჯერ ესროლეს, ჟანდარმის პოლკოვნიკი გეიკინგი
დაჩესხეს, პეტერბურგის გრადო-ნაჩალნიკს ტრეპოვს დამბაჩა
დაახალეს.

რაც უფრო სასტიკად ეპყრობოდა მართებლობა რევო-
ლიუციონერებს, მით უფრო გაბედულობით მოქმედებდენ ესე-
ნი. ცხადი იყო, რომ მართებლობა ებრძოდა ძლიერ მტერს
და მტერი იმით იყო ძლიერი, რომ ჩინოვნიკობამ მართებლო-
ბა და საზოგადოება ერთმანერთს დააშორა. საზოგადოება არ
ესმარებოდა პოლიციას და საზოგადოდ ჩინოვნიკობას ბრძო-
ლაში, იმიტომ რომ თითონ მათგანვე იყო დაჩაგრული. ამ
გარემოებამ ცხადად უჩვენა მართებლობას, რა დიდი შეცდო-
მა მოახდინეს მინისტრებმა და იმათ თანაშემწეებმა, საზოგა-
დოება მართებლობას რომ დაუუცხოვეს. ცხადი იყო, მარ-
თებლობას დასახმარებლად საზოგადოება უნდა მოეწვია. ეს
ესეც მოხდა, მაგრამ საზოგადოება მაინც ხმას არ იღებდა;
ეშინოდა იმ პირებისა, რომელნიც იმას ყოველთვის ცუდის
თვალით უცქეროდენ და აი ამისთვის საჭირო იყო ამ პირების
დათხოვნა.

*
* *

ახალი პირები დიდს პოლიტიკურს ასპარეზზე ხელმწი-

---

*) ამას ამბობდენ პოლიტიკურ პროცესსებში თითქმის ყველა ბრალ-
დებულები.

ფე იმპერატორის სასახლის აფეთქებამ გამოიყვანა. აფეთქების შემდეგ დაინიშნა უმაღლესი კომისია, რომლის თავათ იყო დაყენებული ლორის-მელიქოვი. ამ კომისიას უნდა ებრძოლა რევოლიუციონერებთან გენერალ-გუბერნატორების და მინისტრების დახმარებით; ამის ხელში იყო აგრეთვე ჟანდარმების კორპუსი და პეტერბურგის ჯარი. ასეთის დიდის ძალით დიდი ხანია რუსეთში არცერთი განწესებულება არ ყოფილა შეჭურვილი. ლორის-მელიქოვს ჩააბარდა ასეთი უფლება, რადგან იმან ბევრი ჭკუა და ხერხი გამოიჩინა ხარკოვში გენერალ-გუბერნატორათ რომ იყო და იქ ყოველ-გვარს მართებლობის წინააღმდეგს მოქმედებას ბოლო მოუღო.

5 თებერვალს მოხდა სასახლის აფეთქება, 12 თებერვალს დაინიშნა ხსენებული კომისია და 20 თებერვალს, ე. ი. რვა დღის შემდეგ გამოჩნდა ვიღაც მლადეცკი და კომისიის უფროსს ესროლა დამბაჩა. ეს მოხდა მეორე დღეს ხელმწიფის ოც-და-ხუთ წლის მეფობის დღესასწაულობისა!

ბევრს ეგონა, რომ ბრძოლა სოციალისტებთან უფრო გაძლიერდებაო, მაგრამ ეს მოლოდინი უსაფუძვლო აღმოჩნდა. მართლადაც, ძნელი იყო მოგონება იმაზე მეტად სასტიკის ზომებისა, რომელნიც ხმარებული იყვნენ ამ დრომდე: რევოლიუციონერებს ხალხში ახრჩობდენ, თოფითა ხვრეტდენ და ვისზედაც ცოტაოდენი მაინც ეჭვი იყო აღებული ხელმწიფის მუხანათობისა, ციმბირში ჰგზავნიდენ. ამაზედ უარესის მოგონება აღარ შეიძლებოდა. გრ. ლორის-მელიქოვს, როგორც ჭკვიანს კაცს, ეს კარგად ესმოდა და აი რისთვის დაიწყო იმან სხვა წამლის ძებნა. ჩქარა იპოვა კიდეც ეს წამალი. ის თავის წერილში, რომლითაც პეტერბურგელებს მიმართა, აცხადებდა, მე შემიძლიან სოციალისტების დამარცხება მხოლოდ მაშინ, როცა

საზოგადოება დამეხმარებაო. ახალმა მთავარ-მმართებელმა (დიქტატორმა) საქმითაც დაამტკიცა, რომ პატივს-სცემს საზოგადოებას და სურს მას დაუკავშირდეს; თავის კომისიაში მოიწვია რჩევის საკითხავად პეტერბურგის ხმოსნები. ეს იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯი; მეორეს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა; მწერლობას მიანიჭა მეტი თავისუფლება; ცენზორის უფროსი გრიგორიევი დაათხოვებინა მართებლობას და იმის მაგიერ გაანწესებინა რიაზანის გუბერნატორი აბაზა, რომელიც თავის გუბერნიაში საყვარელ კაცათ და ლიბერალათ ითვლებოდა. ამ განკარგულების შემდეგ ნახევარ წლის განმავლობაში არცერთი გაზეთი ან ჟურნალი არ იყო შეჩერებული და თითქმის არცერთს არ მიუღია მართებლობისაგან შენიშვნა; ამ უკანასკნელს ორიოდ თვეს მწერლობას თავისუფლება თითქო ძველებურად შემოაკლდა; მაგრამ ეს დიდ-ხანს ვერ გაგრძელდება, რადგან შესდგა ბეჭდვის საქმის განსახილველი კომისია, რომელიც აპირებს მოსპოს სრულიად ცენზურა და მწერლების დანაშაულის გარჩევა მიანდოს სასამართლოს.

რუსულ ჟურნალ-გაზეთობას არას დროს იმდენი არავინ უქია, როგორც მარშან ერთ-ხმად აქო გრ. ლორის-მელიქოვი. ეს წარმოსდგა სხვათა შორის იმიტომაც, რომ არავის აქამდე რუსეთში იმდენი თავისუფლება მწერლობისთვის არ მიუცია, რამდენიც მისცა ლორის-მელიქოვმა. ადრე რუსულ გაზეთებს არამც თუ არ შეეძლოთ თავიანთი აზრი გამოეთქვათ, ახალი ამბების ბეჭდვაც კი ჰქონდათ აკრძალული. მეტად შეავიწროვდა რუსულ მწერლობის თავისუფლება იმ წლებში, როცა სოციალისტების პარტია გაძლიერდა, ე. ი. 1878 და 1879 წ. აქ დავასახელებთ რამდენსამე ამ გვარს შემავიწროებელ განკარგულებას გაზეთ „სტრანიდამ."

1 ენკენისთვეს 1878 წ. აკრძალული იყო პოლიციის ნაკლულევანებაზედ წერა და პოლიციისადმი წინააღმდეგობის აღძვრა საზოგადოებაში. ამ განკარგულების ძალით ძნელი იყო რაზედმე წერა, რადგან ყველაფერში შეიძლებოდა პოლიციის წინააღმდეგობა ენახათ. ვინც ამას არ აასრულებდა, სასტიკი სასჯელი მოელოდა.

31 ღვინობისთვეს 1878 წ. აკრძალული იყო წერა წინააღმდეგ სამ ხელმწიფეთა კავშირისა (რუსეთისა, გერმანიისა და ავსტრიისა). მეტადრე ავსტრიაზე ცუდი არა უნდა დაწერილიყო-რა.

13 ქრისტიშობისთვეს 1878 წლის განკარგულებით მწერლობას ნება არა ჰქონდა რაიმე ურიგო საქმეში გამტყუნებინა მასწავლებლები და სასწავლებელთ უფროსები.

2 მარტს 1879 წ. აკრძალული იყო წერა რუსეთის პოლიტიკურ ცვლილებაზე, ე. ი. კონსტიტუციაზე პირ-და-პირ ან გადაკვრით.

18 მაისს 1879 წ. გაზეთებს აეკრძალათ ნება ადრევე გამოეცხადათ, როდის და სად მიემგზავრებიან ხელმწიფე იმპერატორი და იმის სახლის კაცები.

2 მარიამობისთვეს 1879 წ. აკრძალული ჰქონდა მწერლობას წერა უნივერსიტეტების და სტუდენტების უფლებებზე.

იანვარს 1880 წ. აკრძალული იყო თავ. ტრუბეცკოების და ბელოზერსკების საქმეზე წერა.

თებერვალში და მარტში ამავე წელს აკრძალული იყო წერა:

1) ტოლსტოის სისტემაზე.

2) უნივერსიტეტის წესდებაზე.

3) ავსტრიის და გერმანიის წინაამდეგ, (ნემეცები ჩვენი მეგობრები არიანო).

4) სოციალისტების დაჭერაზე და იმათ საქმეების პოლიციურ განხილვაზე.

5) პოლიტიკურ დანაშაულობაზე (როგორც მაგ. სასახლის აფეთქებაზე).

6) გლეხებისათვის მიწის დარიგებაზე, იმათ გადასახლებაზე და ხარკის შემცირებაზე (რადგან ამ მოთხოვნილებათა ასრულება ძნელიაო).

7) პიას და გარიბალდის მიწერ-მოწერაზე შესახებ მეფის მკვლელობისა.

8) ახალ-თეკეს ექსპედიციაზე."

განკარგულება განკარგულებაზე მოსდიოდათ ჟურნალებს და გაზეთებს ცენზორებისაგან, მაგრამ თითქო ეს ცოტააო, ამას გარდა ცალკე იბარებდენ რედაქტორებს მინისტრები და სხვა უფროსები და პირად აფთხილებდენ, ესა და ეს არ დასწეროთ, თორემ თქვენს გაზეთს სულს ამოუხუთავთო. ამ გვარმა საიდუმლო მიწვევამ და აკრძალვამ იკლო, როცა ლორის-მელიქოვის ცდით გრიგორიევის მაგიერ ცენზურის უფროსათ აბაზა დაინიშნა, და ცხადი იყო, რომ გახარებულმა ჟურნალ-გაზეთობამ გადააჭარბა, ახალის დროს ქება რომ დაიწყო.

* * *

როგორც მოვახსენე ზემოთ მკითხველს, შარშან სამი მინისტრი გამოიცვალა და ყოველ მინისტრის გამოცვლაზე ცოტაოდნად მართებლობის წესის ცვლილებაცა ხდებოდა.

განათლების ახალმა მინისტრმა გაუადვილა გიმნაზიელებს და რეალურ შკოლებში მოსწავლეებს კურსის დასრულება და

შესვლა უმაღლესს სასწავლებლებში. ძველის ენების ან სხვა საგნების შესწავლა თუმც არ შემცირებულა და არც პროგრამა შემოკლებულა, მაგრამ ეგზამენებზედ ისე სასტიკად აღარ ეპყრობოდნენ შეგირდებს, როგორც გრაფ ტოლსტოის დროს.

მეორე შემსუბუქებას მოსწავლეთ ბედში ზოგიერთნი მოელიან ახალის მინისტრისაგან სახალხოდ თქმულ სიტყვების გამო. ენკენისთვეში ახალმა მინისტრმა დაიარა ყველა სასწავლებლები, რომელნიც მოსკოვის მზრუნველის ხელში იყვნენ და აქ, სადაც უფრო მეტი თაყვანის-მცემი ჩინოვნიკები ჰყვანდა ადრინდელ მინისტრს, წარმოსთქვა რამდენჯერმე ის აზრი, რომ მასწავლებელნი დაშორებიან ცხოვრებას და საზოგადოებას და ასწავლიან ყმაწვილებს მკვდარ მწიგნობრულ წესითაო; გაიცანით ქვეყანა, ნახეთ რა სწავლა ეჭირვება, მოიფიქრეთ რა უფრო გაუხსნის გონებას ყმაწვილსა და ამის-და-გვარად შემატყობინეთ თქვენი აზრი, როგორი ცვლილება უნდა მოხდეს ახალ-გაზდობის აღზრდაშიო.“ ამბობდა ახალი მინისტრი.

ასეთისავე მოთხოვნილებით მოუკიდათ ცირკულიარი ახალი მინისტრისაგან ყველა რუსეთის გიმნაზიებს. რჩევამ პირ-და-პირ გამოაცხადა, ლათინური და ბერძნული ენის შესწავლა უნდა ბევრად შემცირდესო, ყმაწვილებს შინ ბევრი სამუშაო არ მიეცესთო და სხვ.; ზოგმა ხმა გაჰკმინდა და ზოგმა კი გამოაცხადა ახლანდელ წესისთანა კარგს ვერაფერს მოვძებნითო. ეს უკანასკნელი აზრი დაჰბადა უფროსების შიშმა, რადგან ზოგან ტოლსტოის ჩინოვნიკები დარჩნენ ძველებურად მზრუნველებათ, დირექტორებათ და ემუქრებოდნენ ხელ-ქვევითებს, თუ ახლანდელ წესის წინააღმდეგ რამე გითქვამთ, ვაი თქვენ გინდათო! ასეთი შემთხვევა მოხდა მაგალითად მოსკოვში მაშინაც კი, როცა იქ ახალი მინისტრი იყო და ყვე-

ლასა სთხოვდა: თავისუფლად წარმოსთქვით თქვენი აზრიო. ერთმა რეალურ შკოლის დირექტორმა, გრიგორიევმა, მოახსენა საზოგადოებას თავის აზრი ქსლანდელის წესის შეცვლაზე და ამის შემდეგ ჩქარა მიიღო მზრუნველისაგან მოწერილობა, თქვენს ალაგს თავი დაანებეთ, სხვა ქალაქში მინდა გადაგიყვანოთო.

ამ გვარად შეუძლებელი იყო ახალის წესის შემოღება გიმნაზიებში, ვიდრე ტოლსტოის ჩინოვნიკები თავიანთ ალაგებს თავს არ დაანებებდენ. ამიტომაც დათხოვნილ იქმნა მოსკოვის მზრუნველი, თ. მეშჩერსკი. ეს, რასაკვირველია, საკმაო არ არის, რადგან სხვა კიდევ ბევრია ამის მსგავსი მინისტრის რჩევაშიაც. თვითონ ამ რჩევის წევრნი ისეთი თაყვანის-მცემლები არიან ტოლსტოისა და იმის წესებისა, რომ ქალალდით სთხოვეს (ბრძანებასა ჰგავს) გიმნაზიების და რეალურ სკოლების მასწავლებლებს, ფულები შეაგროვეთ ტოლსტოის და მეშჩერსკის სახსოვრად სტიპენდიების დასაარსებლადაო.

*
* *

12 აგვისტოს შესრულდა ნახევარ წელიწადი, რაც უმაღლესი კომისია არსებობდა და იმის არსებობის დროს არ გაშეორებულა თითქმის არცერთი ისეთი შეუპოვარი მოქმედება სოციალისტებისა, რომელიც ადრე მოსვენებას არ აძლევდა მართებლობის უმაღლესს პირებს. ამის გამო ხელმწიფე იმპერატორმა გააუქმებინა ეს კომისია და 12 აგვისტოს კომისიის და ჟანდარმების კორპუსის საქმეები გადასცა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ სამინისტროს შეუერთდა ყოველ-გვარი პოლიციის მართველობაც და სამინისტრო ჩაჰბარდა გაუქმებულ კომისიის თავ-მჯდომარეს, გრაფ მიხ. ტარ. ლორის-მელიქოვს.

ყველა დარწმუნებული იყო, რომ ახალი მინისტრი თა-

ვის დაპირებულს აღასრულებს და საზოგადოების დახმარებით განაგებს სახელმწიფოს შინაგან საქმეებსაო. მხოლოდ ეს იმედი სხვა-და-სხვა გვარი იყო. ზოგი ხალხისაგან ამორჩეულ კანონ-მდებელ კრების შედგენას ელოდა; ზოგი ადმინისტრაციისაგან უსამართლოდ ციმბირში გაგზავნილ პირების დაბრუნებას; ზოგი თვით-მართველობისა და ჟურნალ-გაზეთების თავისუფლებას.

უსაფუძვლო ლოდინებს ჩქარა მოეღოთ ბოლო. თვეც არ გასულიყო ახალ მინისტრის დანიშვნის შემდეგ, რომ იმან გამოაცხადა თავის პროგრამა: 6 ენკენისთვეს მოიხმო სამინისტროში უმთავრეს ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები და გამოუცხადა: პარლამენტის ან სხვა ამ გვარ წესდებულებათა შემოღების იმედი ნუ გაქვთო; ჯერ საჭიროა სხვა შრომას მოვკიდოთ ხელი; ჯერ ამ ოცის—თხუთმეტის წლის წინად შემოღებულ რეფორმებს უნდა ძალა მივცეთო და ყველა სხვა წესდებულებანი იმათ შევუფეროთო; ამას ხუთი ან შვიდი წელიწადი მაინც მოუნდებაო.

* * *

ჯერ თვე-ნახევარი არც კია, რაც მესამე მინისტრი გამოიცვალა: ფინანსთა მინისტრი გრეიგი მხოლოდ 1 ნოემბერს იქმნა დათხოვნილი და იმის მაგიერ დაინიშნა სახელმწიფო რჩევის წევრი ა. აბაზა. გრეიგის დათხოვნას მოჰყვა მარილზე დადებულ ბაჟის გაუქმება, რომლის მნიშვნელობაზედ შემდეგ როდისმე მოვილაპარაკებთ.

ახალს მინისტრს ჯერ ვრცლად თავისი პროგრამმა არ გამოუცხადებია; მარტო ის ვიცით, რომ ცდილობს, სახელმწიფო ხარჯი შემოკლდეს, ქაღალდის ფულის ფასმა აიწიოს და არცერთი ხარჯი ფინანსთ მინისტრის დაუკითხავად არ

იყოს დანიშნული. ამ გზას როგორ დაადგება და ეს გზა სად მიგვიყვანს, ჯერ არავინ ვიცით.

ამ სტრიქონებს რომ ვწერდით, გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი ახალი ხარჯის გაწერისა. ეს არის ხარჯი შემოსავალზედ და ყველამ შემოსავლის კვალობაზედ უნდა აძლიოს იგი. ასეთი ხარჯი ყველა განათლებულ ქვეყნებში არსებობს და სასურველია, რომ რუსეთშიაც იხეიროს.

აქ მოკლედ გადავთვალეთ ყველა ის ღირს-შესანიშნავი ცვლილებანი, რომელნიც მოხდნენ შარშან რუსეთში. იმათი აზრი იყო განათლებულ საზოგადოების დაახლოვება მართებლობასთან: მართებლობამ თითქო გამოიჩინა სურვილი საზოგადოებასთან შერიგებისა. ჯერ ეს, რასაკვირველია, დასაწყისია, ჯერ პირველი ნაბიჯია და, როგორც მოგეხსენებათ, პირველი ნაბიჯი ვერას დროს შორს ვერ წაგვიყვანს, თუ მეორე და მესამე ნაბიჯიც არ გადავდგით. საზოგადოებაც მართებლობის შარშანდელ ცვლილებებს უყურებს როგორც პირველ ნაბიჯს და ელის, მერმე რა იქნებაო. ამ ცვლილებებმა პირველში გაამხიარულა უკეთესი ნაწილი საზოგადოებისა; საზოგადოებამ დაივიწყა თავისი გლოვა, თავის ხან-გრძლივი წუწუნი და მოჰყვა ნატვრას. . . . . .

ვ.—თ—მ.

17 დეკემბერს.

## შინაურ მიმოხილვის მაგიერი.

ეს შარშან ახალი და წელს ძველი წელიწადიც ჩაჰბარდა პატრონს. რა იმედებით ვიყავით აღვსილნი, როცა ამ ძველმა წელიწადმა შემოგვაჭყიტა თვალები თავის აკვნიდამა! მაშინ განათლების მოთავეთ ახლად დანიშნული იყო ბ-ნი იანოვსკი და სამღვდელოების წინამძღვრად ყოვლად-უსამღვდელოესი იოანნიკე. რა სიხარულით, რა იმედებით მივეგებებოდით ამ დანიშვნასა ჩვენ «ტვირთ-მძიმენი და დამაშვრალნი.» მადლობა ღმერთსაო, ვიძახოდით გულში.

გვეგონა, რომ ბ-ნის ნევეროვის და ნეკტარ-სსენებულ ექზარხოსის ევსევის სისტემები დაწუნებულ იქმნენ უმაღლესს მთავრობისაგანაო და ახალის სისტემისათვის ახალნი კაცნი მოიწვიესო. გვეგონა და გვიხაროდა, გვიხაროდა და გვეგონა! პირველ ხანებში ჩვენს აღრეულ სიხარულს თითქო საბუთიც მოეცა. ბოლოს კი, ვაი შენს მტერს! ისევ შეჩვეული ჭირი გვანატრინეს. გამოვიდა რომ სისტემა იგივეა და მარტო სხვანია სხვა....

დიას, ბატონებო! იმ ტკბილმა იმედებმა ჩაილულის წყალი დაჰლიეს. ღმერთო გვიხსენ!...

რისაგან გიხსნასო, მკითხავთ თქვენ. იმისაგან რომ...

ერიჭა, კინაღამ ღმერთი არ გამიწყრა და არ წამოვიყრანტალე პასუხი! სულ გადამავიწყდა, რომ ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის, რომ დიდმა ჰსთქვას; «მე შენ გიბძანებ და ხმა უნდა გაიკმინდო.» და პატარამ მიუგოს: «მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამივარდა ბრძანებისა-მებრ თქვენისა.»

ამ საგანზედ ლექსის ათას-ნაირად გამშვენიერების ნება აქვსთ თურმე ყოველს ქვეშე-ვრდომს ყოველს კეთილად განწყობილს ქვეყანაში და არავის არ მალ-უძს აუკრძალოს. მაგალითებრ, შეიძლება თურმე დიდმა უთხრას პატარას: «მე შენ გიბძანებ, მუხას ვაშლი ასხია მეთქი» და პატარას ნება აქვს მიუგოს: «მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დღეს ჩვენმა მუხამ ვაშლი დაისხა ბძანებისა-მებრ თქვენისა.» და ამბობენ, რომ ამის თქმას არავინ დაუშლისო.

ღმერთი-რჯული ტყუილად ვემდურებით ცენზურასა... აი, ბატონებო, ყირიმში რაღაც ფილოქსერა გაჩენილა, ერთი თვალად უჩინარი პაწაწა მწერი. გარწმუნებთ, რომ ცენზურა ყოველთვის ნებას მოგცემთ იმათზედ თამამად ჰსწეროთ. იმათში თურმე არც ჩინებია, არც მუნდირები, მაშასადამე იმათში არავის უფლება არ ექმნება იწყინოს რამე. აზრი თურმე იმათ არა აქვთ და ფიქრი, მაშასადამე არც მიზეზი გექნებათ ჩაებათ რაღაც იდეიების უქმსა და მოუსვენარს ტრიალში.

ან რა საკადრისია დარბაისელ კაცისათვის იდეიების ბარდებში გაბმა და ტრიალი! სხვა რომ არა იყოს-რა, იდეა ფრიად მაწყინარია კაცის აგებულებისათვის. ბატონო, რა კი კაცს მიესევიან ის რაღაც იდეიებია, ზაფხულის ბუზსავით ჩამოეკიდებიან და მოსვენებას არ აძლევენ. ამას კიდევ ზედ მოჰსდევს კუჭის მოშლა, სტომაქი საჭმელს ველარ ინელებს და

გულის ფრიალიც იცის. სალი კაცი ტყუილ-უბრალოდ სნეულდება. კეთილად გაწყობილ ქვეყანაში განა ყველანი არ უნდა ცდილობდნენ, რომ სნეულების მიზეზნი წინასწარვე მოსპობილ იქმნას. მაშ ის ერთი მეცნიერება, რომელსაც ჰიგიენას ეძახიან, უქმი სიტყვაა? წყალის ნაყვაა? მაშ ტყუილ-უბრალოდ დაშვრა იმოდენა ჭკუიანი ხალხი მაგ მეცნიერების აგებისათვის?...

თუნდ ეგეც იქით იყოს, ახლა ერთი ეს ვიკითხოთ: იდეები რომ არ იყოს, განა ქვეყანაზედ ცხოვრება არ შეიძლება? მაშ ამოდენა პირუტყვი როგორა ჰსცხოვრებს? უფრო ჩვენზედ საღნი არიან, ჩვენზედ ჯან-მრთელნი, ჩვენზედ ლონიერნი და დღე-გრძელნი. აბა კალია რა არის? ერთი უბრალო მწერი, ერთი რომ შევუბეროთ, ცხრა მთას იქით გადავარდება, მაგრამ შარშან მთელი ქვეყანა ფეხზედ დადგა, შეეჭიდა და ძლივსა ჰსძლია. ერთის მხრით იდეების მქონი ადამიანები ვიყავით და მეორეს მხრით უიდეო პაწაწა კალია და კინაღამ გვაჯობა. ეს ცხადი მაგალითი არ არის განა, რომ საცა ეგ მოუსვენარი იდეა არ არის, იქ ღონეა და ძლიერება. მაშ რად ვიუძლურებთ თავს იდეების ტარებითა? ეგ იციან ქვეყნის მკურნალთა და ამიტომაც თვალ-გაფაცეცებით აქეთ-იქით იყურებიან, არსაიდამ შემოგვეპაროსო და ღონიერი უღონოდ არ გაგვხადოსო.

თქვენ რაც გინდათ ბძანეთ და ჩვენ კი ამ აზრისანი ვართ. ქვეყნის ჯან-მრთელობისათვის, განძლიერებისათვის ქვეყანაში მოარული იდეები სულ ძედა-ბუდიანად უნდა ამოჰხოცოს კაცმა და წყალს მიჰსცეს. ეს წვრილ-ფეხობაა რაღაცა, დაუჯერია და ჰყვირის: იდეა იმისთანა რამ არისო, რომ ვერც ხმალი

მოერევა, ვერც თოფით. ჴსტუუიან, თქვენმა მზემ! ერთი უბრალო მაკრატელი და იმის ჯანი!... ამისი მაგალითი თვითონ ეს წერილი გასლავთ.

# ახალი წიგნები

ჩვენს ჟურნალში მიქცეული იქნება ყურადღება ყოველგვარს ჩვენის ცხოვრების მოვლინებაზედ, რომელიც კი ამ ყურადღების ღირსია. ამის გამო, დღეის ამას იქით, ჩვენს მკითხველებს შევატყობინებთ შინაარს ყოველის ახალ ქართულის წიგნისას. ჩვენ მოგვიხდება აგრეთვე ხანდისხან ზოგიერთს სხვა ენაზედ დაწერილს წიგნზედაც ლაპარაკი, თუ ეს წიგნი ან ჩვენს ქვეყანას შეეხება, ან იმისთანა საგანს, რომელიც ყოველთათვის საინტერესოა და, სხვათა შორის, ჩვენთვისაც.

დღეს კი, ბოდიშს ვითხოვთ მკითხველთან, რომ პირველადვე ერთს უსეირო და უფასო წიგნზედ უნდა მოგვიხდეს ლაპარაკი; მაშ რა ვქნათ? ეს წიგნი პირ-და-პირ ჩვენს ქვეყანას შეეხება, განსაკუთრებით კახეთს და ხანდისხან ჩვენზედ ნათქვამის სისულელეს შეტყობაც კი გვესალისება. ეს წიგნი რუსულად არის დაწერილი და ჰქვიან:

**Наше общество и его современное стремленіе.**
Кн. Рамаза Андроникова, землевладѣльца въ Кахетіи.
Тифлисъ 1880. Ц. 1 р.

(ჩვენი საზოგადოება და მისი ეხლანდელი მიმართულება. თხზ. თავადის რამაზ ანდრონიკაშვილისა, მამულის პატრონისა კახეთში. თბილისი 1880. ფასი 1 მან.)

თბილისში ახლად ჩამოსულმა იმერლებმა იციან, თუ ორი სიტყვა ისწავლეს რუსული, ქართულად ხმას აღარ გაგცემენ;

ერთი საათი რომ ელაპარაკო ქართულად, მათგან ხშირად ორიოდ სამის უმნიშვნელო რუსულის სიტყვის მეტს ვერას გაიგონებ.

ზოგიერთს ჩვენს პუბლიცისტებსაც ესე სჭირთ: უსწავლიათ რუსული აღა-მაჭმადხანის დროინდელ კანცელარიებში, ორიოდ მართლის აზრისთვის მოუკრავთ ყური, ტყუილებით გაუწყალებიათ და უფიქრიათ, ურიგო არ იქნება ეს „ჩემი“ აზრები საქვეყნოდ გამოვაშკარაოო. საქვეყნოდ გამოაშკარავებისათვის ქაღალდზედ უკეთესი რა იქნება; ყველაფერს იკისრებს: სიმართლესაც, სიცრუესაც.

ერთი ამ პუბლიცისტთაგანი გახლავთ თ. რ. ანდრონიკაშვილი, ავტორი ზემოხსენებულის წიგნისა. მე რომ რ. ანდრონიკაშვილისა ვყოფილიყავი ამ წიგნს ქართულად დავწერდი; ჯერ ერთი ესა, ქართულად მართლ-წერა სამძიმო არ არის და დაცინვას ავიცილებდი თავიდამ; მეორეც ესა,—ბევრი სიცრუეც რომ ეთქვა, შინაურობაშივე გაიტანდენ.

თ. ანდრონიკაშვილს ეტყობა არა ჰყოლია ქართული მკითხველები; იმას მოუნდომნია თავის სახელის განთქმა მთელს რუსეთში. იქნება კიდეც გაითქვა, მაგრამ მე კიდევ რომ რ. ანდრონიკაშვილისა ვყოფილიყავი, ისევ სახელის გაუთქმელობასა და სადმე მაჩხაანში, ან გურჯაანში ჩემთვის მშვიდობიანად ყოფნას ვარჩევდი ამ გვარ სახელის გათქმას.

თ. რ. ანდრონიკაშვილს თუმცა 1830-ის წლიდამვე უმსახურნია სხვა-და-სხვა მმართველების ზედამხედველობის ქვეშ, მაგრამ მაინც წერის ერთი აუცილებელი კანონი ვერ უსწავლია: კაცმა ის ენა უნდა იცოდეს, რომელზედაცა სწერს.

ენას თავი დავანებოთ და შინაარსის განხილვას შევუდგეთ.

ავტორი ამ წიგნისა ლაპარაკობს კახეთის მეურნეობა-

ზედ: მიწის შემუშავებაზედ, ვენახის, ბაღის, საქონლის, აბრეშუმის ჭიის, ფუტკრის მოვლაზედ, თამბაქოს, ბამბის გაჩენაზედ და სხვ. საგანი სწორედ ღირსია გაცნობისა და დიდის ყურადღებით დავიწყეთ კითხვა, ეგება ახალი ცნობები შევიძინოთ ამ წიგნიდამა; ზოგიერთი ცნობები მართლა რომ შევიძინეთ, მაგრამ ერთი ორიოდე ისეთი ცნობები ვნახეთ, რომელთაც ყოველივე ნდობა დაგვაკარგვინეს ავტორისა.

ერთს ალაგს ავტორი ლაპარაკობს ჩვენებურის გუთნის სიმძიმესა და უხეირობაზედ, დ̃ შემდეგ ამბობს: რადგან ჩვენს აგრონომებს ჩვენს მიწაში სხვა-და-სხვა გუთნები არ უცდიათ, ჯერჯერობით სჯობს ისევ ჩვენი გუთანი ვიხმაროთ, მხოლოდ დავამსუბუქოთ და გავაუმჯობესოთ, ღერძი, თვლები, და სხვა ნაწილები რკინისა გავაკეთებინოთ, (ე. ი. ზოგიერთი იმისთანა ნაწილები, რომელთაც სამზღვარ-გარედაც კი ძვირად აკეთებენ რკინისას, ჩვენს გუთანს რკინისა გავუკეთოთ!) მერე ეს რას უზამს; ხის მაგიერად რკინისა რომ გავაკეთოთ ჩვენი გუთანი იმით დამსუბუქდება?

როგორ მარჯვედ გიანგარიშნიათ აგრეთვე საიდამ რა შემოსდის გლეხ-კაცს მთელს კახეთში: თამბაქო ყოველსავე კომლს გლეხ-კაცს ერთი-ერთმანერთზედ ანგარიშით მოსდის ერთი აბაზისა (გვ. 11); ბოსტნეული ორის მანათისა (გვ. 12); ხილი და კაკალიც ორის მანათისა (გვ. 12).

ეს როგორღა მოსდა, რომ მეორე ადგილას სულ სხვა გაქვთ გამოანგარიშებული; თამბაქო მოსდის ყოველსავე გლეხ-კაცს კახეთში სამის მანათისა, ბოსტნეულობა ოთხის მანათისა; ხილი და კაკალი ოთხის მანათისა (გვ. 19).

ეს რა ამბავია, ბ. ანდრონიკაშვილო, ერთგან აბაზი, მეო-

რედგან იმავე საქონელში სამი მანათი; ერთგან ორი მანათი, მეორედგან ოთხი.

ან საიდამ დასთვალეთ, რომ მთელს კახეთში ცხვარი სამას ცხრამეტი ათასი სულია, არც მეტი, არც ნაკლები.

ამ გვარმა აღრიცხვამ გული ამიცრუა, თორემ მკითხველს გავაცნობდი ზოგიერთს ამ წიგნში დასახელებულ ცნობებს, მაგრამ სწორე მოგახსენოთ, სიცრუე სხვის პირითაც კი არ მეხალისება.

კაცმა მართალი უნდა სთქვას, ბ. რ. ანდრონიკაშვილის წიგნში ორი-სამი ძვირ-ფასი აზრია, რომელიც თუმცა ახალი არ არის, მაგრამ ხშირ-ხშირად მისი გამეორება არ გვაწყენს. ავტორი სწუხს, რომ ჩვენი ესრედ-წოდებული განათლებული ახალ-გაზდობა უფრო ალაგებს ეძებს ქალაქებში და სოფლის მეურნეობისათვის კი თავი მინებებული აქვსო. ისა სჯობსო, ამბობს ავტორი, რომ ჩვენი გონების ძალა სოფლის წარმოე-ბას მოხმარდესო; მიწის შემუშავება გავაუმჯობესოთ, ხელ-საქმე და ჩვენის ნაწარმოების აქვე შემუშავება გავავრცელოთო, თორემ ესლა ჩვენი მატყლი და აბრეშუმი სამხღვარ-გარედ იგზავნება; იქიდამ შემუშავებული და გადაკეთებული მოდის და ერთი-სამად-ხუთად ისევ ჩვენზედ იყიდება.

ეს ერთად-ერთი ჭეშმარიტი აზრია მთელს წიგნში, მაგ-რამ ისეთი დაძველებული და ათი-ათასჯერ გამეორებული, რომ თქვენც დამეთანხმებით ამ აზრის ყიდვა მანათად (წიგნი მანა-თად ღირს) ხელს არ მოგვცემს, მეტადრე ამ სიძვირეში.

ქართული არითმეტიკული საანგარიშოები, ანუ გამოსაცნობები, ანუ ზადაჩები და რიცხვებითი მაგალითები.

კურსი მოსამზადებელი. ნათარგმნი რუსულით ევტუშევსკი-საგან(!) ოლ. დიდებულიძისა. თბილისი. 1880 წ.

ანგარება ყოველს საქმეში საზიზღარი და გასაკიცხავია, თუმცა ეს კაცის დამამდაბლებელი თვისება თვალის შეჩვევის გამო ხშირად დაუსჯელი რჩება. მაგრამ ზოგიერთის წმიდა საქმისათვის ანგარებით ჩირქიანის ხელის შეხება არასოდეს არ უნდა რჩებოდეს დაუსჯელი და გამოუაშკარავებელი. ამისთანა წმიდა საქმე არის მაგალითად უმეცარი ხალხის და მოზარდ თაობის განათლების საქმე. კაცს სინიდისი მთლად დაკარგული უნდა ჰქონდეს, თუ მოჰკიდებს ხელს ამისთანა პატიოსანს საქმეს მხოლოდ მისთვის რომ გაჩირქიანოს იგი და მით თავისი პირადი ინტერესები წინ-წამოაყენოს.

ნუ თუ მოიპოება რამე იმაზე უსაძაგლესი, როდესაც კაცი თავის მოქმედებით ხალხის გონების დამასინჯებას ხელს უწყობს და სწოვს სისხლს უმისოდაც სისხლ-ნაკლულს ხალხსა!

ამ აზრებმა გაგვიელვა თავში, როდესაც ოლ. დიდებულიძის ნათარგმნი «ქართული არითმეტიკული საანგარიშოები, ანუ გამოსაცნობები, ანუ ზადაჩები და რიცხვებითი მაგალითები» გადავათვალიერეთ; ამ წიგნის გამოცემამ* ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა ნათლად ის ჭეშმარიტება, რომ ყოველს წმიდა და პატიოსან საქმეს წურბელასავით მოეკიდება ზოგიერთი პირი და ცდილობს, ამ საქმეში მაგრად გაიდგას ფესვი და ღრმად ჩაასოს ბრჭყალები.

ოლ. დიდებულიძისას გადმოუთარგმნია ევტუშევსკის წიგნი, მაგრამ ვაი ამისთანა გადმოთარგმნას! მის მაგიერად, რომ მთარგმნელს გადმოეკეთებინა ევტუშევსკის არითმეტიკა, გამოეყენებინა მისი მეთოდა და ჩვენი სკოლების მოთხოვნილებასთან შეეთანხმებინა, იმას სიტყვა-სიტყვით, შეუცვლელად, გადმოუთარგმნია წიგნი. მართალია, სახელმძღვანელოს გადმოკეთება ბევრად სჯობს სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნას, მაგრამ ოლ. დიდებულიძისას ამის დარდი არა ჰქონია. გადმოკეთებას უფრო მეტი დრო უნდოდა და რისთვის შეეწუხებინა თავი!

ამ წიგნის მთარგმნელი, როგორც ეტყობა თავის ჯიბის გადიდებას უფრო თანაუგრძნობს, ვიდრე ყმაწვილების ნორჩის გონების გავარჯიშებას. ამის დამტკიცება ძნელი არ არის: ოლ. დიდებულიძისას გადმოუთარგმნია 62 გვერდი, მოსამზადებელი კურსი, რომელიც რუსულ დედანში შეადგენს მხოლოდ ნახევარს მთელის წიგნისას. ევტუშევსკის წიგნი კი, რომელიც რუსულს ენაზე შეიცავს ორს ნაწილს (მოსამზადებელ და სისტემატიკურ კურსს) ღირს ორ აბაზად. ოლ. დიდებულიძისამ კი გაუმაძღრობა გამოიჩინა და დაუნიშნა თავის წიგნს (ევტუშევსკის წიგნის ნახევარს) ფასი ათი შაური. შესაძლებელია, გვიპასუხოს, რომ წიგნი ეგებ არ გავრცელდეს (ნეტავი აგრე) და მით ჩემს ჯიბეს ზიანი მიეცესო.» მაგრამ ეს პასუხი ყურადღების ღირსი არ არის, რადგანაც ყველასათვის ცხადია, რომ სახელმძღვანელოებს ჩვენში დიდად საჭიროებენ და ისიც ვიცით, ზოგიერთი უღირსი, უვარგისი სახელმძღვანელოები რა უღირსის საშუალებით და ღონისძიებით ვრცელდებიან ხალხში. მაგალითად ჩვენ ვიცით, როგორ გა-

ვრცელდა ბ. გ. დიდებულიძის სოკოლოვის საღმრთო-წერილის თარგმანი, რომელიც ეხლა მეორედ გამოიცა.

გარდა ამისა ოლ. დიდებულიძის თარგმანი მეტად გაუგებარის და მძიმე ენით არის დაწერილი; მთარგმნელი ხმარობს სიტყვებს: ბოჩკა, ვედრო, ვედროიანი, პრიანიკი, სუხარი, ჩეთვერთი, პოდრიაჩიკი, ტროიკა, სალფეთკი, იოლკა, უროკი და სხვ. და სხვ. თუ დიდებულიძისამ ზოგიერთი სიტყვების საბადლო სიტყვები ვერ იპოვა ქართულს ენაზე, რისთვის არ შესცვალა მაგალითები? ამითი მეთოდას ხომ არა დააკლდებოდა-რა. მაგრამ ცალკე სიტყვები რასა კმარა, ისა სჯობს მთელი «ზადაჩები გადმოვწეროთ ამ თარგმანიდამ.

«ყმაწვილმა ერთ ოთახში, სიგანეზე, თავით ბოლომდინ, გაიარა ათი ნაბიჯი...» (გვ. 20, კით. 78).

«რა რიგათ შეიძლება აიწონოს ერთბაშათ მთელი რიცხვი ფუთისა 40-დინ ოთხი რკინის ნაჭრით: 1 ფუთიანით, 3 ფ., 9 ფუთ., და 27 ფ.» (გვ. 73, კით. 285.)

«როდესაც მესაათემ მოატრიალა საათის ისარი, მაშინ საათმა დაჰკრა ხუთჯერ და ბავშვმა მაშინ, იქ მყოფმა იმ დროს, საათის რეკა დასთვალა 50 რამდენს დაკვრას დასთვლიდა ხოლმე ბავშვი ყოველს ისრის მოტრიალების დროსა და რომელს საათზედ დააყენა მესაათემ საათის ისარი?» (გვ. 88, კით. 342).

გესმოდათ ბ. მთარგმნელო რასა სთარგმნიდით და სწერდით? კიდევ ერთს მაგალითს დაგისახელებთ; მაგრამ კმარა! რაცა ვთქვით, ამითიც ღირსეულად შეგიძლიანთ თარგმანის დაფასება. არ გეგონოთ, რომ ამისთანა მაგალითების დასახელება აღარ შეგვეძლოსთ, წიგნი სავსეა შეცდომებით, უაზროდ ნათარგმნის კითხვებით და ჩვენ სრულებით სურვილი არა გვაქვს ამ დამახინჯებულის წიგნის გადმოწერისა. ჩვენ გვსურს მხოლოდ დავაბრკოლოთ ამ წიგნის გავრცე-

ლება სალხში და მით ცოტათი მაინც დავუკარგოთ ზოგიერთებს სურვილი, თავის უწმიდურ განზრახვით შეეხონ იმისთანა წმიდა საგანს, როგორიც არის სალხის გასათლება.

მეფე დიმიტრი თავ-დადებული.
თხზულება ილ. ჭავჭავაძისა. (1200 ეგზემპლ. ფასი 15 კაპ.)

კაცია—ადამიანი?!

მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა, მეორე გამოცემა. (დაიბეჭდა ორგვარ ქაღალდზე. კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი (300 ეგზემპ.) ფასი 60 კაპ., უბრალო ქაღალდზე—40 კ. (900 ეგზემპ.)

პატარა ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში ბევრს ვერაფერს ვიტყვით ამ ასლად გამოცემულ წიგნებზე; არც მათ შინაარსს გადავცემთ მკითხველებს, რადგანაც საზოგადოება საკმაოდ იცნობს ამ თხზულებებს: პირველი მათგანი დაბეჭდილი იყო «ივერიაში», მეორე კი კარგა ხანია მას აქედ, რაც პეტერბურგში გამოიცა და გასაყიდი აღარსად არის. აქ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ილ. ჭავჭავაძემ სასიამოვნო ცვლილება მოასდინა თავის «კაცია—ადამიანში»; მაგალითად, ავტორმა გამოსტოვა თავის თხზულებიდგან ზოგიერთი ისეთი ადგილები, რომელნიც მხოლოდ აგრძელებდენ მოთხრობას და არაფერს კი უმატებდენ მის ღირსებას,—ის ადგილები, სადაც თვითონ ავტორი ებაასებოდა მკითხველებს და ლუარსაბ თათქარიძის მაგალითით «ჭკუას ასწავლიდა.» ეს ორი თხზულება ლამაზ წიგნებათ და კარგს ქაღალდზედ არის დაბეჭდილი.

## პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოთ ეფენდისთან.

თხზულება მღვ. სიმეონ ზაკაიევისა. თბილისი 1880. ფ. 70 კ.

ამ ლამაზად და სუფთად გამოცემულ წიგნის შინაარსი ეს არის: მღვდელი უმტკიცებს ინგილოთ ეფენდის მართლ-მადიდებლობის უპირატესობას მაჰმადიანობის წინაშე. დანიშნულება ამ წიგნისა ის არის რომ, გავრცელდეს მაჰმადიანებში და გაუადვილოს მღვდლებს ქრისტიანობის გავრცელება. ჩვენ ჩვენის მხრით არ თანაუგრძნობთ არც ამ თხზულების შინაარსს, არც მის დანიშნულებას. ეს წიგნი ეკუთვნის მის საუბედუროდ იმ გვარს წიგნებს, რომელნიც ვერასოდეს ვერ მიაღწევენ თავიანთ აზრს და უფრო ავნებენ კი. ნუ თუ ჰგონია ავტორს, რომ ის თავის წიგნის გავრცელებით მაჰმადიანებს მოაქრისტიანებს? ავტორს არა სცოდნია, რომ სარწმუნოების გრძნობათა აღძვრამ ბევრი ვნება მოუტანა კაცობრიობის წარმატებას, ბევრი უმანკო სისხლი დაღვარა.

ამ წიგნის ავტორს არ უნდა დაევიწყებინა, რომ ქართველ მაჰმადიანებისთვის მისი წიგნი გამოუდეგარი და მავნე იქნება. თუმცა მაჰმადიანნი ქართველნი ჩვენ მართლ-მადიდებელთ ეჭვით გვიყურებენ, მაგრამ მომავალში სარწმუნოების განსხვავება ჩვენს ერთი-ერთმანერთთან დაკავშირებას სრულიად ვერ დააბრკოლებს, რადგანაც სწავლა-განათლება ზაკაიევის გაუგებარ ქადაგებაზე უფრო მძლავრი საშუალებაა კაცობრიობის წარმატებისათვის. სწავლა-განათლება აღამაღლებს რელიგიურ გრძნობის მნიშვნელობას და ამის გამო არ შეეხება და არ წაბილწავს

მას: იმასაც ვერ დაგვიმტკიცებენ ბეგიევები, რომ განობრიობის პროგრესს რითიმე ავნოს მაჰმადიანობამ.

ჩვენდა სასიამოვნოდ ბეგიევის თხზულება ისეთ გაუგებარის, მძიმე ენით არის დაწერილი, რომ ღრმა ქართულის მცოდნეებსაც კი გაუჭირდებათ მისი წაკითხვა და ამის გამო ამ წიგნს სრულებით არ შეუძლიან ვნების მოტანა. გასაგების ენით კი რომ ყოფილიყო დაწერილი, ბევრს ქართველ-მაჰმადიანს დაგვაშორებდა ჩვენ, დაახლოვების მაგიერად. აი ერთი ნიმუში ბ. ბეგიევის ენისა:

«მაგრამ შესაძლოა იხმარებოდეს ესე ჩემის ნამდვილის გულ-დაჯერებით დიდად სასარგებლოდ თვითოეულის მისის ღვდელთაგანისაგანცა, რომელთაც აქვსთ ყოველთათვის ძრიელ ხშირი და დაახლოვებული კავშირი და ერთობა მუსულმანებთანა, და ეგრეთვე მისს სასწავლებელთ მასწავლებელთ და მოსწავლეთაგან, როგორც რომ ახსნის დროს მათ მიერ თავის მონათესავეთ და მცნობთათვის, ქრისტიანეთაგან, თუ მუსულმნებთა, მართლმადიდებელის სარწმუნოების ჭეშმარიტებათა, ეგრეთვე თითქმის მუდმივის უკანასკნელთაგან ბაასის დროს თავიანთ ტოლებთადმი,—მაჰმადიანთ სასწავლებელთ მოწაფეებთანა, ქრისტიანობის უაღმატებულესობაზედ წინაშე მუსულმანობისა,—და გარდა ამისა დამხსნელის სახით შეუძლიან ამას იმოქმედოს სხვათა შორის თვით ესრეთ წოდებულ ოსმალეთის საქართველოს მცხოვრებთზეც, რომელნიც ისტორიულ გარემოებათაგამო თუმცა კი იძულებულნი არიან აღევიარებდენ ისლამსა, მაგრამ ენით და გულით არიან ჟერეთ ისევ ქართველნი, თვალნი და იმედნი რომელთაცა ხშირად მოიქცევიან თანა-მოსისხლე და ერთს შთამომავლობის ბედნიერთ თავის მოძმეთ და მეზობელთ,—რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომთ, ქართველებზედ; რომელთა-თანაცა განგებითა ღვთისათა და ძლევა მოსილის რუსეთის მხედრობათ შემწეობით აწ უკვე შეერთებულ არიან.»

მე სულობით ბიბლიოგრაფს გამიჭირდა ამ უთავ-ბოლო წინადადების გადმოწერა, და წარმომიდგენია რა სატანჯველი

წასაკითხავი უნდა იყოს ბეგიევის წიგნი მკითხველებისათვის.

ეხლა ორიოდე სიტყვა მივმართოთ ბეგიევის წიგნის გამომცემელს. გამომცემელი წიგნის უკანასკნელს გვერდზე აცხადებს, რომ ბეგიევის წიგნის გაყიდვით შემოსულის ფულით დაიბეჭდება საბა ორბელიანის ლექსიკონიო. იმედი გვაქვსო ჩვენი სამღვდელო პირნი დაგვეხმარებიან ამ წიგნის გასყიდვაშიო. ამ განცხადების შესახებ, ჩვენ მოვახსენებთ გამომცემელს რომ, თუმცა ორბელიანის ლექსიკონის გამოცემა კარგი საქმეა, მაგრამ ამის აღსასრულებლად ბეგიევის თხზულების გავრცელება არაფრად მოსაწონია. წმიდა აზრის მისაღწევად წმიდა საშუალება უნდა იხმაროს კაცმა, და არა უწმიდური და მავნე.

## უცხო ქვეყნები.

ძნელია კაცმა გზა გაიკვალოს იმ პირველის შეხედვით დაბურულს და ბნელით მოცულს ტყეში, რომელსაც პოლიტიკას ეძახიან. აქ ისეთივე ბრძოლაა ცხოვრებისთვის, ისეთივე ხერხიანობა, ისეთივე თვალთმაქცობა როგორც თვალთმაქცობას, ხერხიანობას და ცხოვრებისთვის ბრძოლას მხეცებში ვხედავთ. განსხვავება მხოლოდ ეს არის რომ, ადამიანებს ისეთი ბასრი კლანჭები და ბასრი კბილები არა აქვთ, როგორც მხეცებს, მაგრამ ენა კი ისე მჭრელია, რომ კლანჭების მაგიერობაც შეუძლიან და კბილებისაც.

რა იყო მართლა მთელი შარშანდელი წელიწადი ევროპისათვის, რა ასოებით უნდა ჩაიწეროს ეს წელიწადი საზოგადო ისტორიაში? იმავე ასოებით, რა ასოებითაც სხვა წელიწადები იწერებოდენ. შარშანდელმა წელიწადმა დაგვარწმუნა, რომ, ერთს სახელმწიფოს მეორესთვის ძნელად შესტკივა გული და თუ სიკეთეს სჩადის რასმე, საქმეში მხოლოდ თავის სარგებლობა აქვს. ეს ჭეშმარიტება დიდი ხანია გამოთქმულია, თუმცა ზოგსა სჯერა კიდევ რომ ბევრი იმისთანა სახელმწიფო კაცია, რომელსაც მართლა გული სტკივა დაჩაგრულ უცხოქვეყნელებისთვისაო.

შარშან ათას ნაირად შეიცვალა ევროპის სახელმწიფოთა წყობა; ხან ერთი მეორეს დაუმეგობრდებოდა, ხან მეორე მესამეს, ხან უწინდელი მეგობრები ერთმანერთს შემოსწყრებო-

დენ და მტრად უსდებოდენ. ერთხელ მთელის ევროპის წარ-მომადგენლები შეიყარნენ ბერლინში და სხვა-და-სხვა საგან-ზედ «მეგობრული» სჯა ჰქონდათ. დათანხმდენ კიდეც თავიანთ მოქმედების პლანზედ, გადასწყვიტეს ოსმალოსა და საბერ-ძნეთის შუა სამზღვრების გაყვანა, ოსმალეთიდამ ერთის კუნ-ძულის მოჭრა და ჩერნოგორიისათვის მიცემა. ბევრს არ მოს-წონდა ეს გადაწყვეტილება, თუმცა კი უარი არ უთქვამს და მხო-ლოდ შემდეგ ქვეშ-ქვეშადა ცდილობდა თავის გარდაწყვეტილება უქმად ყოფნით დაერღვია.

---

რა არის მიზეზი ამ ცბიერებისა და ორ-პირობისა?

ოსმალეთს მთელის ევროპის სახელმწიფოები უყურებენ როგორც თავის ლუკმას. ყველა დარწმუნებულია, რომ ამ სახელმწიფოს დიდი დღე არა აქვს და ყველა იმასა სცდი-ლობს, მის გაყოფის დროს თითონ თავისუფალი იყოს და მდიდარი ლუკმა მოიგდოს ხელში. აი ამ წადილით აიხსნება სა-ხელმწიფოთა მოქმედება.

ინგლისის მართებლობა ესლანდელის მინისტრის გლად-სტონის ხელში მხოლოდ იმასა სცდილობს რომ, ოსმალეთის მახლობელ და ქვეშევრდომ ხალხის გული მოიგოს და თავისი გავლენა მით გაამლიეროს აღმოსავლეთში. გლადსტონს კარ-გად ესმის, რომ ოსმალეთს მალე მოელება ბოლო და თუ მის გაყოფის დროს ზემოხსენებულ ხალხთა გული მოპოებული ექნება, პირში ჩალა-გამოვლებული არ დარჩება.

ეს იყო მიზეზი რომ გლადსტონმა, მოიგდო თუ არა ხელში ინგლისის მართებლობა, მაშინვე მოსთხოვა ყველა სა-ხელმწიფოებს, შეასრულეთ შარშანდელი ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილება; საბერძნეთს თავისი წილი მამული მიუზო-

მეთ და სამზღვრები შეუსწორეთო; ჩერნოგორიასაც თავისი წილი მიეცით და ოსმალეთის მართებლობას ძალა დაატანეთ, მცირე აზიაში მალე რეფორმები მოასდინოსო.

ყველანი დასთანხმდენ, მოსთხოვეს ოსმალეთს დაპირებულის შესრულება, ხელმეორედ შეჰყარეს ბერლინში კიდევ კონფერენცია და ეხლა უფრო დაწვრილებით გამოარკვიეს, რა და რა მიწები უნდა მიეცა ოსმალეთს საბერძნეთისა და ჩერნოგორიისათვის.

თითქო გასაკვირველია, რად თანაუგრძნობდენ სხვა-და-სხვა სახელმწიფოები ინგლისის მოთხოვნილებას და რად აძალებდენ ოსმალეთს თავისი პირობები შეესრულებინა?

იმად რომ არც ერთს მათგანს არ უნდოდა ბერძნები, ჩერნოგორიელები და სხვა ბალკანიის ხალხი გადემტერებინა და მარტო ინგლისისათვის მიენდო მათის ბედ-იღბალის გაუმჯობესობა. ყოველს ამ სახელმწიფოთაგანს უნდოდა თითონაც წილი ჩაედო ამ გაუმჯობესობაში და ბოლოს ჰქონოდა უფლება ეთქვა: მე რაღა ბუში მნახეთ, მეც დიდი მოღვაწეობა გავწიე ამ ხალხთა გასაბედნიერებლად, ვის შეუძლიან ჩემი განდევნა, მეც მინდა ამ ხალხებთან ვივაჭრო, მივიდ-მოვიდე და ჩემი ძლიერება გავავრცელოო.

მარტო ინგლისი გლადსტონის წყალობით მოქმედებდა გულ-გახსნილად და რაინდულად. სხვანი ერთსაც აამებდენ, მეორესაც; ხვანთქრის მტერთაც თითქო შემწეობას აძლევდენ და თითონ ხვანთქარსაც; ერთსაც აგულიანებდენ, მეორესაც, და როდესაც საქმე საქმეზედ მიდგებოდა, უკან-უკან იწევდენ.

მაგალითის მოძებნა ძნელი არ არის.

ოსმალეთს არ უნდოდა შეესრულებინა ბერლინის კონფერენციის გარდაწყვეტილება; ევროპის წარმომადგენელთა კრების

გარდაწყვეტილებას ოსმალეთი გაუქმებას უპირებდა სხვა-და-სხვა ხერხით, მაგრამ ვერას გახდა. ყველა ევროპის სახელმწიფოებმა გაგზავნეს თავ-თავიანთი ხომალდები ოსმალეთის ნაპირებისკენ და შეაშინეს მისი მართებლობა, თუ ნებით არ გადასცემო ჩერნოგორიას დაპირებულს დულცინიოს, ძალით გარდაგაცემინებთო.

აი ამ დროს, როდესაც ოსმალეთის ნაპირებთან ევროპის სახელმწიფოების ხომალდები იდგნენ, გამოჩნდა ამ სახელმწიფოების ორ-პირობა. მხოლოდ ინგლისი იყო მზად საქმე ბოლომდის მიეყვანა; სხვები კი, მაგალითად საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, ღმერთს დაუმადლებდნენ, რომ როგორმე მათთვის თავიდამ აეცილებინათ ეს უსიამოვნო ყარაულობა ოსმალეთის ნაპირებისა. პირ-და-პირ გამოთქმა ეზარებოდათ, არ უნდოდათ ეწყენინებინათ ჩერნოგორიისა და სხვა პატარა სახელმწიფოებისათვის და არც ის უნდოდათ თავიანთ ძალ-დატანებით ოსმალეთი შემოემწყრალებინათ.

ბოლოს, როგორც იყო, ოსმალეთმა მრავალის წვალების შემდეგ ჩააბარა ჩერნოგორიას დაპირებული ქალაქი დულცინიო და ხომალდები წავიდ-წამოვიდნენ. დარჩა საბერძნეთის საქმე. ოსმალეთი გადაწყვეტილს უარს ამბობს, მე არ შემიძლიან საბერძნეთს ის მიწები მივცე, რომელიც ბერლინის კონფერენციამ დაუნიშნაო. სახელმწიფოებიც ძალას არ ატანენ და იძახიან, თუ საბერძნეთს უნდა თავის ძალით დაიჭიროს ის მიწებიო.

მთელმა ევროპამ ორჯერ მისცა ეს მიწები საბერძნეთს და ესლა, როცა ოსმალეთი უარზედა სდგას, ამბობს, ერთსაც თავი ქვისთვის უხლია და მეორესაცაო, იომონ და ვინც უფრო ძლიერია იმას დარჩესო.

სხვები ბევრნი ამბობენ ასე, მაგრამ ამას არ ამბობს ინ-

გლისი. ეს მზად არის, თუ საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა ომი მოხდა, საბერძნეთს რითაც კი შეიძლება შემწეობა გაუწიოს.

---

ამ უკანასკნელს დროს სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება არის, რომ ეს უსიამოვნობა ორს სახელმწიფოს შუა მორიგებით გაათავონ. ჯერ ერთიცა და მეორეც თითქო უარზედა სდგას, მაგრამ ბოლოს არ შეიძლება, არ დათანხმდენ. ძნელი ეს არის რომ, ამ მორიგებასაც ისეთივე მნიშვნელობა ექნება, რა მნიშვნელობაც ბერლინის კონგრესის და კონფერენციის გარდაწყვეტილებასა ჰქონდა. თუ ოსმალეთს პატარა ჯგსა არ უხვენეს ევროპის სახელმწიფოებმა მშვიდობითა და მორიგებით ბევრი არა გამოვა-რა.

---

ინგლისის მმართველი გლადსტონი ამ ბოლოს დროს ისე მოქმედობს, როგორც შეშვენის შორით გამჭვრეტს სახელმწიფო კაცს. ოსმალეთი მალე დაირღვევა და საუკეთესო წილი თუ არ მისის ქვეყნებისა, ძლიერებისა მაინც ინგლისს ერგება. ოსმალეთის დარღვევა კი საეჭვო აღარ არის.

ოთხასის წლის წინად ხმალით დაიპყრო ხვანთქარმა საქრისტიანო სახელმწიფოები და ხმლითვე ეჭირა ამ ოთხის საუკუნოს განმავლობაში. მაგრამ ხმლით დაჭერილი და ერთმანერთთან ცბიერობით შებაწრული ხალხი ერთხელაც არის თავს იხსნის თავის მტარვალებისაგან, როდესაც ხმალი დაჟანგდება და ბაწარი დალპება.

ოსმალეთი დიდი ხანია რაც ირღვევა. იმის ქვეშევრდომ ხალხებმა ოთხი-ხუთი თავისუფალი სახელმწიფო დაა-

არსეს. ვინ მოიმკის ოსმალეთის გავლენასა და ძლიერებას? უეჭველია ისა, რომელიც ოსმალეთის მართებლობას ზევრს აღარ მიეფერება და მხოლოდ იმას ეცდება, მის ქვეშევრდომ ხალხთა გული მოიგოს.

24 დეკემბერს.

# ფილოქსერა.

ჩვენს ქვეყანას ერთი დიდი უბედურება მოელის. ყირიმის ვენახებში გამოჩენილა ერთი პაწია მწერი, რომელსაც ფილოქსერა ჰქვიან და რომელიც ყოველი ვენახის პატრონის თავზარ-დამცემია. ერთი წყვილი დედალ-მამალი ამ მწერისა წელიწადში რამდენსამე მილიონს ფილოქსერას გამოზდის და თუ პირველშივე არა მოუხერხდა-რა, შეიძლება რამდენსამე წელიწადს ვენახებით შემკულს ქვეყანაში ვაზის ნატამალიც კი გააწყოს.

ყირიმი ჩვენზედ შორს არ არის და ესლავე უნდა ვეცადოთ, რომ ეს მწერი არას-გზით არ შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში და თუ შემოვიდა როგორმე, მის მოსასპობლად ყოველივე ღონისძიება ვისმაროთ.

ფილოქსერა არის რწყილის-ოდენა, მოყვითანო; აქვს ექვსი ფეხი და თავზედ ორი ბეწვი და ხორთუმი, რომლითაცა სწოვს ვაზის ფესვების ნოყიერებას. ის ეტანება უფრო ნორჩს ფესვებს და აბურცებს ნაკბენს ალაგს. ფილოქსერასაგან დაზიანებულ ვაზებს ფოთლები უყვითლდებათ, მტევანს ცოტას და უვარგისს ისხმენ და წვრილი ფესვები ულპებათ; მსხვილს ფესვებს კი კანი ეფცქვნება და შავდება. ოთხს წელიწადზედ ფილოქსერა ჰკლავს ვაზსა.

ამ ნიშნებზედ შეეტყობა ვაზს, თუ ფილოქსერა დაეცა და ვინც კი ამას შენიშნავს, თავის უწმიდეს მოვალეობად უნდა ჩარიცხოს ამ ამბის გამოცხადება ან მთავრობისა, ან ჟურნალ-გაზეთების შემწეობით.

მაგრამ შემოსეულის ჭირის მოსპობას, სჯობს შემოუსეველი თავიდამ ავიცილოთ.

სჯობს, რომ სასტიკად აიკრძალოს ყოველ-გვარის ყურძნის, ვაზის და სხვა ხეხილის შემოტანა ჩვენში უცხო-ქვეყნებიდამ, რომ ამ ხილსა და ვაზთან მათი შემმუსვრელი ფილოქსერა არ შემოჰყვეს. მაშ ვიყოთ დარაჯათ და გავუფთხილდეთ ჩვენს თავსაც და ჩვენს ქვეყანასაც.

1383
1881

# დროება-ივერია

1881 წლის ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თვე არა ნაკლებ ხუთის დიდის თაბახისა ახალის უფრო ვრცელის პროგრამით და ახალ თანამშრომლების დახმარებით.

ყოველ-დღიური გაზეთი «დროება» გამოვა იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში, «დროება-ივერიის» რედაქციაში, (გოლოვინის პროსპექტზედ, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ).

ქუთაისში: «დროება-ივერიის» აგენტთან ი. ჭყონიასთან (სილაზედ, მირიან ჭყონიას სახლში.)

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ჟურნალ-გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Въ Тифлисъ. Въ Редакцію Дроэба-Иверіи.

## ფასი.

| | 1 წლით. | 6 თვით. | 3 თვით. |
|---|---|---|---|
| «დროება» და «ივერია» ორივე ერთად | 14 მან. | 8 მან. | 5 მან. |
| «ივერია» ცალკე — — | 7 მან. | 4 მან. | 2 მან. |
| «დროება» ცალკე — — | 9 მან. | 5 მან. | 3 მან. |

ჟურნალ-გაზეთის ფული ხელის-მომწერმა დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რომელს ხელის-მომწერსაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვა, უმორჩილესად ვთხოვთ გვაცნობოს რედაქციაში და ვეცდებით მალე გავუგზავნოთ დაკარგული ნომერი.

რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.